

"თქვენი აფხაზეთი" A4



იმპროვიზაციები თემაზე "ჰოლივუდური მკერდი" A6



დონ ფაბიოს დრო სჭირდება A7


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 25 ოქტომბერი, 2006 წელი. №237 (1389) | ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge



საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზის ნომერი

40 52 22



თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.



საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 25/10 | 26/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | 16 |
| ბათუმი | 24 | 22 |
| სოხუმი | 22 | 20 |
| ქუთაისი | 24 | 22 |
| გორი | 17 | 16 |
| ონი | 15 | 16 |
| ზუგდიდი | 25 | 22 |
| ახმეტა | 19 | 16 |
| სამტრედია | 24 | 22 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7405 |
| ევრო | 2.1812 |
| ბრიტანული სტერლ. | 3.2525 |
| რუბლი | 0.0646 |


| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| ამბები | A 3 |
| პროექტი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# "ქვემო სამხრეთ ოსეთი"

*12 ნოემბერს სამხრეთ ოსეთში ორი რეფერენდუმი და ორი სახის არჩევნები ჩატარდება. "სამხრეთ ოსეთის ხსნის კავშირმა" გუშინ კონფლიქტის ზონაში, სოფელ ერედვში ალტერნატიული საარჩევნო კომისიის პრეზენტაცია გამართა.*

დიმიტრი ავალიანი

როგორც "ხსნის კავშირის" თავმჯდომარემ ვლადიმერ სანაკოევმა განაცხადა, ცხინვალის ხელისუფლება ობიექტური საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას არ აპირებს. მისი განცხადებით, კავშირი, რომელიც სამხრეთ ოსეთში სხვადასხვა რაიონში მცხოვრებ მოქალაქეებს აერთიანებს, სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას უჭერს მხარს.

**"საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ვლადიმერ სანაკოევმა. მისი თქმით, ცხინვალის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მასობრივად ირღვევა ადამიანის უფლებები, ხდება უკანონო დაპატიმრებები. **"ამას კოკოითის დამქაშები ლუკმაპურისთვის აკეთებენ, ხოლო თავად კოკოითი რუსეთიდან სამხრეთ ოსეთისათვის გამოგზავნილი ფულის წყალობით მილიონებს ატრიალებს,"** - აცხადებს სანაკოევი.

**"მე ბევრს ვიცნობ თავად ცხინვალში, ვისაც კონფლიქტის ზონაში ცხოვრება მობეზრდა. გახშირებულია თვითმკვლელობები, დამნაშავეობა. იქ კანონი არ არსებობს,"** - ამბობს "ხსნის კავშირის" თავმჯდომარე.

მისი თქმით, "ხსნის კავშირმა" სამხრეთ ოსეთში ალტერნატიული საარჩევნო კომისიის შესაქმნელად 5 ათასზე მეტი ხელმოწერა შეაგროვა. 15 წევრისგან (რეგიონში მცხოვრები ოსებისა და ქართველებისგან) შემდგარი კომისიის პრეზენტაცია კი გუშინ ერედვში, ერთ-ერთ კერძო სახლში შედგა. კომისიას უხელმძღვანელებს ცხინვალელი, სამხრეთ ოსეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ჯემალ ქარქუსოვის ძმა ურუზმაგ ქარქუსოვი, რომელიც ბოლო დრომდე კრასნოდარში ცხოვრობდა.

"ხსნის კავშირი" სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტობის საკუთარი კანდიდატების დასახელებასაც აპირებს, რომელთა გვარებს ჯერჯერობით არ ამხელს, თუმცა, ვლადიმირ სანაკოევის თქმით, არც იგი და არც ქარქუსოვი საკუთარ კანდიდატურებს არ დაასახელებენ.

ახალი ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნების გახსნას ყოფილი ავტონომიური ოლქის მთელ ტერიტორიაზე გეგმავს და არც კოკოითის მიერ დანიშნული რეფერენდუმის ჩატარებაზე ამბობს უარს.


გაგრძელება A3 გვერდზე


# "აიპაპი"-დან "მაპ"-ამდე


თორნიკე შარაშენიძე
ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი


მას შემდეგ, რაც საქართველო ნატო-სთან ინტენსიური დიალოგის ფაზაზე გადავიდა, ეროვნულ პოლიტიკურ ლექსიკონში კიდევ ერთი ახალი აბრევიატურა გაჩნდა - "აიდი." აქამდე ნატო-სთან დაკავშირებით ძირითადად ერთი აბრევიატურა ისმოდა ხოლმე - "აიპაპ." ეს უკანასკნელი ინდივიდუალური პარტნიორობის თანამშრომლობის გეგმას (Individual Partnership Action Plan) აღნიშნავდა. ქართული ოპოზიციის ერთმა ნაწილმა აიდი წარუმატებლობად მონათლა იმის გამო, რომ ვერ მოხდა "მაპ"-ზე (Membership Action Plan) გადასვლა. ესეც კიდევ ერთი აბრევიატურაა, რომელიც გაწევრიანების სამოქმედო გეგმას ნიშნავს. ალბათ კარგი იქნება კიდევ ერთხელ თუ მოვფენთ ნათელს, რა შინაარსისაა თითოეული ეს ცნება.

ინდივიდუალური პარტნიორობის თანამშრომლობის გეგმის (აიპაპი) შესრულებას საქართველო ორი წლის წინ შეუდგა. ამ გეგმის ფარგლებში უკვე არაერთი სასარგებლო რეფორმა განხორციელდა, რომელიც ეხებოდა არა მხოლოდ შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციას, არამედ კორუფციასთან ბრძოლას, საბიუჯეტო დაგეგმვის გაუმჯობესებას, სამეცნიერო პოტენციალის გააქტიურებას და სხვ. ამ რეფორმების მიზანი საქართველოს ნატო-სეულ, დასავლურ სტანდარტებთან მიახლოება იყო.


გაგრძელება A3 გვერდზე


# კონსტიტუცია იცვლება

## უმრავლესობისა და ოპოზიციის ურთიერთობები კი უცვლელია

*საპარლამენტო უმრავლესობისთვის შვიდთვიანი უშფოთველი ცხოვრება დასრულდა - გუშინ ოპოზიცია პლენარულ სხდომებზე დაბრუნდა. "ყველაზე სწორი ფორმა საპარლამენტო დებატებია და არა ერთმანეთს შორის რაღაც სხვანაირი ურთიერთობები", - პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი პოლიტიკური ოპონენტების მიერ ბოიკოტის შეწყვეტას მიესალმება.*

გიორგი ასანიშვილი

ოპოზიციის გამოჩენა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს უმალ დაეტყო: ბოლო თვეებში პარლამენტში გამეფებული ერთსულოვნება და ერთფეროვნება უკვალოდ გაქრა. უმრავლესობა და ოპოზიცია "შერიგებისთანავე" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მართალია, საკონსტიტუციო ცვლილებების საორგანიზაციო კომისიასთან დაკავშირებით სახელისუფლებო ფრაქციის მიერ გამოვლენილმა სიჯიუტემ ოპოზიცია საკმაოდ გაანაწყენა, მაგრამ ზრდილობისა და ეთიკის ნორმები გუშინ ორივე მხარემ მაინც ბოლომდე დაიცვა.

**"პირველი დღეა და ვეცადოთ, კონსტრუქციულები ვიყოთ,"** - მიხეილ მაჭავარიანის ეს მოწოდება თავიდან "დემოკრატიულმა ფრონტმა" და "მემარჯვენეებმა" უმრავლესობის მიერ გამოწვდილ ხელად ჩათვალეს, თუმცა ცოტა ხანში დარწმუნდნენ, რომ განვლილ შვიდ თვეში მათი ოპონენტები ოდნავაც არ შეცვლილან.

**"სად არის თქვენი ნაქები კონსტრუქციული თანამშრომლობა? საწყენია, რომ კონსტრუქციულობის სურვილი სულ რაღაც ორი საათი გაგყვათ,"** - პლენარული სხდომის გახსნიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ ოპოზიცია სახელისუფლებო ფრაქციას უკვე საყვედურებით ავსებდა.

ოპოზიციის უკმაყოფილების მიზეზი გახდა საკონსტიტუციო ცვლილებების საორგანიზაციო კომისიის დაკომპლექტების საკითხი. "მემარჯვენეებისა" და "დემფრონტის" წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ აღნიშნულ კომისიაში ვახტანგ ხმალაძე, ზაქარია ქუცნაშვილი, დავით უსუფაშვილი და თინათინ ხიდაშელი შესულიყვნენ. უმრავლესობამ ეს მოთხოვნა არ გაითვალისწინა და, კენჭისყრის დროს, ოთხივე მათგანის კანდიდატურა ჩააგდო.

**"არჩევნებში თინა ხიდაშელს, როგორც ჩანს, ბედი არ სწყალობს,"** - მიხეილ მაჭავარიანის ამ ირონიას ოპოზიციამ იგივეთი უპასუხა.


გაგრძელება A3 გვერდზე


# კორუფციული სკანდალის კვალდაკვალ

B

*სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გარშემო მიმდინარე მოვლენები, რატომღაც, სკანდალად მოინათლა. არადა, თუ ცივი გონებით დავუკვირდებით, მთელი ამ ისტორიის არსი ის არის, რომ გენერალურმა პროკურატურამ, ფინანსურმა პოლიციამ და ჯანდაცვის სამინისტრომ, როგორც იქნა, აღიარეს ის, რაც ყველასთვის ისედაც ცნობილი იყო. სამ ნარნარ ხმაში შეკივლებული "მეფე შიშველია!" - მხოლოდ იმ ფაქტების ძალიან დაგვიანებული კონსტატაცია იყო, რაც უკვე ყველამ დიდი ხნის წინ იცოდა.*



# ცხოვრება და ხსოვნა კაცისა

ავთო ვარაზის დაბადების 80 წლისთავი

ალექსანდრე თარხნიშვილი

25 ოქტომბერი ავთო ვარაზის დაბადების დღეა. 51 წლის ასაკში მისი ნაადრევი სიკვდილი რომ არა, 80 წლისა შესრულდებოდა. ავთო წავიდა, მაგრამ შესამჩნევი კვალი დატოვა ქართულ კულტურულ სოციუმში. ის თანამედროვე ქართული ფერწერის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ორიგინალური წარმომადგენელია. მისი შემოქმედება 50-იან წლებში დაიწყო, როცა იმ პერიოდის ქართულ სახვით ხელოვნებაში ახალი გამომსახველობითი ხერხების ძიების "მეორე ტალღა" აგორდა.

60-70-იანი წლების ქართველ მხატვართა ერთი ნაწილის - ნონკონფორმისტებისთვის - ავთო ვარაზი თითქმის ლეგენდად იქცა, რასაც მისი პიროვნული ხიბლი და არაორდინარულობა უწყობდა ხელს.


გაგრძელება A5 გვერდზე




# მთავარი მოწმე ჩვენებას კვლავ ცვლის

*განსასჯელის სკამზე მჯდომი პოლიციის პოლკოვნიკის ბათუ საღინაძის საქმის განხილვა ახლა უკვე თბილისის საქალაქო სასამართლოში გაგრძელდება - ბათუ საღინაძის ბრალეულობის დადგენა მართლმსაჯულებამ საქმის მთავარი მოწმის დაკითხვით დაიწყო.*

ბათუ საღინაძე, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის გიორგი ბარამიძის მიწვევით, გახმაურებულ, მაგრამ წლების განმავლობაში გაუხსნელ გატაცებებს იძიებდა. სწორედ ცნობილი ფეხბურთელის, კახი კალაძის ძმის - ლევან კალაძის გატაცების საქმე გახდა მისი დაპატიმრების საფუძველი. როგორც ცნობილია, სოფელ ეცერში აფრასიძეების ოჯახზე განხორციელებული სპეცოპერაციის შემდეგ სამართალდამცველებმა, შმაგი და გოჩა აფრასიძეებთან ერთად, მათი მოურავი ვლადიმერ მურავიოვიც დააკავეს. მურავიოვმა თავის ჩვენებაში განაცხადა, რომ ლევან კალაძე და კიდევ ერთი გატაცებული მარიამ გოგინაშვილი აფრასიძეების ოჯახში ნახა. მას შემდეგ, რაც კალაძის საქმე გახსნილად გამოცხადდა, აფრასიძეების პროცესზე მურავიოვმა ჩვენება შეცვალა - წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება სიმართლეს არ შეეფერება, იგი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად დამაწერინესო, - განმარტა "საჭირო" მოწმემ და რამდენიმე მოძალადე პოლიციელთა შორის ბათუ საღინაძეც დაასახელა.

თავდაპირველად, საღინაძის დაპატიმრების საფუძველი სწორედ აღნიშნული ჩვენება გახდა. თუმცა, მოგვიანებით, პოლკოვნიკის ბრალდება კიდევ რამდენიმე მუხლით დამძიმდა და, საბოლოოდ, იგი დადანაშაულდა უფლებამოსილების გადამეტებაში, საიდუმლო დოკუმენტაციების გადამალვაში, ჩვენებების მუქარით, იძულებითი და მოტყუებით გამოძალვაში და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა.

განსასჯელი ბათუ საღინაძე წარდგენილ დანაშაულებებში თავს დამნაშავედ არ ცნობს და მიიჩნევს, რომ მისი დევნა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელმა პირებმა მას შემდეგ დაიწყეს, რაც ლევან კალაძის საქმის გამოძიებისას სწორ კვალს დაადგა. საღინაძე ამავე მიზეზით ხსნიდა თავის დროზე, შს სამინისტროდან დათხოვნას და საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლებასაც, რის გამოც მან სტრასბურგის სასამართლოს მიმართა, სადაც საქმე წარმოებაში მიიღეს.


გაგრძელება A2 გვერდზე

მოკლედ

## ნორა კვიციანს წინასწარი პატიმრობის ვადა გაუგრძელეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა გენერალური პროკურატურის შუამდგომლობა და ზემო აფხაზეთის სოფელ ჩხალთის გამგებელს ნორა კვიციანს წინასწარი პატიმრობის ვადა ერთი თვით გაუგრძელა.

ნორა კვიციანს წინასწარი პატიმრობის ვადა 28 ოქტომბერს ეწურებოდა.

ორშაბათს თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, პირადი თავდებობის საფუძველზე ნორა კვიციანის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ. დაკავებულს პირად თავდებში სახალხო დამცველი სოზარ სუბარი დაუდგა.

კოდორის ხეობის ყოფილი რწმუნებულის, ამბოხებული ემზარ კვიციანის და ნორა კვიციანი 2006 წლის 28 ივლისს დააკავეს და ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნასა და მასში მონაწილეობისთვის წაუყენეს.

მოგვიანებით, კვიციანს ბრალი ფინანსურმა პოლიციამაც წაუყენა, სახელმწიფო ქონების მითვისებისათვის. საქმე ეხება სოფელ ჩხალთაში შეტანილი ჰუმანიტარული ტვირთის არამიზნობრივად განკარგვას. ნორა კვიციანი ყველა ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ იგი მძევალია. **24 საათი**

## ანტიკვარული ნივთების ქურდობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია

სამართალდამცველებმა ანტიკვარული ნივთების ქურდობაში ეჭვმიტანილი თბილისელი დავით ჩხეტიანი დააკავეს. როგორც შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი ირაკლი ქადაგიძე აცხადებს, დაკავებული ყველა დაზარალებულმა ამოიცნო. გარდა ამისა, პოლიციის ინფორმაციით, ჩხეტიანისგან ნაქურდალი ნივთების უმეტესობა ამოღებულია.

ჩხეტიანი ეჭვმიტანილია საზოგადო მოღვაწეების სახლებიდან და სახლ-მუზეუმებიდან ძვირადღირებული ანტიკვარული ნივთების ქურდობაში.

"როგორც ცნობილია, იგი ცნობილ ადამიანებთან უშუალო კონტაქტის დამყარების შემდეგ, იქვე, ფარულად ეუფლებოდა ძვირადღირებულ ანტიკვარულ ნივთებს და ბაზრობაზე ყიდდა მათ", - აცხადებს ირაკლი ქადაგიძე.

დავით ჩხეტიანი სახლებსა და სახლ-მუზეუმებში მასპინძლებს თავს თბილისის მერიის ან კულტურის სამინისტროს თანამშრომლად აცნობდა და ძვირფას ნივთებს იპარავდა. **24 საათი**

## სპეცოპერაციები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივი ღონისძიების შედეგად, თანხის გამოძალვის ფაქტზე, მოქალაქე რადხან ა. დააკავეს.

წინასწარი გამოძიების მონაცემებით, რადხან ა. ერთ-ერთი მსჯავრდებულის მშობლებს გაეცნო, როგორც იუსტიციის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მაღალჩინოსნებთან დაახლოებული პირი და 4500 აშშ დოლარის სანაცვლოდ, მათ შეწყალების კომისიასთან შუამდგომლობასა და შვილის გათავისუფლებას დაჰპირდა. სამართალდამცველებმა თაღლითობაში ეჭვმიტანილი მსჯავრდებულის მშობლებისაგან თანხის ნაწილის - 500 აშშ დოლარის გამოძალვისას დააკავეს. ფაქტზე აღძრულ საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქალთა დაწესებულების სარეჟიმო განყოფილების უფროსი კანონით აკრძალული ნივთის საპატიმროს ტერიტორიაზე შეტანისა და ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს. წინასწარი გამოძიების მონაცემებით, რამაზ გ.-მ მსჯავრდებულს აკრძალული ნივთის - 500 აშშ დოლარის - დაწესებულებაში შეტანისთვის 200 აშშ დოლარი გამოსძალა. **24 საათი**

## სოზარ სუბარის სპეციალური განცხადება

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი 20 ოქტომბერს სახელმწიფო კანცელარიასთან გამართული მშვიდობიანი აქციის დაშლას გამოხატვის თავისუფლების ხელყოფად მიიჩნევს.

სახალხო დამცველი სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და აცხადებს, რომ 20 ოქტომბერს კანცელარიასთან გამართული თეატრალიზებული აქცია, რომელიც პოლიციამ დაშალა, სანქცირებული იყო. ქალაქის მერიის მიერ გაცემულ ნებართვაში მითითებული იყო, რომ აქციის ორგანიზატორებს, ღამის 12 საათამდე, უფლება ჰქონდათ მუსიკალური აქცია ჩაეტარებინათ.

სახალხო დამცველი თვლის, რომ პოლიციის მიერ სახელმწიფო კანცელარიასთან "თანასწორობის ინსტიტუტის," არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის, პოეტებისა და მსახიობების მიერ მოწყობილი თეატრალიზირებული აქციის დაშლა კიდევ ერთი გამოხატულებაა იმისა, რომ ბოლო პერიოდში თავისუფლების ხელყოფის ფაქტები გახშირდა.

სახალხო დამცველის განცხადებით, აქციის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ არაერთ საქმეშია აღიარებული. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-11 მუხლი ადამიანთა შეკრებისა და გაერთიანების უფლებას უზრუნველყოფს. **24 საათი**

## საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის კლიენტურა მატულობს

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში სოციალურად დაუცველ ბრალდებულთა და განსასჯელთა განცხადებებმა იმატა.

ოფიციალური ინფორმაციით, სახაზინო ადვოკატების მიერ წარმოებული საქმეების სტატისტიკის თანახმად, საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის თბილისისა და ზესტაფონის ტერიტორიულმა ბიუროებმა 2006 წლის 1 იანვრიდან დღემდე ასობით მოქალაქის მიმართვა განიხილეს. აქედან 442 მოქალაქეს გაეწია კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია, ხოლო 324 სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი დაინიშნა.

თბილისისა და ზესტაფონის ბიუროების საზოგადოებრივ ადვოკატთა აქტიური მონაწილეობით, 4 ბრალდებულის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა, 75 საქმეზე შედგა საპროცესო შეთანხმება, ხოლო 88 განსასჯელის მიმართ დადგა ხელსაყრელი განაჩენი.

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატურის ტერიტორიული ბიუროს ადვოკატები დღეისათვის სხვადასხვა ინსტანციაში 147 პირის ინტერესებს იცავენ, აქედან 27 ბრალდებული არასრულწლოვანია.

შეგახსენებთ, რომ იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის თბილისისა და ზესტაფონის ტერიტორიული ბიუროები 2005 წლის 1 ივლისიდან პილოტური პროგრამის ფარგლებში ამოქმედდა. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის უფასო იურიდიული დახმარების სისტემა მომავალში საქართველოს ყველა რეგიონში ამოქმედდება. **24 საათი**

## მოსკოვში ქართველი "კანონიერი ქურდი" დააკავეს

რუსმა სამართალდამცველებმა ქართველი "კანონიერი ქურდი" დააკავეს.

სააგენტო "იტარ-ტასის" ცნობით, დაკავებულია "ქურდულ სამყაროში" ცნობილი ავტორიტეტი, 50 წლის ნუგზარ ერგემლიძე, რომელზეც ფედერალური ძებნა იყო გამოცხადებული.

კრიმინალურ ავტორიტეტს საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტი ჩამოართვეს. ამ დროისათვის დაკავებული მოსკოვიდან ტიუმენშია ეტაპირებული.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ერგემლიძე არის ე.წ. ქურდული საძმოს წარმომადგენელი, ანუ ტიუმენის "კრიმინალური სამყაროს" ავტორიტეტი, რომელსაც 20-წლიანი სასჯელი აქვს მოხდილი.

რუსეთის შსს-ს ცნობით, ერგემლიძე ტიუმენში 2000 წელს ჩავიდა და დიდი ხნის განმავლობაში ქართველების კრიმინალურ დაჯგუფებებს აკონტროლებდა, რომლებიც ავტომანქანების გატაცებაზე მუშაობდნენ.

2002 წელს ერგემლიძემ ტიუმენი დატოვა და მიიმალა, რის შედეგადაც მასზე ძებნა გამოცხადდა. **ინტერპრესნიუსი**

## მკვლელობით დასრულებული ჩხუბი

რუსეთის შსს-ს განცხადებით, მოსკოვის 563-ე სკოლის აზერბაიჯანელი მოსწავლე, რომელიც რამდენიმე დღის წინ ქართველმა თანაკლასელმა დანით დაჭრა, საავადმყოფოში გარდაიცვალა. რუსეთის შსს-ს ინფორმაციით, ბესიკ ქოჩალიძესა და ემენ ოჯახგულუევის ჩხუბის მიზეზი ის გახდა, რომ აზერბაიჯანელმა მოსწავლემ ქართველ თანაკლასელს რუსულ ენაზე საუბარი მოსთხოვა. შელაპარაკება სისხლიან შეტაკებაში გადაიზარდა, რომლის დროსაც ქოჩალიძემ ოჯახგულუევი დანით დაჭრა.

როგორც მოსკოვის 563-ე სკოლაში აცხადებენ, ქართველი მოსწავლისა და მისი ოჯახის ადგილსამყოფელის შესახებ არავინ არაფერი იცის, ჩხუბის მიზეზზე საუბარს კი სკოლაში თავს არიდებენ.

მოსკოვის პროკურატურის წარმომადგენლები ქართველ მოსწავლეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის სიკვდილის გამომწვევი ზიანის მიყენების ბრალდებით ეძებენ. რუსმა სამართალდამცველებმა ქოჩალიძის ნათესავების მისამართები მოიძიეს და ქართველ კოლეგებს დახმარება სთხოვეს. **მედიანიუსი**

# მთავარი მოწმე ჩვენებას კვლავ ცვლის

პირველი გვერდიდან

გუშინდელ სასამართლო პროცესზე დაკითხულმა მურავიოვმა საღინაძის საქმე ფაქტობრივად, კიდევ ერთხელ შეატრიალა (აქედან გამომდინარე, ახალი გარემოებები გაჩნდა კალაძის საქმეშიც). "საჭირო" მოწმემ თითქმის ოთხსაათიანი დაკითხვის შემდეგ დეტალურად გაიხსენა წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენების დაწერის პროცესი. მისი განმარტებით, არც "ცნობილი აღიარების" დაწერისას და არც შემდეგ ბათუ საღინაძეს მის მიმართ არანაირი ზეწოლა არ განუხორციელებია. ერთადერთხელ, შეხვედრის დროს პოლკოვნიკმა მას უთხრა - დაეწერა მხოლოდ სიმართლე, ის რაც, მან რეალურად იცოდა. მურავიოვის თქმით, მის მიმართ ზეწოლას ადგილი ნამდვილად ჰქონდა, მაგრამ არა საღინაძის, არამედ სხვა პოლიციელების მხრიდან.

კიდევ უფრო საინტერესო ჩვენება მისცა მურავიოვმა ეცერის ცნობილი სამარხის გათხრასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, მურავიოვის ჩვენების საფუძველზე, სამართალდამცველებმა სოფელ ეცერში ძველი სამარხი გათხარეს. მაღალჩინოსანი პოლიციელები იმასაც ამტკიცებდნენ, რომ კალაძის ძვლები იპოვეს და საქმე, ფაქტობრივად, გახსნილად გამოაცხადეს. სხვათა შორის, ამ დროს



აფრასიძეების მოურავმა ბათუ საღინაძე ამჯერად გაამართლა.

ბათუ საღინაძე შინაგან საქმეთა ორგანოებში საერთოდ აღარ მუშობდა. მაგრამ, გამოძიებამ მაინც საღინაძეს ჩაუთვალა დანაშაულად ის, რომ მურავიოვის ჩვენების საფუძველზე სამართალდამცველებმა სვანეთში სამარხი გათხარეს, რაც, საბრალდებო დასკვნაშიც დაფიქსირდა.

გუშინ კი მთავარმა მოწმემ ჩვენებაში სამარხის გათხრის სულ სხვა ინიციატორი დაასახელა. როგორც საღინაძის ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა გვითხრა, მურავიოვმა განმარტა, რომ ეცერში, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ლევან გვაზავას მითითებით, "ჯიპებით" წაიყვანეს. იქ კი გვაზავამ ვინმე ირაკლი მიუგზავნა და შეუთვალა, თუ სად მიეთითებინა კალაძის სამარხი.

**"აღნიშნული ჩვენებით მურავიოვმა ბათუ საღინაძის ბრალეულობა გააბათილა. თუმცა, რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ, მან შესვენება მოითხოვა. როგორც ცნობილია, იგი ამჟამდ მეშვიდე საპყრობილეშია. ჩვენი ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ მასზე ზეწოლა მოახდინონ და ჩვენება აბსოლუტურად შეაცვლევინონ",** - აღნიშნა გელა ნიკოლეიშვილმა.

პოლკოვნიკ საღინაძის სასამართლო პროცესი, მოსამართლე შორენა გუნცაძის გადაწყვეტილებით, 1 ნოემბერს განახლდება.

*24 საათი*

# "საქართველოს მოქალაქეები რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ"

*არასამთავრობო ორგანიზაციები "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" რუსეთიდან უკანონოდ გამოძევებულ ყველა მოქალაქეს მიმართავენ - დაუკავშირდნენ მათ, რათა დარეგისტრირდნენ ერთიან მონაცემთა ბაზაში.*

საქმე ისაა, რომ რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს მოქალაქეთა მასობრივი გამოძევებისა და მათ მიმართ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა უხეში დარღვევების გამო არასამთავრობო ორგანიზაციები "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" იწყებენ საქმეების წარმოებას ევროსასამართლოში. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც საქართველოდან სტრასბურგში გაგზავნილ სარჩელზე მოპასუხე მხარედ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არ გამოვა.

**"ჩვენს მიერ წამოწყებულ საქმეში პარტნიორობას გაგვიწევენ საერთაშორისო ორგანიზაციები - "ევროპის ადამიანის უფლებათა საადვოკატო ცენტრი", ბრიტანული ორგანიზაცია "ინტერაითსი" და რუსეთში მოქმედი უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა დასახელებისაგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ. აღნიშნულ ორგანიზაციებს გაუჭირდებათ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი მოქალაქეებისგან კონკრეტული ინფორმაციების მიღება, ამიტომ, ამ საქმეს ჩვენ შევასრულებთ და ცალკეული დარღვევების შესახებ ინფორმაციას რუსეთში მოქმედ ორგანიზაციებს მივაწვდით. შემდეგ ისინი შიდა ინსტანციებში ამოწურავენ შესაბამის პროცედურებს და მომზადდება სათანადო მტკიცებულებები, რათა საქმის წარმოება ევროსასამართლოში დაიწყოს",** - განაცხადა "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" აღმასრულებელმა დირექტორმა მარი ჩოხელმა.

ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მანანა კობახიძის ინფორმაციით, რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციის საკითხში ისინი ყველა სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყებასთან ითანამშრომლებენ.

**"მზად ვართ საქართველოს მოქალაქეთა დაცვის საქმეში აქტიურად ვითანამშრომლოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, პარლამენტთან და სახალხო დამცველის ოფისთან. მიმაჩნია, რომ ეს პროცესი შეიძლება დროში გაიწელოს, მაგრამ ერთ წელში ან წელიწადნახევარში შედეგს აუცილებლად გამოიღებს",** - განაცხადა მანანა კობახიძემ.

არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებით, ევროკონვენცია კრძალავს უცხოელთა მასობრივ გამოძევებას ქვეყნის ტერიტორიიდან. არსებული მონაცემებით კი აშკარაა, რომ რუსეთის სახელმწიფომ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ დაარღვია ევროკონვენციით დაცული ისეთი ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან დაცვის უფლება, თავისუფლების უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვის უფლება.

*24 საათი*

პრეცედენტი

# ავტოსაგზაო შემთხვევა და სასამართლოს გადაწყვეტილება

*ფაქტი, რომელიც სასამართლო დავის ობიექტი გახდა და რომელზეც ქვემოთ მოგითხრობთ, შესაძლოა ნებისმიერ თქვენგანს გადახდეს. წარმოიდგინეთ, გადათხრილი გზა, სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ არსად არის სპეციალური ნიშანი, რომელიც მძღოლს მიმდინარე სამუშაოების შესახებ აუწყებს. ასეთ შემთხვევაში, დიდია ალბათობა იმისა, რომ გადათხრილ გზაზე მანქანით მიმავალი მოქალაქე ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი გახდეს. ჩვენს რეალობაში მსგავსი ფაქტები არცთუ იშვიათად ხდება.*
*ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის მსხვერპლმა - დაზარალებულმა მძღოლმა ზიანის ანაზღაურება მოითხოვა, რასაც არ დაეთანხმა სარემონტო სამუშაოების მწარმოებელი კომპანია და, თავის მხრივ, პრეტენზიები მოსარჩელის მიმართ გამოთქვა. როგორ გადაწყვიტა სასამართლომ დავა და ვის დააკისრა ზიანის ანაზღაურება, ამას ქვემოთ გაიგებთ. პროცესში მონაწილეთა გვარები, სამართლებრივი ნორმების დაცვით, შეცვლილია.*

2004 წელს მამუკა ბიბილეიშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და სააქციო საზოგადოება "მშენებელს" მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 15 ათასი ლარის გადახდა მოსთხოვა. როგორც ბიბილეიშვილი თავის სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, 2004 წლის 30 აგვისტოს მას კახეთის გზატკეცილზე მოუვიდა ავტოსაგზაო შემთხვევა და დაემტვრა ავტომანქანა "ვოლვო-960". ავარიის მიზეზად კი ბიბილეიშვილი სააქციო საზოგადოება "მშენებელის" მიერ კახეთის გზატკეცილზე წარმოებულ სარემონტო სამუშაოებს ასახელებდა.

"სააქციო საზოგადოება "მშენებელმა" დაარღვია "საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" კანონის მოთხოვნები სამუშაოთა წარმოების ადგილზე შესაბამისი საგზაო ნიშნების, მიმანიშნებელი და შესაღობი მოწყობილობების, ღამით და არასაკმარისი ხილვადობის პირობებში დამატებითი წითელ-ყვითელი სასინათლო ნათურების დამონტაჟების შესახებ. სწორედ ამის გამო, ვერ დავინახე გზის გადათხრილი მონაკვეთი, რის გამოც მომიხდა ავარია. ამისი მიზეზი კი სარემონტო სამუშაოების მწარმოებელი კომპანიაა, რომელმაც არ უზრუნველყო კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომები", - წერდა თავის სასარჩელო განცხადებაში ბიბილეიშვილი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. სასამართლო პროცესზე სააქციო საზოგადოება "მშენებლის" წარმომადგენელი აცხადებდა, რომ გზის სარემონტო სამუშაოების წარმოებისას დაცული იყო უსაფრთხოების წესები, თხრილთან დაყენებული იყო ხის შეღებილი ორი ორმაგი ღობე და სხვა ამკრძალავი ნიშნები. გარდა ამისა, გზა გადაკეტილი იყო ლენტით, ასევე, დაყენებული იყო მიმართულების მაჩვენებელი ნიშნები, თუ როგორ უნდა ემოძრავათ ავტომანქანებს აეროპორტისკენ. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური შუქნიშანი გზაზე დაყენებული არ ყოფილა, სააქციო საზოგადოება "მშენებლის" წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნულ ავტოსაგზაო შემთხვევაში ბრალი მიუძღვის თავად მოსარჩელეს, რომელიც ნაცვლად 60 კმ სიჩქარისა მოძრაობდა 70 კმ სიჩქარით, ახლო ნათების შუქებით, რის გამოც გამოწვეული ავარიის შედეგად ავტომანქანა ორი მეტრი სიმაღლის ქვა-ღორღზე ავიდა და დაზიანდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ბიბილეიშვილის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოპასუხეს, სააქციო საზოგადოება "მშენებელს" 5 ათასი დოლარის ეკვივალენტი თანხის გადახდა დააკისრა.

სააქციო საზოგადოება "მშენებელმა" რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა. სააპელაციო პალატამ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და ახალი გადაწყვეტილებით სააქციო საზოგადოება "მშენებელს" 7 ათას 777 ლარის ანაზღაურება დააკისრა.

სააქციო საზოგადოება "მშენებელი" არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დაეთანხმა, იგი საკასაციო წესით გაასაჩივრა და გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

სააქციო საზოგადოება "მშენებლის" წარმომადგენლის არგუმენტაცია შემდეგ გარემოებებს ემყარებოდა. კერძოდ, მოქალაქე ბიბილეიშვილს შეეძლო მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება, მაგრამ იგი მოძრაობდა დიდი სიჩქარით, ცუდი ხილვადობის მიუხედავად ჩართული არ ჰქონდა საავარიო და შორი შუქების ნათურები და როცა დაინახა, რომ უახლოვდებოდა ქვაღორღს, ვერ დაამუხრუჭა და ქვაღორღზე ავიდა.

"მშენებლის" წარმომადგენლის მტკიცებით, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზიანის დადგომა გამოიწვია არა იმან, რომ გზაზე არ ეყენა შესაბამისი შუქნიშანი, არამედ თავად მძღოლის უყურადღებობამ და ბრალეულმა უმოქმედობამ, რამაც საფრთხე შეუქმნა სხვა პირთა სიცოცხლეს.

ამის გარდა, სააქციო საზოგადოება "მშენებელი" თავის საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოწმეთა ჩვენებები იმის თაობაზე, თითქოს ავტოსაგზაო შემთხვევის ღამეს წვიმდა, მაშინ, როცა საქმეში წარმოდგენილი იყო "ჰიდრომეტრცენტრის" ოფიციალური წერილი, სადაც დაფიქსრებული იყო, რომ შემთხვევის ღამეს არ წვიმდა. ასევე არ იქნა გაზიარებული "თბილგანათების" ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შემთხვევის ღამეს აეროპორტის ტრასა განათებული იყო მაღალი რანგის დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ასეთი გახლდათ სააქციო საზოგადოება "მშენებლის" მიერ საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული ძირითადი არგუმენტები.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაეცნო გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიულ დასაბუთებას და დაადგინა, რომ სააპელაციო პალატამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა გარემოებებს და გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხოლოდ ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში გააუქმა.

უზენაესი სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით, სააქციო საზოგადოება "მშენებელს" ბიბილეიშვილის სასარგებლოდ 5 ათას 800 ლარის გადახდა დაეკისრა.

საკასაციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებებს დააფუძნა:

საქციო საზოგადოება "მშენებლის" მოსაზრებას, თითქოსდა, სასამართლომ არ გაითვალისწინა მძღოლის ბრალეულობა ზიანის დადგომაში, საკასაციო პალატა დასაბუთებულად არ მიიჩნევს, რადგან სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის პირველი ნაწილით, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში - თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ეს ზიანი.

საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით სასამართლომ დაასკვნა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევას ხელი შეუწყო დაზარალებულ ბიბილეიშვილის მოქმედებამაც, რომელმაც არ გაითვალისწინა მეტეოროლოგიური პირობები, არ გაუწია მუდმივი კონტროლი ავტომანქანას და ნაცვლად 60 კმ სიჩქარისა მოძრაობდა 70 კმ სიჩქარით. იგივე გარემოებებზე თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებდა სააპელაციო სასამართლოც.

საკასაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია სააქციო საზოგადოება "მშენებლის" მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ სასასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო საქმეში წარმოდგენილი შპს "ჰიდრომეტრცენტრის" წერილი, საიდანაც დადგინდა, რომ ავტოავარიის დროს თბილისში არ წვიმდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, წერილში მითითებულია, რომ კონკრეტულ დღეს თბილისში არ წვიმდა, მაგრამ ამავე წერილში არ არის ზუსტი მითითება - აღინიშნებოდა თუ არა ნალექი ავტოავარიის ადგილას, კახეთის გზატკეცილზე.

გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი იყო ასევე შპს "თბილისის ავიამეტეოროლოგიური ცენტრის" წერილი, სადაც დადასტურებულია, რომ შემთხვევის ღამეს აეროპორტის ტერიტორიაზე წვიმდა.

რაც შეეხება ზიანის ანაზღაურების რაოდენობას.

სასამართლო ზიანის ანაზღაურების თანხის დადგენისას დაეყრდნო ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც თავის მხრივ, გამოსაკვლევი მანქანის ნაწილებზე საქართველოში ოფიციალურად დადგენილ პრეისკურანტებს ეყრდნობა, ხოლო წინა გადაწყვეტილება დამყარებული იყო ექსპერტის ცნობაზე, სადაც ზიანის შეფასებისას მხოლოდ საბაზრო ღირებულება იყო გათვალისწინებული. სწორედ ამან გამოიწვია სააპელაციო და საკასაციო პალატის მიერ ზიანის ანაზღაურების ნაწილში დადგენილი თანხის სხვაობა.

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# კონსტიტუცია იცვლება

პირველი გვერდიდან

**"რა იყო, დავით უსუფაშვილმა შეგაშინათ? მთლად გაუგებარია, რატომ არ გინდათ, რომ კომისიაში იყოს მოქმედი კონსტიტუციის ავტორი ვახტანგ ხმალაძე. როდის იყო, ეს კაცი ქვეყანას აქცევდა? რადგან ასე იქცევით, თქვენი ნაქები ექსპერტები ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროთ,"** - ასე გამოხატეს თავისი პროტესტი დავით ბერძენიშვილმა და გია თორთლაძემ.

რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილებების შინაარსობრივ მხარეს, მის შესახებ გუშინ პარლამენტში დებატები იმ უბრალო მიზეზის გამო არ გამართულა, რომ ამის უფლებას რეგლამენტი არ იძლეოდა. თუმცა, ამის საშუალება დეპუტატებს აუცილებლად ექნებათ: საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ერთ თვეს გაგრძელდება. გუშინ კი პარლამენტმა სამი საორგანიზაციო კომისიის ხელმძღვანელი დაამტკიცა: განათლების საკითხებთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებების კომისიას ნოდარ გრიგალაშვილი უხელმძღვანელებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის ცვლილების კომისიას - პავლე კუბლაშვილი, ხოლო პრეზიდენტ სააკაშვილის საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას - ლევან ბეჟაშვილი.



პარლამენტმა აგრეთვე მხარი დაუჭირა დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას, რომელიც რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ქმედებების კანონიერებას შეისწავლის.

გუშინ ოპოზიციამ ხელისუფლების პოზიციები კიდევ ერთ საკითხში მოსინჯა: დავით ბერძენიშვილმა "ნაციონალებს" შეახსენა, რომ მათ (ოპოზიციამ) ჯერ კიდევ ერთი წლის წინ დააყენეს დსთ-დან საქართველოს გამოსვლის საკითხი და მაშინ ამაზე უმრავლესობისგან, თითქოს, თანხმობაც მიიღეს. ბერძენიშვილის აზრით, მიზანშეწონილი იქნება, თუ ასეთ ნაბიჯს ქვეყანა უშუალოდ დსთ-ს სამიტის წინ გადადგამს.

**"საქართველო და დსთ თავსებადი არ არის. თუ მიხეილ სააკაშვილი სამიტზე წავა, მას იქ აუცილებლად მიაყენებენ შეურაცხყოფას. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ რუსი სამშვიდობოები აფხაზეთში დსთ-ს ეგიდით დგანან და იქიდან მანამდე არ გავლენ, ვიდრე საქართველო დსთ-ს წევრი იქნება,"** - აცხადებს ბერძენიშვილი და ყველა ფრაქციას მოუწოდებს, დსთ-სთან დაკავშირებით ერთიანი დოკუმენტი შეიმუშაონ.

ოპოზიციის ამ მოთხოვნაზე უმრავლესობა, ჯერჯერობით, გარკვევით არაფერს პასუხობს. მათი მხრიდან გუშინ მხოლოდ ის აღინიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით ახლო მომავალში შესაძლებელია კონსულტაციების გამართვა.

სამაგიეროდ, საქართველოს პრეზიდენტისთვის ასტანაში შეურაცხყოფის შესაძლო მიყენებაზე სახელისუფლებო გუნდს საკმაოდ ზუსტი და კონკრეტული პასუხი აქვს.

**"მიხეილ სააკაშვილი ის კაცი არ არის, რომ სამიტზე ვინმეს თავი დააჩაგვრინოს,"** - მიიჩნევს მიხეილ მაჭავარიანი.

# "ქვემო სამხრეთ ოსეთი"

პირველი გვერდიდან

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ კი გუშინ განაცხადა, რომ **"საქართველოს ხელისუფლებამ ოსების წინააღმდეგ რეპრესიები წამოიწყო, სამხრეთ ოსეთის მარიონეტული მთავრობის შექმნისაკენ მათი იძულების მიზნით. დაგეგმილია პრეზიდენტის პოსტზე სამხრეთ ოსეთის ყოფილი პრემიერის დიმიტრი სანაკოევის კანდიდატურის დასახელება."**

მისი თქმით, უახლოეს დღეებში დიმიტრი სანაკოევი ქართულ ტელეარხებზე გამოჩნდება და ოსებს მოუწოდებს, უარი თქვან დამოუკიდებლობასა და რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე.

საქართველოს ხელისუფლებას ოსებისგან შემდგარი "ხსნის კავშირის" მოულოდნელ გამოჩენასთან ფორმალურად კავშირი არ აქვს. თუმცა, გუშინ ერედვში შეკრების ადგილის სიახლოვეს სხვადასხვა რანგის თანამდებობის პირების სიმრავლე შეინიშნებოდა. ხალხმრავლობა იყო "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივ ოფისშიც.

ერედვის მაცხოვრებთაგან გუშინდელი შეკრების მიზანი ბევრმა ვერ გაიგო. ზოგიერთის აზრით, გუშინ სოფელში **"მთავრობა იყო მოსული". "არჩევნებით არაფერი გამოვა, უნდა ვიომოთ,"** - ერედველები ასეთ რადიკალურ მოსაზრებებსაც გამოთქვამენ.

"ალტერნატიული არჩევნების" ლეგიტიმურობა, რასაკვირველია, საეჭვოა, თუმცა თავად ეს ინიციატივა "ოსი ხალხის ნების გამომხატველი" კოკოითის ხელისუფლების ლეგიტიმურობის ხარისხზე უარყოფითად აისახება.

# ...აღასრულეთ თქვენი ქრისტიანული ვალი ღვთისა და ადამიანების წინაშე!

*"რუსეთში მიმდინარე ანტიქართული კამპანია არ არის მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკა. ჩვენ არ გვიპირისპირდება მხოლოდ მთავრობა. ჩვენ გვიპირისპირდება რუსეთის საზოგადოება," - განაცხადა ორი კვირის წინ პროფესორმა ნოდარ ლადარიამ. ამ ორ კვირაში რუსეთში არაფერი შეცვლილა. ქართველთა დევნა უფრო სასტიკი გახდა. ეთნიკურ ქართველებს ახლა არა მხოლოდ სახელმწიფო ჩინოვნიკები ავიწროვებენ. ქართული ეთნიკური წარმომავლობა და გვარი რუსეთში უკვე ყოფით პრობლემებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაში ქმნის.*

ეკა ჯანაშია

"ეხო მოსკვიმ", რუსეთის იუსტიციის სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, გაავრცელა განცხადება, რომ რუსეთში მცხოვრები ქართველები, განურჩევლად იმისა, რუსეთის მოქალაქეები არიან თუ სხვა ქვეყნის, მასობრივად იცვლიან გვარს. საპასპორტო განყოფილებებში ასეთი განცხადებებით მისული ქართული წარმომავლობის ადამიანების რიგი დგას. მათი ჯანმრთელობისა და ხშირად სიცოცხლისთვისაც საშიში ხდება ქართული წარმოშობა. ამ ვითარებაში დუმილს ინარჩუნებს რუსეთში საზოგადოებაზე ყველაზე დიდი გავლენის მქონე ინსტიტუტი - რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია. მოსკოვის საპატრიარქოს არც ერთ წარმომადგენელს არ გაუკეთებია განცხადება, რომ გმობს სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობილ და წახალისებულ ნაციზმს.

გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციამ - "რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრი" - გამოხატა აღშფოთება რუსეთის საპატრიარქოს პოზიციის გამო და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი მეორეს წერილი გაუგზავნა: **"თქვენო უწმიდესობავ, მოგმართავთ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან თქვენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიმართ რასიზმისა და ქსენოფობიის აღმაშფოთებელი გამოვლინებების გამო. ეთნიკური ნიშნით მასობრივმა დევნამ და დეპორტაციებმა, რუსეთის ხელისუფლების არაადამიანურმა და მხეცურმა დამოკიდებულებამ დაკავებული საქართველოს მოქალაქეების მიმართ, უკვე გამოიწვია ორი ადამიანის სიკვდილი.**

**ანტიქართულმა კამპანიამ საყოველთაოდ აღიარებული ხასიათი მიიღო. თავს ესხმიან ქართულ მრევლს მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, ქართველ მოსწავლეებს სკოლებში, ასევე მეცნიერებისა და ხელოვნების ქართული წარმოშობის მოღვაწეებს.**

**სამწუხაროდ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია არა მარტო არ აპროტესტებს ანტიქართულ ისტერიას, არამედ მდუმარედ ადევნებს თვალს ეთნიკური ნიშნით ადამიანების დევნას და ამით ხელს უწყობს რასიზმისა და ქსენოფობიის გაძლიერებას თავის მრევლში. უფრო მეტიც, მოსკოვის საპატრიარქოს სხვადასხვა ოფიციალური წარმომადგენლები თავის გამოსვლებში ამართლებენ რუსეთის ხელისუფლების ანტიქართულ პოლიტიკას. გასაკვირი არაა, რომ მოსკოვში გამართულ აქციაში - "მე ქართველი ვარ" - არც ერთმა მღვდელმსახურმა არ მიიღო მონაწილეობა.**

**მოგიწოდებთ, აღასრულოთ თქვენი ქრისტიანული ვალი ღვთისა და ადამიანების წინაშე და თქვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით წინ აღუდგეთ თქვენი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ უდანაშაულო ადამიანების დევნას."** მიმართვას ხელს აწერენ დეკანოზი ბასილ კობახიძე, მღვდელი ზაზა თევზაძე, პროფესორი ნოდარ ლადარია, რელიგიური საკითხების შემსწავლელი ცენტრის დირექტორი ლადო გოგიაშვილი და ამ ცენტრის ყველა თანამშრომელი.

ცენტრის თანამშრომელმა, დეკანოზმა ბასილ კობახიძემ, რომელიც პირადად მოსკოვის პატრიარქმა ალექსი მეორემ დააჯილდოვა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. კეთილმორწმუნე მთავარ დანიელ მოსკოველის ორდენით, რუსეთის საპატრიარქოს "არაქრისტიანული და არაადამიანური" პოზიციისადმი პროტესტის ნიშნად, რუსეთის პატრიარქს ეს ჯილდო უკან დაუბრუნა. ალექსი მეორემ მამა ბასილი ამ ორდენით 1996 წელს დააჯილდოვა. კეთილმორწმუნე მთავარ დანიელის ორდენი საქართველოში მხოლოდ 6 სასულიერო პირს აქვს - კათალიკოს-პატრიარქს, ოთხ ეპისკოპოსსა და დეკანოზ ბასილ კობახიძეს. მან გუშინ ორდენი და მისი მიღების დამადასტურებელი სიგელი რუსეთის საპატრიარქოს ფოსტით გაუგზავნა. საქართველოში წმინდა კეთილმორწმუნე მთავარ დანიელის ხუთი ორდენი რჩება. ქართველთა მდგომარეობა კი რუსეთში დღითი-დღე უარესდება.

# "აიპაპი"-დან "მაპ"-ამდე

პირველი გვერდიდან

მაგრამ ინდივიდუალური პარტნიორობის თანამშრომლობის გეგმა (აიპაპი) არ წარმოადგენს ნატო-ში გაწევრიანების ეტაპს. ამ გეგმაში ახლა აზერბაიჯანი და სომხეთიც არიან ჩართულნი (ადრე ჩართული იყო უზბეკეთიც), რომელთაც საქართველოსგან განსხვავებით, არ დაუფიქსირებიათ ნატო-ში გაწევრიანების სურვილი. ნატო-ში გაწევრიანების ფორმალურ ეტაპსა და ინსტრუმენტს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (მაპი) წარმოადგენს. ეს უკანასკნელი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ცივი ომის დასრულების შემდეგ გაფართოების პირველი ტალღისას ნატო-ში ჩეხეთი, პოლონეთი და უნგრეთი მიიღეს. მათი გაწევრიანების გამოცდილებამ ნატო-ს უკარნახა სპეციალური მექანიზმის შემუშავების აუცილებლობა, რაც დაეხმარებოდა ალიანსში შესვლის მსურველ სახელმწიფოებს ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოებაში. მოყოლებული იქიდან "მაპ"-ი ყველა მსურველმა სახელმწიფომ უნდა გაიაროს. "მაპ"-ი მოიცავს მთელ რიგ სერიოზულ რეფორმათა ნუსხას.

რაც შეეხება "აიდ"-ის, ანუ ინტენსიფიცირებულ დიალოგს, იგი "მაპ"-ზე კიდევ უფრო ძველი ფენომენია და გაფართოების პირველი ტალღისას გაჩნდა. მისი სრული სახელწოდებაა ინტენსიფიცირებული დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე (Intensified Dialogue on Membership Issues). ანუ, ეს ეტაპი გაიარეს პოლონეთმა, ჩეხეთმა და უნგრეთმაც კი - მათ, ვისაც "მაპ"-ი არ გაუვლია. მოყოლებული იქიდან, ინტენსიური დიალოგი გაიარა ყველა სახელმწიფომ, ვინც შემდეგ ნატო-ს შეუერთდა - ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, სლოვენიამ, სლოვაკიამ, რუმინეთმა, ბულგარეთმა. ასე რომ, ეს ეტაპი საქართველოსაც უნდა გაევლო და პირდაპირ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე "გადახტომა" შეუძლებელი იყო. პესიმისტების მხარეზე შეიძლება მხოლოდ ერთი არგუმენტი იყოს (თუმცა, ისინი ამ არგუმენტს ვერ იყენებენ) - ნატო-ს ახალი წევრი სახელმწიფოებიდან არც ერთს არ გაუვლია ინდივიდუალური პარტნიორობის თანამშრომლობის გეგმა. საქართველო ამ გეგმას გადის და, აქედან გამომდინარე, მისთვის თითქოსდა გამონაკლისი უნდა დაეშვათ და გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე გადაეყვანათ. მაგრამ ნუ მოვიტყუებთ თავს - საქართველო ყველა ზემოთჩამოთვლილ ახალ წევრ-სახელმწიფოზე შორს იდგა დასავლური სტანდარტებისგან და ამიტომაც საჭიროებდა ინდივიდუალური პარტნიორობის თანამშრომლობის გეგმას.

ეს უკანასკნელი კი, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, ნატო-ში გაწევრიანების ფორმალურ ეტაპს არანაირად არ წარმოადგენს. მაგრამ ინტენსიფიცირებული დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე, უკვე თავისი დასახელებიდან გამომდინარე, სულ სხვა შინაარსის ურთიერთობაა და მისი შემდგომი ეტაპი უკვე ყველაზე სანუკვარი აბრევიატურა - "მაპ"-ი იქნება.

# რუსეთი გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს

*რუსეთ- საქართველოს დაძაბული ურთიერთობების ფონზე , რუსეთიდან დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ბოლო დღეებში, დეპორტირებულთა რიცხვმა ათასს გადააჭარბა. არა და ,მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში, რუსეთის ფედერალური მიგრაციული სამსახურის მიერ, ქვეყნიდან საქართველოს 5 ათასი მოქალაქეა დეპორტირებული. რუსეთის ფედერალური მიგრაციული სამსახურის უფროსი, კონსტანტინე რომოდანოვსკი "როსიისკაია გაზეტისათვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ ყველაზე კანონმორჩილი მიგრანტები უკრაინისა და ჩინეთის მოქალაქეები არიან. რომოდანოვსკი, რატომღაც, ზუსტად ან არ, ან ვერ ასახელებს , ბოლო დროს რუსეთიდან დეპორტირებული საქართველოს მოქალაქეების რიცხვს და შესაბამის დინამიკას. ასევე , უცნობია ამ დროისათვის რამდენი ქართველი მოქალაქის დეპორტაცია მზადდება.*

ნათია მსხილაძე

სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე თანამემამულეთა კონგრესზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის პარალელურად რუსეთი ქვეყანაში ლეგალიზაციისა და დასაქმების პროცედურას გაამარტივებს.

პუტინის მტკიცებით, 2007 წლის 15 იანვრიდან არსებითად გამარტივდება რუსეთში ყოფნისა და მუშაობის უფლების მოპოვების პირობები. ასევე, მოიხსნება ბევრი ადმინისტრაციული ბარიერი. **" შრომითი მიგრაციის თემა მნიშვნელოვანია დსთ-ის ქვეყნებში მცხოვრები თანამემამულეებისთვისაც. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას არალეგალურ მიგრაციასთან, მაგრამ გავამარტივებთ მათ ლეგალიზაციას, ვინც ცხოვრობს და მუშაობს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე"** , - აღნიშნა პუტინმა.

რუსეთი საქართველოს თავის პირობებს უყენებს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის გრიგორი კარასინის თქმით, სხვადასხვა დონეზე რუსულ-ქართული პოლიტიკური კონტაქტების აღდგენა დამოკიდებულია იმაზე, გადადგამს თუ არა ოფიციალური თბილისი რეალურ ნაბიჯებს მოსკოვთან ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის, განცხადებით კი, რუსეთი უახლოეს მომავალში საქართველოსთან სატრანსპორტო კავშირის აღდგენას არ აპირებს. ლავროვის თქმით, თუკი საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები საქართველოს დატოვებას დააპირებენ, შესაბამისი განცხადებით რუსეთის საელჩოს უნდა მიმართონ. **" საელჩოში შემუშავებულია ასეთ ადამიანებთან მუშაობის სქემა. თუმცა, მე ამ მსმენია, რომ საელჩოში ასეთი განცხადებები დიდი რაოდენობით იყოს შესული"**, - აღნიშნა სერგეი ლავროვმა.

ლავროვის განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურა. ქართული მხარის განცხადებით, მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის მოწოდებისა სიტუაციის დარეგულირებისკენ, როგორც ჩანს, რუსეთის მხარე არ აპირებს საქართველოს ბლოკადის შეწყვეტას. **" ამგვარი პოზიცია კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქმე გვაქვს არა " ჯაშუშური სკანდალის" შედეგად გამოწვეულ გართულებასთან, არამედ წინასწარ დაგეგმილ, შორს მიმავალი მიზნების მქონე პოლიტიკურ კურსთან. საქართველოს არჩეული აქვს ქვეყნის განვითარების მიზნები და პრიორიტეტები, რაც გამოიხატება სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასა და კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. ჩვენს გვსურს, რომ ამ მიზნების მიღწევაში რუსეთი საქართველოს პარტნიორი იყოს"** , - აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ქართული მხარე, ნებისმიერ დონეზე კონსტრუქციული დიალოგის წარმართვისთვის, სრულ მზადყოფნას გამოთქვამს. კერძოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, გელა ბეჟუაშვილი, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომის ფარგლებში, მოსკოვში ვიზიტის დროს, მზად არის გამართოს ორმხრივი შეხვედრები, როგორც თავის რუს კოლეგასთან, ასევე რუსეთის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან.

როგორც "რია ნოვოსტი", რუსეთის ფედერაციაში საქართველოს კონსულის ზურაბ პატარიძის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება, რუსეთის ცხრა მოქალაქემ საქართველოს მოქალაქეობის მიღების თხოვნით, მოსკოვში საქართველოს საკონსულოს მიმართა. მათ შორის, ვინც საქართველოს მოქალაქეობის სურვილი გამოთქვა, როგორც ქართული, ასევე რუსული წარმოშობის რუსეთის მოქალაქეები არიან. ზურაბ პატარიძის თქმით, საქართველოს საკონსულოში შემოსული განცხადებები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაიგზავნება. აღნიშნულ საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კი, საქართველოს პრეზიდენტის პრეროგატივაა.

# მოკლედ

## პუტინი თანამემამულეებს ლეგალიზაციის რეჟიმის გამარტივებას ჰპირდება

სანკტ-პეტერბურგში მიმდინარე თანამემამულეთა კონგრესზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის პარალელურად რუსეთი გაამარტივებს ქვეყანაში ლეგალიზაციისა და დასაქმების პროცედურას. იტყობინება სააგენტო "იტარ-ტასი"

"მომავალი წლის 15 იანვრიდან მნიშვნელოვნად გამარტივდება რუსეთში ყოფნისა და სამუშაოზე მოწყობის რეჟიმები. ამასთან ამაღლდება დამსაქმებელთა პასუხისმგებლობა და მოიხსნება ზედმეტი ადმინისტრაციული ბარიერები," - განაცხადა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, შრომითი მიგრაციის თემა მნიშვნელოვანია დსთ-ს ქვეყნებში მცხოვრები თანამემამულეებისთვისაც.

"ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას არალეგალურ მიგრაციასთან, მაგრამ გავამარტივებთ მათ ლეგალიზაციას, ვინც ცხოვრობს და მუშაობს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე," - აღნიშნა პუტინმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რესპუბლიკელები და კონსერვატორები საპრეზიდენტო ფონდიდან თანხის 4 მიმართულებით გამოყოფას ითხოვენ

რესპუბლიკელები და კონსერვატორები მიხეილ სააკაშვილს საპრეზიდენტო ფონდიდან თანხების 4 მიმართულებით გამოყოფას სთხოვენ. ოთხივე საკითხი დაკავშირებულია რუსეთში მყოფი ქართველების ბედთან.

როგორც რესპუბლიკელების წარმომადგენელი თინა ხიდაშელი აცხადებს, თანხების გამოყოფა აუცილებელია ოღონდ რაოდენობა თავად პრეზიდენტმა და მთავრობამ უნდა განსაზღვროს.

პირველი ეს არის უკვე დეპორტირებულებისთვის დახმარების ფონდის შექმნა. მეორე რუსეთში არსებული საკონსულოებისთვის პროფესიონალური კადრების დამატება. მესამე - კვალიფიციური ადვოკატების დაქირავება სარჩელების მოსამზადებლად ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სასამართლოში წარსადგენად და მეოთხე, პარლამენტის თავმჯდომარემ და პრეზიდენტმა საქართველოსა და რუსეთში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მუშაობენ ამ საკითხების შესასწავლად თანხა გამოუყონ.

"მე მზად ვარ, და ასევე ჩვენი პარტიის ყველა კადრი რომ სარჩელებთან დაკავშირებით იმუშაოს", - განაცხადა თინა ხიდაშელმა.

გია თორთლაძემ კი განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, ქართველებზე ზეწოლა ხორციელდება არა მხოლოდ მოსკოვში, არამედ სხვა ქალაქებშიც. მათი თქმით, საჭიროა, რომ ხელისუფლებამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად უფრო თანმიმდევრულად იმუშაოს და კარგი იქნება, თუ მათ მიერ შეთავაზებულ სქემას განახორციელებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# იუსტიციის სამინისტრო დეპორტირებულების საქმეებს სწავლობს

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

24 ოქტომბერს ქუთაისში იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები ჩავიდნენ და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში რუსეთიდან დეპორტირებულ ქართველებს შეხვდნენ. იმერეთის რეგიონში ამ დროისთვის 100-მდე დეპორტირებულია რეგისტრირებული, რომელთა საქმეებს, პრეზიდენტის დავალებით, იუსტიციის სამინისტრო სწავლობს, რათა უხლოეს მომავალში მომზადდეს ერთიანი სარჩელი სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლოში წარსადგენად.

**"ჩვენ კიდევ ერთხელ მოგვაყოლეს ის ამბები, რაც თავს გადაგვხდა რუსეთში დაკავებისას და დეპორტაციისას. სპეციალურ მიმღებ-გამანაწილებელში საშინელ პირობებში ვიყავით: დღეში ერთხელ გვაჭმევდნენ და თანაც, რაღაც საშინელებებს. ასევე, ერთხელ გვაძლევდნენ საპირფარეშოში გასვლის უფლებას. გვეუბნებოდნენ, წადით და სააკაშვილს მოკითხეთ ყველაფერიო. მე ყველა დოკუმენტი მქონდა წესრიგში, უფრო მეტიც, 12 ნოემბერს მოვდიოდი საქართველოში, მაგრამ ეს მათ არ აინტერესებდათ. ნათხოვარი ტანსაცმლით დავდივართ, მთელი ჩემი ნაწვალები იქ დავტოვე. რითი უნდა ვარჩინო ჩემი სამი შვილი, არ ვიცი. ახლა დაგვპირდნენ, რომ დაგვეხმარებიან ჩვენი ქონებისა და ნივთების დაბრუნებაში, რაც რუსეთში დაგვრჩა,"** - ამბობს წყალტუბოში მცხოვრები ხათუნა კინწურაშვილი, რომელიც 28 სექტემბერს МЧС-ის საბარგო თვითმფრინავით ჩამოიყვანეს საქართველში.

**"რაც რუსეთში ქართველებია, ყველა რომ ჩამოიყვანონ, ალბათ, ერთი წელი არ ეყოფა მათ ტრანსპორტირებას. მარტო იმ სპეციალურ მიმღებ-გამანაწილებელში 3000 ქართველი ვიყავით დაკავებული. იმედი მაქვს, ჩვენი ხელისუფლება დაგვეხმარება, რომ რაღაც სამუშაო ადგილი გამოგვიძებნონ. ახლა გვითხრეს, სასამართლოში შევიტანთ სარჩელს და ფინანსურ დახმარებებსაც მიიღებთო. ვნახოთ, რა იქნება. ჯერჯერობით, ჩვენი ხელისუფლების მადლობელი ვართ, თუნდაც იმიტომ, რომ ცოცხლებმა ჩამოვაღწიეთ აქამდე და ჩვენმა კონსულმა უპატრონოდ არ მიგვატოვა,"** - ამბობს კიდევ ერთი დეპორტირებული ირმა შალიკიანი.

თავად იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებს ქუთაისში კომენტარი არ გაუკეთებიათ იმის თაობაზე, თუ რა დახმარების მიღების იმედი შეიძლება ჰქონდეთ დეპორტირებულებს, ან რა ვადაში მოამზადებს საქართველოს მთავრობა სარჩელს სტრასბურგის სასამართლოში წარსადგენად.

# "საქართველოს აფხაზური პოლიტიკა"

*ტრადიციული "ოთხშაბათობა" გაიმართა ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ოფისში. "საქართველოს "აფხაზური" პოლიტიკა - სიახლე და სტრატეგია" იყო იმ დისკუსიის თემა, რომელზე სასაუბროდაც შეხვედრაზე მიწვეული იყვნენ საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ფონდის ექსპერტი არჩილ გეგეშიძე და პარლამენტარები - ნიკა გვარამია და ივლიანე ხაინდრავა.*

ლელა მარგიანი

**დავით პაიჭაძე:** ჩვენი საჯარო დისკუსიის თემა გახლავთ "საქართველოს აფხაზური პოლიტიკა - სიახლე და სტრატეგია", ანუ საუბარი იქნება პოლიტიკაზე აფხაზეთის მიმართ. რაც შეეხება სიახლეს, მისი "აღწერის" აუცილებლობა, კარგა ხანია, საზოგადოებაში არსებობს. იგულისხმება სიტყვიერი გამოხატვა, თორემ მასზე დაკვირვება და დასკვნების გაკეთება საზოგადოებას შეუძლია. მე არ შემოგთავაზებთ საკუთარ ხედვას, უბრალოდ, ძალიან ზოგადად აღვნიშნავ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შეიცვალა ეს პოლიტიკაც. შესაძლოა, პოლიტიკური პროცესებით დაუინტერესებელი მოქალაქე მხოლოდ ახლა აცნობიერებდეს, თუ როგორ შეიცვალა ის რევოლუციიდან სამი წლის შემდეგ, მხოლოდ ახლა ხდებოდეს მისთვის საცნაური ის მიზნები და სტრატეგია, რაც ამ პოლიტიკის შეცვლას ახლდა.

ჩვენი სტუმრები დღეს გახლავთ: ბატონი ნიკა გვარამია - საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ბატონი ივლიანე ხაინდრავა - ოპოზიციიდან და ბატონი არჩილ გეგეშიძე - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდიდან. თავდაპირველად, ბატონ ნიკას ვთხოვ, ამ თემაზე გვესაუბროს.

**ნიკა გვარამია**: კი ბატონო, რამდენიმე სიტყვით იმაზე, რასაც ჰქვია "საქართველოს აფხაზური პოლიტიკა". უპირველეს ყოვლისა, ვიტყოდი, რომ პოლიტიკამ ცვლილებები კი არ განიცადა, არამედ პოლიტიკა "გაჩნდა" სულ ახლახან. მე ამას არ ვუკავშირებ მხოლოდ ვარდების რევოლუციას და ხელისუფლების ცვლილებას. მე ვუკავშირებ ქართველი ერის კონსოლიდაციას, არა მხოლოდ ხელისუფლების ირგვლივ, არამედ საერთოდ, პოზიტიური სახელმწიფოებრივი ფასეულობების ირგვლივ. პერსონიფიცირებული ეს ფასეულობები, რა თქმა უნდა, ხელისუფლების სახით არ არის. ფასეულობების სისტემა, სადაც ტერიტორიული მთლიანობა ფასეულობების სისტემაში ყველაზე უფრო მაღალ ადგილს იკავებს, ახალია ქართული საზოგადოებისთვის და მიუხედავად იმისა, რომ ემოციური განწყობილება ტერიტორიული მთლიანობის, დაკარგული აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიმართ ყოველთვის არსებობდა, საზოგადოებრივი კონსოლიდაცია ამ პრობლემის ირგვლივ, ჩემი აზრით, პრინციპში არ არსებობდა.

დღეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პრობლემა, გარკვეული თვალსაზრისით, დაძლეულია. ხელისუფლების წვლილი ამაში არის, მაგრამ უფრო დიდი წვლილია ქართული საზოგადოების, რომელმაც საკუთარ თავში პრიორიტეტად ჩამოაყალიბა ეს საკითხი. ამავე დროს, ძალიან ბევრი რამე ქვეყანაში სწორედ საზოგადოებრივი დაკვეთით ხდება, შემდეგ პოლიტიკოსები ნამდვილად საზოგადოების დაკვეთით მოქმედებენ და აკეთებენ ადეკვატურ განცხადებებს.

ბუნებრივია, რომ დღეს უმთავრესი საზოგადოებრივი დაკვეთა - ეს არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. გარკვეულად ჩაკეტილი წრეც იკვრება: ხელისუფლება ბევრს აკეთებს იმისთვის, რომ ეს დაკვეთა გაჩნდეს და ეს დაკვეთა განაპირობებს იმას, რომ ხელისუფლება ამას აკეთებს. ასეთი ორმხრივი დამოკიდებულებაა ამასთან დაკავშირებით, მაგრამ შედეგობრივი თვალსაზრისით, ვფიქრობ, მივიღეთ ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი: ქვეყანა მიდის აქეთკენ. შესაძლებელია, საკამათოა გზები, რომლითაც ქვეყანა აქეთკენ მიდის, მაგრამ ფაქტია, რომ დინამიკა ამ მიმართულებით ცალსახად არსებობს.

როგორია პოლიტიკა? პოლიტიკა არის მრავალვექტორიანი, რაც თავისთავად ღირებულების ფაქტია უკვე იმიტომ, რომ ერთვექტორიანი პოლიტიკა აბსოლუტურად გაუმართლებელია და შედეგს ვერ მოიტანს. უნდა გვესმოდეს - საქართველო დგას ძალიან დიდი წინაღობების წინაშე და ამ წინაღობას ჰქვია "რუსეთი".

უპირველეს ყოვლისა, მე არ ვაპირებ წაყრუებას, რომ არსებობს სამხედრო სტრატეგიული გზა, როგორც ლეგიტიმური, მაგრამ არა უნივერსალური და არა ყველაზე სასურველი გზა პრობლემის მოგვარებისა, მაგრამ გზა, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული შედეგის სხვა გზებით მიუღწევლობის შემთხვევაში. როდესაც ვსაუბრობთ უზრუნველყოფაზე, იბადება კითხვა: "რისი უზრუნველყოფის?" - არა საკუთრივ კონფლიქტის მოგვარების, არამედ კონფლიქტის უკეთესი გზებით მოგვარების უზრუნველყოფის მექანიზმი.

არაფერი ამაში გასაკვირი არ არის, არც შიდასამართლებრივად მიუღებელი და არც საერთაშორისო სამართლის ნორმებით მიუღებელი. ერთადერთი პრობლემა, რომელიც ამ გზაზე შეიძლება წარმოიშვას - ეს არის საერთაშორისო პოლიტიკის კონიუნქტურა, რომელიც, ბუნებრივია, ამ მიმართულებით არ არის და ვერც იქნება განწყობილი. თუმცა, მსგავსი რამის დაშვების ძალიან ბევრი პრეცენდენტი, მსოფლიო წესრიგის ჩარჩოებში "ძალით დამყარებული" მშვიდობის მცდელობები ნამდვილად არსებობს.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენთვის ეს არ არის მხოლოდ სამშვიდობო ოპერაცია დემოკრატიის ექსპორტის ნიშნით. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ანუ დაკარგული ტერიტორიის დაბრუნება. ეს არ არის დიდი ხნის წინათ დაკარგული ტერიტორია. ეს არის ახლახან ანექსირებული ტერიტორია, რომელთან დაკავშირებითაც სახელმწიფო იძულებულია და ვალდებულიც არის საკუთარი მოქალაქეების წინაშე, მიმართოს ყველა ლეგიტიმურ გზას. ამ გზებს შორის სამხედრო გზა ნამდვილად არსებობს და იგი არავის გამოურიცხავს.

უბრალოდ, როდესაც ჩვენ ვისმენთ რიტორიკას, რომ ასეთი გზის გამოყენება არ შეიძლება, ეს რიტორიკა მოდის ისეთი ადრესატების მხრიდან, რომლებიც, სრულიად დარწმუნებული ვარ, ანალოგიურ სიტუაციაში არანაირად არ იფიქრებენ ალტერნატიულ გზებზე. ისინი არც არავის ჰკითხავენ ამ გზების გამოყენებას. თუმცა საერთაშორისო პოლიტიკის კონიუნქტურა ისეთია, რომ საქართველო და ის ქვეყნები განსხვავებულ მდგომარეობაში არიან.

რაც შეეხება ძირითად გზებს, ესაა სამშვიდობო რეგულირების პროცესი, რომელსაც სათანადო სამხედრო არგუმენტაციის გარეშე რაიმე რეალიზაციის პერსპექტივა არ გააჩნია. ჩვენ გვაქვს საქმე "მხარესთან", რომელსაც სჯერა საკუთარი დამოუკიდებლობის, რომელსაც არავითარი პერსპექტიული ხედვა საქართველოსთან თანაცხოვრებისა არ გააჩნია. აფხაზურ მხარეს (ოსურ მხარესთან ცოტა განსხვავებული სიტუაციაა) საქართველოსთან ბილატერალური - ასე ვთქვათ, ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერსპექტივაზე არავითარი ხედვა არ გააჩნია. ყველაფერი, რაც ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს, ჩემის აზრით, რეალობას მოკლებულია. ამიტომ პერსპექტივაში ჩვენი მოლაპარაკებები უნდა ავაგოთ იძულების ფაქტორებზე და ამაში არ ვგულისხმობ სამხედრო ოპერაციას.

ჩვენ უნდა ავაგოთ "იძულების ფაქტორებზე", გამომდინარე იმ შესაძლებლობებიდან, რაც იმ პერიოდში ჩვენს ქვეყანას ექნება. დღეს ეს შესაძლებლობები ჯერჯერობით არ არის სათანადო. მე არ ვამბობ, რომ სულ "დამოკლეს მახვილივით" უნდა ეკიდოს ჰაერში დენთის სუნი, მაგრამ ვფიქრობ, ქვეყანა სათანადოდ მომზადებული უნდა იყოს იმისთვის, რომ აფხაზურ მხარეს "გაუჩნდეს" სტიმული საქართველოსთან ამ საკითხზე დალაპარაკებისა. როდის უნდა დავიწყოთ ამ საკითხზე საუბარი, სხვადასხვა შეხედულებები არსებობს, მათ შორის, ხელისუფლებაშიც.

ჩემი აზრით, საუბრები დაწყებული უნდა გვქონდეს და კორექტირებადი კონსტიტუციური სტატუსი აფხაზეთისა უკვე უნდა არსებობდეს. კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის ვალდებულება ჩვენი ამომრჩევლების წინაშე ხელისუფლებას აქვს და ექნება, მიუხედავად მისი პარტიული კუთვნილებისა. და ამაზე ქართველი ერი, სრულიად დარწმუნებული ვარ, არასოდეს იტყვის უარს. ამ ქვეყნის "შემდგარობის" უმთავრესი კრიტერიუმი ყოველთვის სწორედ ეს საკითხი იქნება, მიუხედავად იმისა, თუ რას ვილაპარაკებთ ჩვენ დემოკრატიაზე და სხვა საკითხებზე.

ამ კრიტერიუმზე უფრო მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არ არსებობს. ეს საზოგადოებრივი დაკვეთა არ მოიხსნება. ამიტომ, პროაქტიური პოზიციის დაკავება ამ საკითხში ძალიან მნიშვნელოვანია და მე, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით უფრო პროაქტიურები უნდა ვიყოთ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, სადაც უფრო მეტის გაკეთება შეიძლება, ეს არის საგარეო პოლიტიკის ახალი მოცემულობების გამოყენება. პირველ ყოვლისა, ეს არის რუსეთთან დამოკიდებულება. რუსეთს ბოლო პერიოდში ჰქონდა აბსოლუტურად წარუმატებელი სერია საქართველოზე ზემოქმედებისა, რუსული პოლიტიკა თავისი ინიციატივების გზით "აძლევს" საქართველოს უპირატესობებს და მას გამოყენება სჭირდება.

ის, რაც მოხდა კოდორის ხეობასთან დაკავშირებით, ის, რაც მოხდა ბოლო პერიოდში საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში (ვგულისხმობ, პრაქტიკულად, ფაშისტურ გამოხდომებს რუსული ხელისუფლებისა) - ეს ყველაფერი არის ძალიან ადეკვატურად "გამოსაყენებული", არის ძალიან "დროული" ჩვენთვის, და ძალიან მნიშვნელოვანი. ჩემი აზრით, იმავე გაეროს რეზოლუციასთან დაკავშირებით ჩვენ ცოტა მოუმზადებლები ვიყავით. შესაძლებელი იყო წინმსწრები გადაწყვეტილებების მიღება საქართველოს პარლამენტის მხრიდან, მაგრამ ჩვენ დავდექით ფაქტის წინაშე, როდესაც ასეთი რეზოლუცია იქნა მიღებული. ამ შემთხვევაში, მგონია, რომ შიდა რესურსი ბოლომდე არ იქნა გამოყენებული.

ვგულისხმობ რუს სამშვიდობოებთან დაკავშირებით აქტიურობას, არა პარლამენტის, რომელსაც უკვე დიდი ხანია მიღებული აქვს გადაწყვეტილება, არამედ - მთავრობის.

ხშირად მეჩვენება, რომ საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ყველა საკითხში ნამდვილად ძალიან აქტიურია, ცოტა ინერტულია რუსეთის მიმართ. იმ თვალსაზრისით, რომ რაღაც ინერცია, რაღაც გარკვეული კლიშეები რუსეთის შესაძლებლობების შესახებ მაინც არსებობს ამ ხელისუფლებაში, ეს კი გარკვეულ მუხრუჭებს აჩენს. რა თქმა უნდა, არსებობენ ხელისუფლებაში ისეთი ადამიანებიც, ვინც ამის საპირწონეები არიან. მაგრამ ფაქტია, რომ ამ "გაწონასწორების" პირობებში მთლად საჭირო კონდიციის ურთიერთობებს მაინც არ ვიღებთ. უფრო გაბედულები უნდა ვიყოთ და, ჩემი აზრით, რაც უფრო სწრაფად მოხდება ამ ურთიერთობების გადალაგება - საბოლოო შედეგის მიღება, მით უფრო სწრაფად იქნება პოზიტიური შედეგები საქართველოსთვის.

თეორიულად გამორიცხულია, საქართველო მსოფლიო რუკიდან "წაიშალოს" იმის გამო, რომ რუსეთი არ აწვდის დენს და გაზს. ქვეყნები არ "იკარგებიან" იმის გამო, რომ მეზობელი ქვეყანა მათ უჩერებს ეკონომიკურ აქტივობას, ეს წარმოუდგენელია. მით უმეტეს, ისეთი მხარდაჭერის პირობებში, როგორიც საქართველოს აქვს.

ჯაშუშებთან დაკავშირებული ბოლო სკანდალი რეალურად, რა თქმა უნდა, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იყო სტიმულირებული, მაგრამ ამან მნიშვნელოვანი შედეგებიც მოიტანა. მაგალითად, განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი ვერ იქნება მესამე მხარე კონფლიქტში, ვინაიდან მავნებლობს საქართველოს ტერიტორიაზე, ანუ ჰყავს ჯაშუშები და საკუთარი რეაქციით ადასტურებს, რომ მიკერძოებულია ამ ქვეყნის წინაშე. ასეთი განცხადებები ამ სკანდალის გარეშე ვერ იქნებოდა.

პოლიტიკოსების ამოცანაა, მთელ მსოფლიოს დაანახოს, რომ "ცივი ომი" საბჭოთა კავშირის დაშლით არ დამთავრებულა და რომ "საბჭოთა კავშირი" ჯერ კიდევ არსებობს სხვა სახელწოდებით. მსოფლიომ უკვე დაინახა - საქართველო აღმოჩნდა ინდიკატორი იმისა, რომ რუსეთმა, პრაქტიკულად, "გააშიშვლა" თავისი სახე მთელი სამყაროს წინაშე. ყველას აჩვენა - ევროპა (ნაკლებად ამერიკის შეერთებული შტატები) იმყოფება თვითდარწმუნებისა და თვითმოტყუების კომფორტულ სტადიაში, როდესაც ფიქრობს, რომ "ცივი ომი" წარმატებით დასრულდა და საბჭოთა კავშირი დაიშალა. რუსეთს კვლავ ჰყავს საბჭოთა კავშირისეული "სატელიტები", პოლიტიკაც, პრაქტიკულად, იდენტურია. იდეოლოგიის დონეზე პირველი პირების მხრიდან არის განცხადებები საბჭოთა კავშირის რღვევის ტრაგიკულობის შესახებ ანუ რეალურად არაფერი შეცვლილა. ასეთი ტიპის საკითხები მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, რომ საქართველოს არა მხოლოდ აქვს მხარდაჭერა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, არამედ საქართველო გახდა უშუალო ინდიკატორი ამ საკითხებისა. ამიტომ საგარეო პოლიტიკის ვექტორი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. საერთაშორისო თანამეგობრობა არის ყველაზე სერიოზული გარანტი იმისა, რომ ეს კონფლიქტი მინიმალური სამხედრო ოპერაციის გარეშეც მოგვარდეს.

რა შეიძლება სამართლებრივი თვალსაზრისით მოხდეს? ჩემი აზრები არ არის თანხვედრაში "უმრავლესობის უმრავლესობასთან" - მე ვფიქრობ, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით, საუბარი იმავე რეფერენდუმზე (დევნილი და იქ მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივ რეფერენდუმზე) არ არის მთლად უიმედო. მართალია, ძალიან ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ ეს მრავალ რისკ-ფაქტორს შეიცავს, მაგრამ მე არა მგონია, ასე იყოს. ოღონდ, რა თქმა უნდა, ერთადერთი პირობით - დევნილთა სრული დაბრუნებით და რეფერენდუმში მათი მონაწილეობით (თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ამაზე არც აფხაზური და არც რუსული მხარე არასდროს დათანხმდება).

მე დარწმუნებული ვარ ამ რეფერენდუმის შედეგებშიც და რისკ-ფაქტორებს ამაში ვერ ვხედავ. სამაგიეროდ, ეს პრობლემა ასე ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება.

ვფიქრობ, სახელმწიფოს მხრიდან პოზიტივი ნამდვილად არის, ნეგატიური ნაბიჯები არ იდგმება, თუმცა, მიმაჩნია, რომ ეს პოლიტიკა არ არის სათანადოდ გააქტიურებული, როგორც, მაგალითად, სამხედრო აღმშენებლობა, თორემ გაცილებით ხელშესახები შედეგები გვექნებოდა.

**ივლიანე ხაინდრავა:** ბატონ ნიკასთან დისკუსიაში ვერ შევალ და არც შევალ, რადგან, პრაქტიკულად, რა მიდგომებიც იყო წარმოდგენილი ბატონ ნიკას მიერ, მე მისი სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებები მაქვს.

ამიტომ მე სხვა საკითხებზე გავამახვილებ ყურადღებას. მინდა ვისაუბრო რამდენიმე სტერეოტიპზე, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში არსებობს თავად თემის - ქართულ-აფხაზური კონფლიქტის (ანუ აფხაზეთში კონფლიქტის) და თავად აფხაზების მიმართაც.

მთავრი და ძალიან სახიფათო სტერეოტიპი ის გახლავთ, რომ საკმარისია გავიდნენ რუსი სამშვიდობოები, რუსეთი გაეცალოს აფხაზეთს და კონფლიქტი თავისთავად მოგვარდება. ანუ, ან აფხაზები ძალიან შეშინდებიან და წამოვლენ ნებისმიერ პირობაზე, რომელსაც შესთავაზებს მათ საქართველო, ან, თუ არა და, პირველივე სამი საათის განმავლობაში სოხუმში შევა ქართული ტანკი, ააფრიალებს ქართულ დროშას და საკითხიც გადაწყდება. ჩემი აზრით, ასეთი მიდგომის დანერგვა ახალგაზრდებში, ვისაც უშუალოდ თავის თავზე არ გაუნიცდია ომის კოშმარები, გარკვეულწილად, ხელისუფლების სამოქმედო ტაქტიკიდან გამომდინარე ხდება.

რუსეთის როლზე აქ არ ვისაუბრებ, მისი როლი ყველასათვის გასაგებია, მაგრამ ეს პირველი სტერეოტიპი ემყარება კიდევ სხვა სტერეოტიპებს, რომლებიც ღრმად არის გამჯდარი არა მხოლოდ ახალგაზრდა თაობის (რომელმაც არ იცის, იქ რა ხდებოდა) ცნობიერებაში. არსებობს ასეთი სტერეოტიპიც: საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთში იომეს რუსებმა, კაზაკებმა, ჩეჩნებმა, სომხებმა და ნაკლებად - აფხაზებმა. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. ქართველების წინააღმდეგ ძირითადად სწორედ აფხაზები იბრძოდნენ, რომელთაც სხვები ეხმარებოდნენ. "მეორე მხარეს" დაღუპულთა შორის ყველაზე მეტი სწორედ აფხაზები არიან და ისინი თავგანწირულად იბრძოდნენ ჩვენს წინააღმდეგ.

დავუბრუნდეთ პირველ სტერეოტიპს: მოვიშორეთ რუსული ფაქტორი, აფხაზები ძალიან შეშინდებიან და წამოვლენ ყველანაირ დათმობაზე. ჩემი აზრით, აფხაზები არც შეშინდებიან, არც არანაირ დათმობებზე არ წამოვლენ - ისინი კვლავ იომებენ. იომებს მათი ასი პროცენტი - ყველა, ვისაც შეეძლება იარაღის ხელში დაჭერა, მათ შორის ქალებიც. რა თქმა უნდა, მე არ გამოვრიცხავ, რომ აფხაზების დაახლოებით ათი პროცენტი იქნება ომის მოწინააღმდეგე, მაგრამ მათ ან აიძულებენ იარაღის ხელში აღებას, ან დახვრეტენ, როგორც მოღალატეებს. ამიტომ იმედი იმისა, რომ რუსეთი "წავა" და ეს საკითხი უომრად მოგვარდება, აბსოლუტურად ფუჭია.

მესამე სტერეოტიპია, რომ აფხაზებს უნდათ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა, რომ ისინი არიან რუსეთის მარიონეტები და ა.შ (სხვათა შორის, გარკვეულწილად, ასეთი სტერეოტიპი არსებობს საქართველოზეც, რომ იგი "პაიკია" ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის თამაშებში).

ასევე შეგვიძლია აფხაზეთი განვიხილოთ "პაიკად" ქართულ-რუსულ რეგიონურ თამაშებში და თეორიულად წარმოვიდგინოთ ვითარება, როდესაც აფხაზეთი იქნება "განწირული" რომელიმე მხარის მიერ. არსებობს კიდევ ერთი სახიფათო და არსაწორი სტერეოტიპი, რომ აფხაზებს "ერთი სული აქვთ," როდის შევლენ რუსეთის შემადგენლობაში. სინამდვილეში კი, ჩემი აზრით, აფხაზური პოლიტიკა აწყობილია იმაზე, რომ დღეს რუსების მეშვეობით როგორმე "თავი დააღწიონ" საქართველოს და ოდესლაც, მომავალში, თავი "დაიძვრინონ" რუსეთისგანაც. დამოუკიდებლობის იდეა პრივალირებს აფხაზებთან, მათთვის რუსეთის ფედერაციის ასოცირებული წევრობაც ამის ტოლფასია. ანუ აქ ოსურ ვარიანტთან განსხვავება სრულიად ნათელია, რადგან ოსეთში არსებობს "დიდი ოსური" სუბიექტი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, რომელიც არავითარ დამოუკიდებლობაზე არ საუბრობს და არსებობს "მცირე" სუბიექტი საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც არც მალავს, რომ მასთან გაერთიანება უნდა.

ამ თვალსაზრისით, საერთოდ, კორექტული იქნებოდა ოსებზე საუბარი, როგორც "ირედენტისებზე" და აფხაზებზე - როგორც "სეპარატისტებზე".

კიდევ ერთი - აფხაზური დიასპორის ფაქტორი (აფხაზები, ძირითადად, თურქეთში. ცხოვრობენ, მაგრამ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშიც გვხვდებიან). 19-20 სექტემბერს ბიჭვინთაში ჩატარდა კონფერენცია, რომლის მუშაობაში ჩვენც ვიღებდით მონაწილეობას. იქ ჩამოსული იყო აფხაზური დაისპორების შვიდი წარმომადგენელი. ერთ-ერთმა აფხაზურ ენაზეც კი წაიკითხა მოხსენება (თუმცა ერთმანეთში თურქულად საუბრობდნენ). ამით მოხდა იმის დემონსტრირება, რომ მათ ჰყავთ დიასპორა - ორგანიზებული, ფინანსურადაც წელგამართული, ადამიანური რესურსებიც აქვთ, ოღონდ ისინი აფხაზეთში დაბრუნებას არ ჩქარობენ. ვფიქრობ, ეს იყო ერთგვარი დემონსტრაცია არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ - რუსებისთვისაც. დიასპორასთან დაკავშირებით არის კიდევ ერთი მომენტი: ქართულ საზოგადოებაში პრაქტიკულად არ არსებობს რაიმე ხსენებაც კი "მოჰაჯირობის" მოვლენისა აფხაზურ ისტორიაში, რომელმაც უმძიმესი დაღი დაასვა აფხაზებს ყველანაირი თვალსაზრისით. ამან ძალიან მძიმე კვალი დაატყო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებსაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო რუსული იმპერიული პოლიტიკის დანაშაული და ქართველებს ამ საქმეში არანაირი დანაშაული არ მიუძღვოდათ, პირიქით, სწორედ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები გამოვიდნენ მაშინ რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

კიდევ ერთი: ესაა სტერეოტიპი, რომელიც იქმნება "კოსოვოსთან" დაკავშირებით, რომ მისი პრეცედენტის გამოყენება დააქცევს ყველაფერს და ჩვენ უნდა ვიჩქაროთ, ვიდრე კოსოვოს საკითხი გადაწყდება. მრავალგზის დაზაბუთებულია, რომ დემოგრაფიული ვითარება არის კარდინალურად განსხვავებული და თუ შეიძლება რამე პარალელების გავლება, შეიძლება კოსოვოსა და მთიან ყარაბახს შორის, ხოლო კოსოვოსა და აფხაზეთს შორის პარალელის გავლება შეუძლებელია.

ჩემი აზრით, რეფერენდუმი აფხაზეთში არის ძალიან მძიმე მათთვის და ამიტომაც აფხაზები არიან ძალიან ფრთხილები კოსოვოსთან დაკავშირებით. აფხაზეთში რეფერენდუმთან დაკავშირებით მე სულაც არა მაქვს ისეთი ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება, როგორიც ნიკას. თუ ქართული მხარე "უშვებს" რეფერენდუმის იდეას, იგი თეორიულად "უშვებს" აფხაზეთის დამოუკიდებლობასაც. თუმცა, ყველას გვესმის, რომ თუ კოსოვოს აღიარება მოხდება, ეს იქნება ძალიან სერიოზული მორალური სტიმული აფხაზი სეპარატისტებისთვის.

ბოლო სტერეოტიპი, რომელიც ჩამოყალიბდა არა მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებაში, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილშიც - ეს არის ის, რომ "აფხაზებთან საუბარს აზრი არა აქვს, რომ მათ აქვთ მყარად ჩამოყალიბებული პოზიცია დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით". ხელისუფლების მხრიდან უცნაურია ასეთი დამოკიდებულება, რადგან თუ ვაპირებთ აფხაზებთან თანაცხოვრებას, მათ უნდა ველაპარაკოთ აუცილებლად და ველაპარაკოთ თუნდაც იმიტომ, რომ არ დავრჩეთ იმ არაადეკვატური სტერეოტიპების ტყვეობაში, რომელშიც დღეს ვართ.

**არჩილ გეგეშიძე:** მადლობა ბიოლის ფონდს ამ შეხვედრის მოწყობისთვის. წინასწარი მონახაზით აქ არ მოვსულვარ, ექსპრომტად ვსაუბრობ და გამოვეხმაურები იმ თეზისებს, რომლებიც აქ იქნა მოყვანილი.

ვეთანხმები ბატონ ნიკას, რომ მართლაც ბოლო წლების განმავლობაში გაჩნდა პოლიტიკა, რომელიც მანამდე არ იყო. ეს პოლიტიკა ემყარება ხელისუფლების გულწრფელ სურვილს, რამენაირად შეცვალოს მდგომარეობა. დრო ჩვენზე არ მუშაობს.

მე ამ გულწრფელ სურვილს მივესალმები. მართლაც, გაჩნდა გარკვეული დინამიკა ამ პროცესში, სტატუს-კვოს შეცვლის მიმართულებით. მაგრამ არის კამათი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სწორად მიდის ეს პროცესი და, შესაბამისად, რა ეფექტის მომტანი შეიძლება იყოს ის დინამიკა, რაც დღევანდელი ხელისუფლების მიერ გვაქვს მოცემული. მიუხედავად ბოლო წლებში გაჩენილი დინამიკისა, საერთო სიტუაცია არაფრით არ გაუმჯობესებულა, ყოველ შემთხვევაში მხარეებს შორის უფრო მეტად არის გაუცხოება.

რაც შეეხება კოდორის ამბებს, ცენტრალურმა ხელისუფლებამ უფრო გაიმყარა თავისი პოზიცია, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. ძალიან საინტერესო გადაწყვეტილება იქნა მიღებული იქ ე.წ. დევნილი ხელისუფლების განთავსების თაობაზე, რაც მნიშვნელოვნად ცვლის იმ სტატუს-კვოს, რაც აქამდე იყო. თუმცა მის მოლიანად შესაცვლელად ეს ქმედება, რა თქმა უნდა, არაა საკმარისი.

სამწუხარო შედეგი ჰქონდა ამ დინამიკას იმ მხრივ, რომ ჩიხში შევიდა მოლაპარაკებები კონფლიქტის მხარეებს შორის და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა გაუცხოება.

რაც შეეხება ე.წ. საზოგადოებრივ დაკვეთას - დიახ, ხელისუფლების მთავარი დაპირება გახლდათ ქვეყნის გამთლიანება და ეს იყო ერთ-ერთი მთავარი გზავნილი, რითაც იგი მოვიდა ხელისუფლებაში. მაგრამ მე ისევ გავიმეორებ - ტერიტორიული მთლიანობის ასეთი ფორმულირებით ამოცანაზე აქცენტის გაკეთება პოლიტიკურად არ მიმაჩნია მიზანშეწონილად მთელი რიგი საშინაო და საგარეო ვითარებიდან გამომდინარე. მიმაჩნია, რომ პრობლემის მოგვარება გაიგივებული უნდა იყოს არა ტერიტორიულ მთლიანობასთან, არამედ კონფლიქტის მოგვარებასთან. ეს ხანგრძლივი პროცესია, იგი უნდა ეფუძნებოდეს მხარეებს შორის ნებაყოფლობით შერიგებას, მაგრამ, დავეთანხმები ბატონ ნიკას, გარკვეული ზეწოლის პირობებში. ოღონდ, ეს არ უნდა იყოს, ასე ვთქვათ, სამხედრო ძალის გამოყენების მუქარის ქვეშ. ეს ზეწოლა უნდა იყოს უფრო ფსიქოლოგიური ხასიათის, ანუ საქართველო უნდა გახდეს "რაღაცით" საინტერესო თანაცხოვრებისათვის. ეს ყოველივე ძალიან დიდ ძალისხმევას, რესურსებსა და დროს მოითხოვს. დრო კი ხელისუფლებას არ გააჩნია, მას ეჩქარება. ეს გასაგებია, მაგრამ იმდენად რთული პრობლემის წინაშე ვდგავართ, რომ ეს სიჩქარე შესაძლოა იყოს ძალიან სახიფათო და პირიქით, უარყოფითი შედეგების მომტანი.

ამდენად, ქართულ საზოგადოებაში და ხელისუფლებაშიც, მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი და ცალსახა არჩევანი არ არის გაკეთებული კონფლიქტის ერთი რომელიმე გზის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, რეალურად, სამხედრო - სტრატეგიული გზა არის გამოტანილი და მასზე კეთდება აქცენტები, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის გაუცხოებას და შიშს მეორე მხარეში. აქ ალინიშნა, რომ აფხაზურ საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული "ფიზიკური განადგურების შიში", საქართველოდან მომდინარე აგრესიის საფუძველზე და ცოტა უფრო გრძელვადიან საფრთხე - ეს გახლავთ რუსეთთან ყოფნის შედეგად თავისთავადობის დაკარგვა. მაგრამ ეს უფრო შორეული მომავლის საფრთხეა, ამიტომ დღეს აფხაზს ეშინია ქართველის, რომელიც შეიძლება მას "შეუვარდეს" და ცოლ-შვილი ამოუხოცოს. ამდენად, იგი პრაქტიკულად გამორიცხავს ნებისმიერ ვარიაციას საქართველოსთან თანაცხოვრებისას.

ითქვა, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ უფრო აქტიურები. ამას ვეთანხმები, რადგან მესამე მხარეს ხელს აძლევს ჩვენი პასიურობა და სტატუს-კვოს შენარჩუნება. მისთვის ეს იდეალური ვარიანტია. აფხაზურ მხარეს ეს სტატუს-კვო გრძელვადიან პერსპექტივაში მაინცდამაინც არ აწყობს, იმიტომ რომ იგი ვერ ვითარდება იმ ტემპებით, როგორც მას შეეძლო, მაგრამ უარესს (საქართველოს მხრიდან განხორციელებული აგრესია), მაინც ეს სტატუს-კვო ურჩევნია. ქართული მხარის აქტიურობა კი, ძირითადად, დასავლურ მხარდაჭერაში ვლინდება და ამ მხარდაჭერის შედეგად, რუსეთის განეიტრალებაში. არც კი ვფიქრობთ აფხაზური მხარის პოზიციაზე და მათთან პირდაპირ დიალოგზე.

მე ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ ერთობლივი რეფერენდუმის ჩატარებას, რადგან დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ეს იქნება მათი სურვილის საწინააღმდეგოდ თავსმოხვეული შედეგი, რადგან გაუგებარი იქნება, როგორ უნდა იცხოვრონ ქართველებმა და აფხაზებმა ერთ სივრცეში. ამიტომ, მოუმზადებელი პოლიტიკური ნიადაგის გარეშე ერთობლივი რეფერენდუმის ჩატარება ნაჩქარევად მიმაჩნია.

რაც შეეხება კოსოვოს საკითხს - მართალია, შეიძლება ძალიან ცოტა ანალოგია იყოს მათ შორის, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთი ცდილობს, კოსოვოს საკითხი გახადოს პრეცედენტად ფაქტის მიხედვით. და აქ რუსეთი ამბობს, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიენიჭოს ხალხის ნებას. აქ იგულისხმება მხოლოდ ფაქტობრივად მაცხოვრებელი ხალხის ნება. ამავე დროს, არაა გამორიცხული, რომ რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივად ცნობაზე წავიდეს და ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობას არა აქვს შემხვედრი გეგმა. არადა, ეს შესაძლებელია, მოხდეს ერთი თვიდან ექვს თვემდე პერიოდში. ეს თუ მოხდა, ამისი შებრუნება მე, პრაქტიკულად, შეუძლებლად მიმაჩნია. ამიტომ დღეს მთავარი საფიქრალი უნდა იყოს ის, თუ რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მოვლენები ამ სცენარით არ განვითარდეს.



ნიკა გვარამია.



ივლიანე ხაინდრავა.



არჩილ გეგეშიძე.

პროექტის მხარდამჭერი
conciliation resources

# ცხოვრება და ხსოვნა კაცისა

პირველი გვერდიდან

ავთო, ასე ვთქვათ, კამერული მხატვარი იყო, მის შემოქმედებაში ვერ ნახავთ პლენერზე შესრულებულ ნამუშევრებს. პორტრეტები, ნატურმორტები, პოპარტი - აი, ავთო ვარაზის შემოქმედების ძირითადი მოტივები. სამაგიეროდ, პორტრეტები და რა პორტრეტები! მათ უფრო ფსიქოლოგიური სურათები უნდა ერქვას, რადგან მას ადამიანის სულის ამოცნობის საოცარი ალღო ჰქონდა. ფორმისა და ხასიათის ექსპრესიულობა ამ პორტრეტების "სავიზიტო ბარათებია". მისი შემოქმედებითი სახე, ინდივიდუალობა სწორედ პორტრეტულ ხელოვნებაში იჩენს თავს. გარეგნულად ეს, თითქოს პასიური, სახეები მდიდარი შინაგანი სამყაროთი გამოირჩევიან. კომპოზიციის გადაწყვეტის ლაკონიზმი და მხატვრული სახის მონუმენტურობა განსაზღვრავს მისი ნამუშევრების მხატვრულ წყობას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ავთო ვარაზის ნატურმორტები. მათ უზადო კომპოზიციური აგება გამოარჩევს. ფერწერა მათში თითქმის სეზანისეულად სტრუქტურულად სუნთქავს. ფერწერული ზედაპირი მსუბუქია და თავისუფალი, ფერადოვანი სივრცეები ერთიან გამაშია მოქცეული. პალიტრა ძუნწია, მაგრამ არა ღარიბი. უფრო თავშეკავებულია და კონკრეტული ემოციურობა ახასიათებს. დაკვირვებული თვალი შეამჩნევს - თეთრი საღებავი ვარაზთან ჭეშმარიტად ფერის ჟღერადობას იძენს.

ავთო ვარაზის შემოქმედების ერთი საინტერესო და ორიგინალური ფურცელია კოლაჟის ტექნიკით ანდა პოპარტის სტილით შესრულებული ნამუშევრები. ბევრი მათგანი დღეს დასავლეთის ქვეყნებში კერძო კოლექციებსა თუ მუზეუმებს ამშვენებს.

ავთო ვარაზის ამ ნოვატორულ ძიებებში აისახა მხატვრის მისწრაფება გამოეძებნა თავისი ეპოქის თანახმიერი მხატვრული მეთოდი, ახალი ფორმების დამკვიდრების სურვილი ეროვნულ მხატვრულ ტრადიციებთან სინთეზში. მისთვის განსაკუთრებით ახლობელი იყო ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის, ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვის შემოქმედება, დიდი ნიკალა, რომელთანაც მას სულიერი ერთიანობაც აკავშირებდა.

ეს, რაც ითქვა, ავთო ვარაზის



ავთო ვარაზის ნამუშევარი.



ავთო ვარაზი ნიკალას როლში.

ერთგვარი შემოქმედებითი პორტრეტია. ყოველდღიურ ცხოვრებაში კი ეს იყო ინტელექტუალი, არაორდინარული პიროვნება, დიდი სიკეთით აღსავსე ადამიანი.

ავთომ იცოდა, უეჭველად იცოდა, რომ ის თვითმყოფადი, ჭეშმარიტი მხატვარი იყო, მაგრამ ამასთან ერთად ეჭვით უყურებდა საკუთარ ნამუშევრებს, რაც სწორედ ღვთით ბოძებული ნიჭით მომადლებულ შემოქმედთ სჩვევიათ.

როგორი თვითმყოფადიც იყო ავთო ხელოვნებაში, ისეთივე იყო ცხოვრებაშიც - დარდიმანდი, მხიარული, თუმცა კარგად შენიღბული ფარული სევდით, თვალი მუდამ ოინბაზობისკენ ეჭირა, შინაურებში, რა თქმა უნდა. უყვარდა ხუმრობა, დაცინვაც ეხერხებოდა, მაგრამ თუ მეტი მოუვიდოდა, მაშინვე დაგიყვავებდა, მოგეფერებოდა.

ხშირად გვისეირნია ძველ თბილისში - რიყეზე, თათრის მეიდანზე. მაშინ, 60-იანი წლების დასაწყისში, იმ მიდამოებში ბევრი პატარა დუქანი იყო, თანაც საჩვენო - იაფი: რამდენიმე ბოთლი ღვინო, ყველი, მწვანილი, პური - აი, მთელი სუფრა. შემდეგ გავაგრძელებდით გზას, ხანდახან კიდევ დავამატებდით და ვმუსაიფობდით - ავზე, კარგზე, ჩვენზე, იმათზე...

მრავალთა შორის ავთოს ერთი ორიგინალური თვისება ჰქონდა. ვთქვათ, ავთო სახლშია, მარტო, ჩვეულებრივ, მოლბერტთან პატარა სკამზე ჩამომჯდარი. მივედი, - იწყება გულღია, ალალი საუბარი ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე. ეს იყო გულახდილობის, ჭეშმარიტების ნეტარი საათები. მაგრამ ამ დროს მოვიდოდა ნებისმიერი მესამე და - ავთო საოცრად გარდაიქმნებოდა, ყველაფერი უცებ შეტრიალდებოდა, ჩამოიფარებდა ავთო "ნიღაბს", თითქმის თვალით დასანახს და იწყებდა ხუმრობას, მასხრობას, ადრე გამოთქმული აზრის სრულიად საწინააღმდეგოს მტკიცებას. ერთი შეხედვით, ეს იყო საკუთარი აზრების შენიღბვა-გამასხარავების მცდელობა, რასაც ზოგი ხშირად გულუბრყვილობით სიმართლედ იღებდა. მას მწარე ენა ჰქონდა და დაუნდობელიც იყო საკუთარი თავისადმი. უყვარდა ხოლმე თქმა - ხომ იცი, მორიელი ვარ (ზოდიაქოს ნიშანი) და სხვას თუ ვერა, საკუთარ თავს უნდა ვუკბინოო.

ავთო ვარაზი დიდი ინტელექტის პატრონი იყო, რასაც თავისი გენეტიკური "საფუძველი" ჰქონდა. ავთოს მამა - ცნობილი მეცნიერ-ბიოქიმიკოსი, პროფესორი ვასილ ვარაზი სტოკჰოლმის ნობელის პრემიების კომიტეტმა, მალარიის პრობლემებზე ნაშრომთა ციკლისთვის, 1938 წელს ამ პრემიის მოსაპოვებლად მიიწვია. ქვეყანაში გამეფებული წითელი ტერორის გამო ბატონმა ვასილმა ეს მიწვევა მაუდქვეშ ამოდო. ეს ისე, სხვათა შორის.

დაბოლოს, ერთი საინტერესო დეტალი - ავთო ვარაზის ცხოვრების ერთგვარი თანამგზავრი აღმოჩნდა პაბლო პიკასო, რომლის შემოქმედება ავთოსთვის ძალიან ახლობელი იყო. საქმე ის არის, რომ პიკასო 25 ოქტომბერსაა დაბადებული და ავთოს ყოველ დაბადების დღეზე პიკასოსაც ვადღეგრძელებდით. ერთხანს პიკასოსთვის მისალოცი დეპეშის გაგზავნასაც ვაპირებდით...

# ყველაზე ხანდაზმული ქალბატონი

ეკვადორში 116 წლის ასაკში გარდაიცვალა მარია ესტერ დე კაპოვილა - ქალბატონი, რომელმაც პლანეტაზე ყველაზე დიდხანს იცოცხლა. ის დაიბადა 1889 წლის 14 სექტემბერს, ჩარლი ჩაპლინისა და ადოლფ ჰიტლერის დაბადების წელს. როგორც მისი შვილიშვილი კატერინა კაპოვილა გვიამბობს, მარია ესტერი გარდაიცვალა წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარე გუიაკილის საავადმყოფოში. ის ორი დღით ადრე დააწვინეს პალატაში. მარია ესტერ დე კაპოვილა დაიბადა ეკვადორში, შეძლებულ ესპანურ არისტოკრატიულ ოჯახში. დე კაპოვილას ჰქონდა გვაროვნული გერბი. ახალგაზრდობაში უყვარდა კერვა, პიანინოზე დაკვრა და ვალსის ცეკვა. მისი ქალიშვილი ირმა გვიამბობს, რომ მთელი ცხოვრება მარია ესტერი დღეში სამჯერ იკვებებოდა და სადილობისას ერთ ჭიქა ღვინოს მიირთმევდა. არ ეწეოდა, არც ალკოჰოლურ სასმელებს ეტანებოდა. მას შემდეგ, რაც მარიას ასი წელი შეუსრულდა, ღვიძლით დაავადდა. იმდენად დასუსტდა, რომ ოჯახმა მღვდელი მოიწვია. მაგრამ დე კაპოვილამ 116 წლამდე იცოცხლა.



ჰყავდა 5 შვილი, რომელთაგან სამი ცოცხალია - ქალიშვილები ირმა და ჰილდა და ვაჟიშვილი ანიბალი. დარჩა 12 შვილიშვილი და 20 შვილთაშვილი.

მას შემდეგ, რაც მისმა ოჯახმა დაბადებისა და ქორწინების მოწმობა გინესის რეკორდების წიგნის გამომცემლებთან გაგზავნა, 2005 წლის 9 დეკემბრს მარია ესტერ დე კაპოვილა აღიარეს ყველაზე ხანდაზმულ ქალბატონად. გინესის რეკორდის წიგნის მთავარი კონსულტანტი რობერტ იანგი ამბობს, რომ მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული ქალბატონის ტიტული გადავა ამერიკის შტატის ტენესის ქალაქ მემფისში მცხოვრებ ქალბატონზე - ელიზაბეტ ბოლდენზე, რომელიც ასევე 116 წლისაა. ის 11 თვით უმცროსია დე კაპოვილაზე. მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ მამაკაცად ითვლება პუერტორიკოელი ემილიანო მერკადო დელ ტორო. მას სულ ახლახან შეუსრულდა 115 წელი.

### 155-ე სეზონის პრემიერები

26, 27, 28, 29 ოქტომბერს და 3 ნოემბერს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი 155-ე სეზონის პრემიერებს წარმოადგენს.

მაყურებელი იხილავს ავგუსტ ბურნონვილის ქორეოგრაფიას. წარმოდგენილი იქნება პაულის "კონსერვატორია", მოლერის "ჟოკეების ცეკვა" ბალეტიდან "ციმბირიდან მოსკოვამდე" და ჰელსტედისა და პაულის "პა დე დე" ბალეტიდან "ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში".

ბურნონვილის ქორეოგრაფიის დასადგმელად დასთან მუშაობდნენ დანიის სამეფო თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი ფრენკ ანდერსენი და ბალეტმეისტერი ევა კლობორგი. დამდგმელი მხატვარია დავით მონავარდისაშვლი, კოსტიუმების მხატვარი ნათია სირბილიძე.

რაც შეეხება ანდრე მესაჟეს მუსიკაზე ფრედერიკ ეშტონის მიერ შექმნილ ბალეტს "ორი მტრედი", ეს ბალეტი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დადგეს "კოვენტ გარდენის" სამეფო თეატრების ბალეტმეისტერებმა - დენის ბონერმა და მარგარეტ ბარბიერმა. კოსტიუმები და დეკორაციები შექმნა ცნობილმა დიზაინერმა ალექსანდრე ვასილიევმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ის "ისპაჰანური სკოლა"

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის სამხატვრო აკადემიის ორგანიზებით, თბილისში საერთაშორისო კონფერენცია "ისპაჰანური სკოლა" ჩატარდება.

პროექტის ფარგლებში საქართველოში ჩამოვლენ ისლამური კულტურის ისეთი ცნობილი მკვლევარები, როგორიცაა აშშ-ის აკადემიური ჟურნალის Islamis art გამომცემელი და რედაქტორი ელეანორ სიმსი და ამერიკის სპარსულენოვანი საზოგადოების პრეზიდენტი, დელავერის უნივერსიტეტის პროფესორი რუდი მათე არიან. ღონისძიება 26-27 ოქტომბერს გაიმართება.

26 ოქტომბერს უცხოელები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გამართავენ შეხვედრებს. დაათვარიელებენ საქართველოში დაცულ აღმოსავლურ კოლექციებს, შეხვდებიან კოლეგებს, ისაუბრებენ მომავალ ერთობლივ პროექტებსა და თანამშრომლობის პერსპექტივებზე.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, სამეცნიერო კონფერენცია 27 ოქტომბერს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში გაიმართება, სადაც მოხსენებებს ქართველი და უცხოელი მეცნიერები წაიკითხავენ, ამავე დღეს მოეწყობა მრგვალი მაგიდა და კონფერენციის შემაჯამებელი სხდომა.

"კონფერენცია სხვადასხვა ქვეყანაში გამართული ანალოგიური ღონისძიებების ნაწილს წარმოადგენს, რომელთა შემაჯამებელი საერთაშორისო სამეცნიერო ფართო ფორუმის ჩატარება თეირანსა და ისპაჰანში 11-14 დეკემბერს იგეგმება," - განაცხადეს ეროვნული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში. **ჯი-ეიჩ-ენი**

### წიგნის პრეზენტაცია

27 ოქტომბერს 6 საათზე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიმართება კინოსცენარისტის გია ბადრიძის წიგნის "წავიდა ჰე" პრეზენტაცია.

როგორც ფესტივალის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა ხათუნა წულაძემ განაცხადა, წიგნში შესულია კინოსცენარისტის მიერ დაწერილი სცენარები, ჩანახატები და მოთხრობები.

წიგნი გამოიცა 2003 წელს, მაგრამ აქამდე არ იყიდებოდა. მისი პრეზენტაცია ფესტივალ "საჩუქრის" პროგრამას დაემატება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მოკლედ

### ხორავას სახელობის მსახიობთა სახლი

აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლი უახლოეს დღეებში მაყურებელს დუმბაძის "ჰელადოსს" შესთავაზებს, რომლის დამდგმელი რეჟისორია პეტრე ჩარგეიშვილი. სპექტაკლში თანამედროვე თეატრის დასი მონაწილეობს. მთავარ როლებში ბაჩო გაბროშვილი და გიო ცერცვაძე არიან. ქორეოგრაფია თეა გობეჯიშვილს, მუსიკალური გაფორმება ზაზა კავთუაშვილს, ხოლო მხატვრობა ლელა დავითაძეს ეკუთვნის.

როგორც ხორავას სახლის დირექტორმა მანანა ოკუჯავამ განაცხადა, ეს ნაწარმოები შემთხვევით არ შეურჩევიათ.

"სოხუმის დაბრუნების თემა მეტად აქტუალურია. უნდა ავღნიშნო, რომ სპექტაკლი ოპტიმისტურ ნოტაზე, სოხუმში დაბრუნებით სრულდება. პრემიერას მაყურებელი მომავალ კვირას იხილავს", - განაცხადა ოკუჯავამ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ახალი წიგნი

გამოვიდა ახალი წიგნი "ფოლკლორისტული ძიებანი", რომელიც ფოლკლორის ფუძემდებლის, ვახტანგ კოტეტიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობასა და ცხოვრებას ასახავს. კრებულის შემდგენელია ნანა კოტეტიშვილი.

როგორც ნანა კოტეტიშვილმა განაცხადა, ცნობილია, რომ ფოლკლორის მეცნიერული კვლევა, პირველი ექსპედიციები ვახტანგ კოტეტიშვილის სახელს უკავშირდება.

"იგი 1937 წელს რეპრესირებულ მოღვაწეთა რიგს მიეკუთვნება. ამ კრებულში მკითხველს შეეძლება იხილოს მის მიერ შექმნილი ყველა ის ნაშრომი, რაც 37-იანი წლების რეპრესიებს გადაურჩა: სამეცნიერო წერილები ფოლკლორის შესახებ, ლექსების მიმოხილვა ხალხური პოეზიიდან. მკითხველი ასევე იხილავს მისი სტუდენტების მოგონებებს, კოტეტიშვილის ავტობიოგრაფიასა და იმ მასალის სიას, რომელზედაც მეცნიერს უმუშავია", - განაცხადა ნანა კოტეტიშვილმა.

კრებულში თავმოყრილია ახალი ცნობები მისი ავტობიოგრაფიიდან, რაც ნანა კოტეტიშვილმა ხალხიდან აკრებილ მასალაზე დაყრდნობით დოკუმენტური არქივიდან მოიპოვა. კოტეტიშვილის მოწინააღმდეგედ ცნობილი ესეისტი მიხეილ ჩიქოვანი ფიგურირებს.

როგორც წიგნის შემდგენელმა და ვახტან კოტეტიშვილის ძმისშვილმა ნანა კოტეტიშვილმა განაცხადა: "კრებული ჩვეულებრივი მკითხველისთვისაც საინტერესოა, ხოლო ფოლკლორის სპეციალისტებისათვის მეტად მნიშვნელოვანი, რადგანაც მას სახელმძღვანელოს ტოლფასი დატვირთვა აქვს". **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოს კინოს ენციკლოპედია

საქართველოში პირველად გამოიცა "საქართველოს კინოს ენციკლოპედია". ენციკლოპედიის პირველ ტომში შესულია მონაცემები დაახლოებით ორი ათასამდე მხატვრული, ანიმაციური და დოკუმენტური ფილმისა, რომლებიც გადაღებულია 1908-1964 წლებში. ამის შესახებ განაცხადა გამოცემის ავტორმა, კინოპროდიუსერმა დავით აბდალაძემ. წიგნში მოცემული მასალა გამოქვეყნებულია ორ ენაზე - ქართულად და რუსულად. აბალაძემ აღნიშნა, რომ მომავალში გეგმავს ამ ენციკლოპედიის რუსულ ენაზე გამოცემასაც. "გული მწყდებოდა, რომ საქართველოს, რომელსაც აქვს ასეთი მდიდარი კინოისტორია და კინოსკოლა, არ ჰქონდა კინოს ენციკლოპედია და ოთხი წლის წინ კინოპროდიუსერ გიორგი კვირკველიას და ალექსანდრე გურულთან ერთად მოვამზადე მასალა ენციკლოპედიისთვის" - განაცხადა აბდალაძემ. მისივე თქმით, "ენციკლოპედიის პირველ ტომში შევიდა მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები, რომლებიც შექმნილია 1964 წელს, მათ შორის მუნჯი კინოს მასალაც". "1964 წელს მთავრდება შავ-თეთრი კინოს ეპოქა და სწორედ ამით სრულდება პირველი ტომიც. მეორე ტომში კი იქნება ჩადებული კინოფირები 1964 წლიდან 1984 წლამდე, მესამეში - 1984-დან 2008 წლამდე", - განაცხადა მან. მეორე და მესამე ტომები იქნება გამოცემული 2008 წლისთვის ქართული კინოს ისტორიის 100 წლისთავთან დაკავშირებით.

ენციკლოპედიაში ქართული კინოს ქრონიკას ხსნიან დოკუმენტური ფილმები "Перевоз угля на верблюдах", "Вход судна в порт", "Типы рынков в Баку", რომლებიც გადაღებულია ქართული კინოს პიონერის ვასილ ამაშუკელის მიერ 1908 წელს. მისივე ნამუშევარს წარმოადგენს მსოფლიოს ისტორიაში პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი "აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", რომელიც 1912 წელს არის გადაღებული. აქვე არის მიხეილ კალატოზიშვილის (კალატოზოვი) მსოფლიოში ცნობილი 50-წუთიანი ფილმი "Джимшвенте , Соль Сванети", რომელიც 1930 წელს არის გადაღებული. ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი კინოფირი, რომელიც შეტანილია ენციკლოპედიაში, ეს არის მსოფლიოში "ვეფხისტყაოსანის" ერთადერთი ეკრანიზაცია, 1936 წელს გადაღებული რეჟისორ კოტე მიქაბერიძის მიერ. ეს არის პოემის 30-წუთიანი ხმოვანი ეკრანიზაცია.

აბულაძემ ასევე განაცხადა, რომ ენციკლოპედიის დამუშავებისას გამოყენებულია საქართველოს კინოფოტოარქივის, კინოსტუდიისა და პირადი არქივების მასალა. ფინანსური მხარდაჭერა მასალის მოძიებაში და წიგნის გამოცემაში კი საქართველოს კულტურის სამინისტრომ, ასევე ადგილობრივმა კომპანიებმა და მეცენატებმა განახორციელეს.

ენციკლოპედია არ შეიცავს მსახიობებისა და რეჟისორების შესახებ მონაცემებს. წიგნში შეტანილია ფილმების სათაურები, მათი ხანგრძლივობა, ეკრანზე გამოსვლის დრო, მონაცემები გადამღები ჯგუფისა და სამსახიობო დასის შესახებ, სურათის მოკლე ანოტაცია და მოპოვებული პრიზები. **ჯი-ეიჩ-ენი**

### გენდერი ხელოვნება

ეროვნულ მუზეუმში გამოფენა "გენდერი ხელოვნება" გაიმართება. როგორც ღონისძიების ორგანიზატორები აცხადებენ, გამოფენის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებაში გენდერის პერცეფციის საზღვრების გაფართოებას.

ექსპოზიცია მაყურებელს საშუალებას აძლევს, დაინახოს, როგორ არის წარმოჩენილი და კონსტრუირებული გენდერი ხელოვნების სხვადსხვა ჟანრებში, პორტრეტში, ჟანრულ სცენებში, მითოლოგიურ თემაზე შექმნილ ნამუშევრებში.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია განსხვავებულ ეპოქასა და გეოგრაფიულ სივრცეში შექმნილი სხვავსხვა ჟანრის ხელოვნების ნიმუშები. **ჯი-ეიჩ-ენი**

*ჩვენ გვწამს, რომ შეგვიძლია დიდი და დადებითი გავლენა მოვახდინოთ მსოფლიოში ბიომრავალფეროვნებაზე. თუ თქვენ ხართ არასამთავრობო, ეკოლოგიური ორგანიზაციების ან მასმედიის წარმომადგენელი და ამ აზრს იზიარებთ, იხილეთ ეს განცხადება. წინა წლებში მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით, მოხარულნი ვართ გამოვაცხადოთ*

## საქართველოს მეხუთე ბიომრავალფეროვნების კონკურსი

ეს კონკუსი, რომელიც არის BP საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის კომპონენტი, მხარს უჭერს სპეციალური ინიციატივების შესრულებას ბიომრავალფეროვნების სფეროში იმ ქვეყნებსა თუ რეგიონებში სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

**კონკურსი ორ კატეგორიად იყოფა:**

**1. ბიომრავალფეროვნების პროექტი (კრიტიკული ეკოლოგიური სისტემები, დაცული რეგიონები ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი დაცული სახეობები, ეკოტურიზმი და განათლება გარემოს დაცვის სფეროში)**

**2. მასმედიის მასალები (სტატიები ან ვიდეო მასალა) ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ.**

**პირველი კატეგორია - ბიოლოგიური მრავალფეროვნების პროექტი**

**- კონკურსში მონაწილე პროექტების ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 25 000 აშშ დოლარს და უნდა შეიცავდეს შემდეგს:**
**- მდგრადი განვითარების ინიციატივებს;**
**- შესრულებისა და წარმატების მაჩვენებლებს;**
**- მყარ მეცნიერულ საფუძველს;**
**- რაციონალურ ბიუჯეტს.**

პირველი კატეგორიის საინტერესო პროექტები მიიღებენ გამამხნევებელ ჯილდოებს.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც ინდივიდუალურ დაწესებულებებს, ასევე ოფიციალურად დარეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფსაც.

პროქტები უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტულ ფორმას, რომელიც შეიქმნა BP საქართველოს ბიომრავალფეროვნების კონკურსისთვის. სტანდარტული ფორმების აღება შეიძლება BP-ის ოფისში (საბურთალოს ქ. 38, თბილისი, საქართველო).

**მეორე კატეგორია - მასმედია ბიომრავალფეროვნების შესახებ:**

**სტატიები და მედია პროდუქცია ბიომრავალფეროვნების შესახებ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:**
**- დაბეჭდილი ან გამოცემული უნდა იყოს 2005-2006 წწ.**
**- უნდა იყოს გათვლილი ფართო აუდიტორიაზე (მკითხველზე/მაყურებელზე);**
**- უნდა ჩააბაროს პირადად ავტორმა ან შემოქმედებითმა ჯგუფმა;**
**- ჩაბარებული სტატია არ უნდა აღემატებოდეს 7000 სიმბოლოს;**
**- მედია პროდუქციის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს.**

მეორე კატეგორიის გამარჯვებულებისთვის გათვალისწინებულია ქვემოთ აღნიშნული ჯილდოები:
**- პირველი ადგილი - ერთი ჯილდო (1000 აშშ დოლარი)**
**- მეორე ადგილი - ერთი ჯილდო (500 აშშ დოლარი)**
**- მესამე ადგილი - ორი ჯილდო (300 აშშ დოლარი თითოეულ გამარჯვეულს)**

**საბუთები მიიღება 2006 წლის 17 ნოემბრამდე. გამარჯვებულები გამოცხადდებიან 2007 წლის იანვრის ბოლოს.**
**პროექტი, რომელიც მოცემულ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს არ განიხილება.**

*დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ბი-პი საქართველოს ოფისს. საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფი, ტელ: 59 34 00*

## კრუზისა და ჰოლმსის ქალიშვილის ფოტო




ჟურნალ "ვენიტი ფეარის" ოქტომბრის ნომერში პირველად დაიბეჭდა ტომ კრუზისა და კეიტ ჰოლმსის ქალიშვილის სურათი. ცისფერთვალა, შავგვრემანი გოგონა ლოს ანჯელესში 18 აპრილს დაიბადა, მაგრამ მისი ფოტო აქამდე არ გამოქვეყნებულა.

იქვეა დაბეჭდილი ჰოლმსის ინტერვიუ, რომელშიც ის თავის მეუღლესა და ქალიშვილზე საუბრობს. როგორც ჰოლმსმა განაცხადა, მას "გული ეწვოდა", როდესაც დადიოდა ხმები, რომ მისი და კრუზის ურთიერთობა თამაშია საზოგადოებისთვის, რათა წინ წასულიყო მათი ფილმები: "ომი და მშვიდობა" და "ბეტმენი იწყებს". "ეს ჩემი მომავალია. ეს ჩემი ოჯახია და მე მინდა მასზე ვიზრუნო. მე ვხედავ, როგორი მზრუნველი და კარგი მამაა ტომი, მაგრამ ყველაფერი მუდამ საპირისპიროდ ტრიალდება. საიდან მოდის ეს ყველაფერი?" - კითხულობს ჰოლმსი. სური ჰოლმსის პირველი ქალიშვილია. ტომ კრუზმა წინა ქორწინებისას ნიკოლ კიდმანთან ორი ვაჟი იშვილა. სურის დაბადების გამოცხადებისას აღინიშნა, რომ ეს სახელი "პრინცესასა" და "წითელ ვარდს" ნიშნავს.

# იმპროვიზაციები თემაზე "ჰოლივუდური მკერდი"

### ფესტივალის ქრონიკებიდან

სოფო კილასონია

ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალმა "საჩუქარმა" არაერთი საინტერესო მოვლენა უკვე უკან მოიტოვა. მცდელობა, ფეხდაფეხ მივყვე მოვლენებს, რთული აღმოჩნდა. საფესტივალო რეჟიმი მის ნებისმიერ მიმომხილველსაც ისევე უცვლის ცხოვრების რიტმს, როგორც მის რიგითსა და ერთგულ მაყურებელს. დღეში რამდენიმე წარმოდგენა, ყოველ მომდევნო საღამოს - პრემიერა და, რაც მთავარი და ყველაზე საინტერესოა, სრულიად განსხვავებული ტიპის მოვლენები ერთად. ყველაფერი სხვა გზას არ გვიტოვებს, თუ არა ქრონიკად ვაქციოთ ყველაფერი, რასაც თვალი ხედავს და რასაც გონება ცდილობს მისწვდეს.

ამჯერად ქალბატონ ედიტ ჰედის დრო დამდგარა. კიდევ ერთი მონოსპექტაკლი, თუმცა ამჯერად არა დიდი ბრიტანეთიდან, არამედ აშშ-დან. ეს რემარკა უმნიშვნელო არ გეგონოთ, სიუზან კლაასენის მიერ ნათამაშევი წარმოდგენა წმინდად ამერიკული ხერხებით მოკაზმული ზღაპარი გახლდათ, დატვირთული მსუბუქი ამბებით, ამერიკელი ვარსკვლავებით, ჰოლივუდური დიდი და პატარა ინტრიგებით. ამბებს მეი ვესტის მკერდის, გლორია სვენსონის ფეხების, ლიზ ტეილორის წელისა და ბარბარა სთენვიქის უკანალის შესახებ გვიყვება მათი ბრწყინვალების თანაავტორი, ლეგენდარული ედიტ ჰედი, ქალბატონი, რომელიც "ძველი ჰოლივუდის" ვარსკვლავური ფილმების უხილავ ჯადოქრად მონათლეს.

სიუზან კლაასენის ოდნავ გაწელილი მონოლოგი, რომელიც სცენაზე წარმოდგენილი მყუდრო ინტერიერის წიაღში ვითარდება, თითქმის ყველაფერს გვიამბობს საკუთარი გმირის შესახებ, ყველაფერს, რაც ჯერ კიდევ ცოცხალ




ქალბატონს თავს გადახდენია, თუმცა პირადად მისი ისტორია ჰოლივუდის ლეგენდებს მიღმა შუქდება. ექვსი ათეული წლის მანძილზე ედიტ ჰედმა შემოსა ყველა გამოჩენილი ვარსკვლავი - მეი ვესტიდან ელიზაბეტ ტეილორამდე. ის იყო ჰოლივუდის ყველაზე ცნობილი კოსტიუმების დიზაინერი. მან საკუთარ თავს "ჯადოქარი" უწოდა. აქ უკვე უმნიშვნელოა, რას იტყვიან მასზე - ზედმეტად ამბიციურს უწოდებენ თუ კიდევ სხვა ბრალს წაუყენებენ. მას ნამდვილად აქვს რამდენიმე კომპრომატი. პირველი: თავის დროზე ჰოლივუდს სინატიფე და მშვენიერება აჩუქა, რაც ამ უკანასკნელმა აშკარად ვერ შეინარჩუნა. მეორე: ზუსტად ახსოვს ვინ, სად და რამდენ ერთეულ სილიკონს ინახავდა. ეს ისე, ერთი ციტატა სუზან კლაასენის ტექსტიდან, რომელმაც ბევრი გვაცინა...

ედიტ ჰედი ოცდათხუთმეტჯერ წარადგინეს ოსკარისთვის საუკეთესო დიზაინერის ნომინაციაში. რვაჯერ მოიპოვა, თუმცა იმ დღეს სცენაზე მდგომი რვა ოსკარს კი არ შეჰხაროდა, არამედ დასტიროდა იმ ყველას, რომელსაც, მისი თქმით, მხოლოდ ის იმსახურებდა და სხვა არავინ. ესეც მოხუცი ედიტის ხასიათის ნაწილია, ვერაფერს გავაწყობთ, იმ ხასიათისა, რომელშიც მსახიობი კლაასენი ისე ჩაძირულა, რომ მის გარშემო სამოსს ფრთხილად და ყურადღებით არჩევენ.

სიუზან კლაასენმა ამ წარმოდგენის რაოდენობის ათვლა მას შემდეგ შეწყვიტა, რაც მან ასს გადააჭარბა. სახასიათო სახე მსახიობისა, გამოცდილება და კარგად გათავისებული როლი ნიჭიერ მსახიობს საშუალებას აძლევდა გაემართა დაუსრულებელი იმპროვიზაციები, იმ ადგილისა და გარემოს შესაფერისი, რომელშიც ის იმყოფებოდა. დიალოგი დარბაზში მყოფ მეგობრებთან, გამოკითხვა მაყურებლისა, თუ რამდენად ახსოვთ და იციან ესა და თუ ფილმი, ესა და თუ მსახიობი, მაინც პირადი, ანუ ედიტის განცდების პრეზენტაციით და სანტიმენტალურ-ექსცენტრიკული რეპლიკებით დასრულდა. 1100 ამერიკული ფილმის დიზაინერი სევდით იხსენებს განშორებას "პარამაუნტთან", სიბრაზე ერევა "ჟივენშის" კაბების ხსენებაზე, მაყურებელთან სამსაათიანი შეხვედრის შემდეგ ამხელს აუხდენელ ოცნებებს და ერთხელ ძლიერად ამოიხვნეშებს: ის იყო მერილინ მონრო, ადამიანი, რომელმაც სადღაც ჩაუარა და ანგელოზი, რომლის თეძოებსაც მისი ნემსი და ძაფი ვერ შეეხო. დაბოლოს, რაღა თქმა უნდა, სევდა, სახელად მეცხრე ოსკარი.

"საუბარი ედიტ ჰედთან", ანუ წარმოდგენა, რომელსაც ახლახან ვიგონებდით, პრინციპში აპლოდისმენტების გარეშე დასრულდა. არა, წარმოდგენა კი არ ჩავარდა, უბრალოდ, სპექტაკლი - ჰოლივუდის ქრონიკა, ისე დასრულდა, ვერ გავიგეთ. ვერც ის შევნიშნეთ, როგორ გაილია სცენიდან "პატარა ედიტი", მთელი ამერიკული კინოს მემატიანე. ეს ალბათ მას შემდეგ მოხდა, რაც მან სცენაზე მიგვიპატიჟა, რათა ცნობილი მსახიობების ორიგინალი სამოსი, ფოტოები და წერილები (ედიტ ჰედისთვის) დაგვეთვალიერებინა.

წარმოდგენა თავისთავად საინტერესო გახლდათ. თითქოს ყველაფერი დავწერე, რაც მომაგონდა და რაც მინდოდა, რომ მეთქვა, მაგრამ მაინც დამრჩა რაღაც ბოლოსთვის:

**P.S.** ამ ტიპის სპექტაკლი აშშ-დან სხვაც გვიჩვენა "საჩუქარმა". მოლი ლაიონსის "ყველაზე სახელგანთქმული ქალი" ასევე ერთ ამერიკულ ლეგენდას ლილია სკალას გვაცნობს. წვრილ-წვრილი საინტერესო დეტალების მიუხედავად, საერთო ჯამში ამ ორივე სპექტაკლმა სხვა არაფერი გვითხრა, გარდა იმისა, თუ როგორ უყვართ ამერიკაში საკუთარი პატარა და არც ისე ვრცელი ისტორია, როგორ უყვართ ადამიანები აქციონ ვარსკვლავებად და შენც დაგაჯერონ თუნდაც იმაში, რომ ჰოლივუდში, ამ თანამედროვე ოლიმპოს მთაზე, ყველაფერი ბრწყინავს და ყველაფერი ანათებს. მერე რა, რომ ის სინამდვილეში მაინც აგებს. ლეგენდებად შერაცხულნი მაინც თავისას ამბობენ: USA - ხორცშესხმული ოცნებებისა და თავისუფლების სამყარო!

---

გამოხმაურება

# ფრთხილად, ბატონო ვასო, ესეც ისტორიაა!

ირინა ღოღობერიძე

გაზეთ "24 საათის" 26 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ბატონ ვასილ კიკნაძის წერილი "ფრთხილად, ისტორიაა!", რომელიც ერთი წლის წინ გამოსულ ფოტოალბომს "რუსთაველის თეატრი" შეეხებოდა.

უპირველეს ყოვლისა დავაზუსტებ, რომ ქვემოთ მოყვანილი ნებისმიერი მოსაზრება მეკუთვნის მე, ალბომის შემდგენელს, და არავითარ შემთხვევაში რუსთაველის თეატრის პოზიციას არ გამოხატავს. მკითხველიც, იმედია, მომიტევებს პირველ პირში თხრობას და განაცხადის კატეგორიულობას. ერთიც და მეორეც ბატონ ვასილ კიკნაძის ადრესატის დასაკონკრეტებლად დამჭირდა. თუმცა არც ეს არის საკმარისი, რადგან მის წერილში არაერთხელ და ხასგასმით მეორდება, "რომ ალბომი შედგენილია ფრანგული ლიტერატურისა და თეატრის სპეციალისტის ირ. ღოღობერიძის მიერ". სამწუხაროდ არც ავტორის პროფესიაა სწორედ მითითებული და არც სახელი. "ირ." რამდენადაც ვიცი ქართულ ენაში "ირაკლის" შემოკლებაა, ხოლო ქალის სახელი "ირინა" ან სრულად უნდა დაიწეროს, ან პირველსავე ასო "ი"-ზე უნდა შეიკვეცოს. რაც შეეხება პროფესიას, ბატონ ვასოს (მაპატიებს, იმედია, ჩვეული მიმართვით რომ მოვიხსენიე) მორიდებით შევახსენებ, რომ უკვე უნივერსიტეტდამთავრებულმა ორი წელი თეატრალურ ინსტიტუტში გავატარე, პირადად მას ჩავაბარე გამოცდები ქართული თეატრის ისტორიაში და დისერტაციაც თეატრმცოდნის სპეციალობით იქვე დავიცავი. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, დრო, რომელიც თეატრით იყო გაჯერებული, ევროპულით, რომელსაც ვეცნობოდი და ქართულით, რომელზეც გავიზარდე. თუმცა პათოსი, ვფიქრობ, ჩემს "ფრანგულობას" არ გულისხმობს. პათოსი აქ სხვაა, რადგან კალმის ერთი მოსმით მონიშნული ფრაზის მიღმა ისმის შეკითხვა, რაშია, ბატონებო, საქმე, ჩვენ, ქართული თეატრის ღვაწლმოსილ მსახურთ, რატომ არ მოგვმართეთ?!

მოგმართეთ, ბატონებო, როგორ არ მოგმართეთ! თავიდან ხომ რუსთაველის თეატრზე დასურათებული წიგნის გამოცემა იყო ჩაფიქრებული. რამდენიმე შეკრებაც მოეწყო, რომელსაც თითქმის ყველა ცნობილი თეატრმცოდნე ესწრებოდა ბატონი ვასოს გარდა, რომელმაც თეატრში მოსასვლელად დრო ვერ გამონახა. ჩვენს შეკრებებს, სამწუხაროდ, შედეგი არ მოჰყვა. ყველამ, ერთი-ორის გამოკლებით, თანამშრომლობაზე უარი განაცხადა, რვაგვერდიანი სტატიების დასახულ ვადაში (სამი თვე!) დაწერას ვერ მოვასწრებთო და, სანაცვლოდ, სამეცნიეროკვლევით სექტორზე შექმნილი თავისსავე კრებულის გამოცემა შემოგვთავაზა. სწორედ ასეთ ვითარებაში გადაწყდა ალბომის გამოცემა, სადაც თეატრის გზა წარმოდგენილი იქნებოდა იმ პერიოდიდან, როცა მას შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა. ისტორია კი ილუსტრირებულ შესავალ წერილში იქნებოდა გაშუქებული. ჯერ კიდევ პირველი შეხვედრების დროს შევთანხმდით, რომ გამოვიყენებდით მხოლოდ რუსთაველის თეატრში არსებულ მასალას, რომელიც 1921 წლიდან არის დაცული. აქედან გამომდინარე ჩვენს ფოტოგალერეას მართლაც დააკლდა რამდენიმე ისტორიული ფოტო და, მათ შორის, ა. ვასაძისა კარლ მოორის როლში, რომელიც ქართული თეატრის მესვეურებმა რუსთაველის თეატრს რატომღაც არ შემოუნახეს.

ფოტოალბომს, მოგეხსენებათ, თავისი სპეციფიკა აქვს; მოცულობაც გასათვალისწინებელია (ალბომმა უნდა იმოძრაოს) და ტექსტუალური მასალაც. ამიტომ კლასიკურ ვარიანტზე შევჩერდით - მცირე შესავალი წერილი და მოკლე ციტატებით კომენტირებული ფოტომასალა.

შესავალი წერილი, სადაც სხვადასხვა მიზეზების გამო, მძიმეც კი არ ჩამისწორებია, შესანიშნავმა თეატრმცოდნემ, ბატონი ვასოს ყოფილმა სტუდენტმა და კოლეგამ თამარ ბოკუჩავამ დაწერა. რამდენიმე შენიშვნა, რომელიც ბატონმა ვასომ საკმაოდ კატეგორიულად ჩამოაყალიბა, სწორედ ამ წერილს ეხება. თამარ ბოკუჩავა, იმედია, მაპატიებს მის მაგივრად რომ ვპასუხობ, მაგრამ ორიოდ უსაფუძვლო შენიშვნის გაბათილებას მაინც შევეცდები.

ბატონი ვასოს მტკიცების საპირისპიროდ, ქრონოლოგიური თანმიმდევრობა წერილში ნამდვილად არ არის დარღვეული, მე-19 საუკუნის ბოლოს მოღვაწე რეჟისორებიც ჩამოთვლილია და ამ პერიოდის პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი სპექტაკლიც.

ბატონი ვასო "უხეშ შეცდომად" მიიჩნევს მარჯანიშვილის თეატრიდან წასვლის თარიღის არევას. თარიღი არეული კი არა, უბრალოდ ნახსენები არ არის. თ. ბოკუჩავას წერილში 1926 წელი მითითებულია, როგორც სპექტაკლ "ლამარას" დადგმის და მარჯანიშვილი-ახმეტელის კონფლიქტის წარმოშობის წელი. ჩემ მიერ შერჩეულ ალ. დუდუჩავას ციტატაში კი წელი საერთოდ არ ფიგურირებს. რაც შეეხება "მსახიობთა ჯგუფს", რომელიც მარჯანიშვილს თან გაჰყვა" და შემდგომ მასთან ერთად ახალი თეატრი დააარსა, ის, თურმე, ჯგუფი არ ყოფილა იმიტომ, რომ მხოლოდ ოთხი მსახიობისაგან შედგებოდა. ვერ გამიგია, რატომ არ შეიძლება ერთი მიზნით გაერთიანებულ ოთხ კაცს ჯგუფი ვუწოდოთ?! მართალია თ. ბოკუჩავას ოთხის ნაცვლად ექვსი მსახიობის გვარი აქვს ჩამოთვლილი, მაგრამ ესეც იმიტომ მოხდა, რომ ქართული თეატრის მკვლევარები სხვადასხვა წერილებში სხვადასხვა სახელებსა და რაოდენობას იხსენიებენ.

რეცენზენტის ძირითად სამიზნედ სპექტაკლები და ციტირებული მასალის შერჩევის პრინციპი წარმოადგენს. არა და, პრინციპი, უფრო ზუსტად კი ალბომის კონცეფცია, ძალიან მარტივია და ვიზუალურადაც არის გამოკვეთილი. ალბომში წარმოდგენილია რუსთაველის თეატრის რეჟისორლიდერების საეტაპო სპექტაკლები, რომელნიც ძირითადად თავად რეჟისორების გამონათქვამებით არის კომენტირებული. მართალია, ბატონი ვასო აღიარებს, რომ "ყველა სპექტაკლი, რომელიც ალბომშია წარმოდგენილი, უთუოდ იმსახურებს თეატრის ისტორიის "ფოტოქრონიკაში" ადგილს" (ციტატა დაცულია), მაგრამ ძუნწი შექების შემდეგ ყველაფერს ისევ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს და უამრავ შეკითხვასაც მაყრის: რატომ არის გამოტოვებული ახმეტელის "თეთნულდი" და თუმანიშვილის "ადამიანებო, იყავით ფხიზლად"? რატომ არ არიან მოხსენიებული მთარგმნელები? რატომ არ არის მითითებული მსახიობთა გვარები? რატომ ვწერ, რომ თუმანიშვილის "თაობა თეატრში ახმეტელის წასვლიდან ექვსი-შვიდი წლის შემდეგ მოვიდა" (ციტატა თუმანიშვილისაა!)? და ა.შ.

ყველას არა, მაგრამ ერთი-ორ ბრალდებას შევეცდები პასუხი გავცე. ახმეტელისა და თუმანიშვილის სპექტაკლები გამოტოვებული კი არა, ამოღებულია, იმიტომ, რომ ალბომის მოცულობამ საშუალება არ მოგვცა ალბომში სხვა რეჟისორების პირველი სპექტაკლებიც (მარჯანიშვილის "ფუენტე ოვეხუნას" გარდა) ჩაგვესვა. მთარგმნელები მხოლოდ ისტორიულ სპექტაკლებშია მითითებული. ვაღიარებ, ეს ჩემი შეცდომაა, მაგრამ ისევ ადგილის სიმწირის გამო გვარებს ერთი-ორი ზედმეტი ფოტო ვარჩიე. სამაგიეროდ, ალბომს თან ახლავს ორენოვანი ბროშურა, სადაც რუსთაველის თეატრის 1921-2004 წლის რეპერტუარი სადადგმო ჯგუფით, მთარგმნელებითა და პრემიერის თარიღით, აგრეთვე თეატრის გასტროლები, სამხატვრო ხელმძღვანელები, მთავარი რეჟისორები და დირექტორები ქრონოლოგიური სიზუსტით და სრულად არის მოყვანილი. ამ ბროშურას ბატონი ვასო საერთოდ არ ახსენებს. მსახიობთა გვარები "კავკასიური ცარცის წრის" გარდა ყველა სპექტაკლს აწერია ან უშუალოდ ფოტოსთან, ან მარცხენა თუ მარჯვენა ინფორმაციულ სვეტზე, როლებიც ორი-სამი სპექტაკლის გარდა (დიზაინის პრობლემების გამო) ყველგან არის მითითებული.

თუმანიშვილის ციტატა, "ჩემი თაობა თეატრში ახმეტელის წასვლიდან ექვსი-შვიდი წლის შემდეგ მოვიდა..." მე არც დამიწერია და არც გადამიკეთებია. თუმცა თუმანიშვილის თაობა ახმეტელის დახვრეტიდან მართლაც ექვსი-შვიდი წლის მერე მოვიდა თეატრში, ხოლო თვითონ თუმანიშვილი მათ გაცილებით გვიან შეუერთდა, რადგან მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა და თეატრალურშიც ომის შემდეგ სწავლობდა.

სამაგიეროდ, უნდა ვაღიარო, რომ აკაკი ვასაძის ფოტო მენგოს როლში "ცხვრის წყაროს" გვერდის ნაცვლად "ჰამლეტის" გვერდზე მოხვდა, ხოლო იგივე აკაკი ვასაძე მსახიობ დავითაშვილითაა შენაცვლებული იაგოს როლში. არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს აკეთებს.

ვიდრე ციტატების საკითხს შევეხებოდე, დავაზუსტებ, რომ ბატონი ვასოს უკმაყოფილება ძირითადად იმით არის გამოწვეული, რომ ალბომში "სწორი" ციტატები არ არის მოყვანილი. მითითებს კიდეც რომელი ციტატა სად უნდა განმეთავსებინა. მაპატიეთ, მაგრამ ვერ დავეთანხმები შემოქმედებითი თავისუფლების ასეთ იმპერატიულ შეზღუდვას, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი საკუთარი შეცდომების მაგივრად მის, ან სხვა რომელიმე მრჩეველ-მოკარნახის შეცდომებს დავუშვებდი.

ბატონი ვასო წერს: "...ახმეტელის შემოქმედებაზე, მის სპექტაკლებზე ძირითადად არის ახმეტელის შეხედულებები და სხვათა (გრ. რობაქიძე, მ.თუმანიშვილი, ნ. გეტაშვილი) ნააზრევი, ახმეტელზე არც ერთი ფრაზა არ არის გამოჩენილი უცხოელი მოღვაწეების შეხედულებებიდან... მაშინ, როდესაც რ. სტურუას სპექტაკლების ციკლში, მის შეხედულებებთან და ქართველ მოღვაწეებთან ერთად სავსებით დამსახურებულად, ოცამდე უცხოელის აზრია დაფიქსირებული...". აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ ვასოს იმაში, რომ ახმეტელის, მარჯანიშვილის, ალექსიძის სპექტაკლების გვერდებზე უმეტესწილად მათივე ნააზრევია ციტირებული, მაგრამ ეს არა "ძველი პერიოდის მიმართ სნობისტური და არასერიოზული დამოკიდებულების" (ციტატა დაცულია) გამო მოხდა, არამედ იმიტომ, რომ ამ ხელოვანთა ბელეტრისტული შემოქმედება (ინტერვიუ, გამონათქვამები, წიგნები) ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი რჩება.

უცხოეთში მოღვაწე ნ. გეტაშვილის ციტატა ახმეტელზე 2004 წლით თარიღდება და იმ საერთაშორისო კრებულიდან არის ამოღებული, სადაც ახმეტელის "ყაჩაღები" მე-20 საუკუნის საუკეთესო სპექტაკლების ჩამონათვალშია შეტანილი, სხვათა შორის "კავკასიურ ცარცის წრესთან" ერთად.

ალბომი, მოგეხსენებათ, სამეცნიერო ფოლიანტი არ არის, იგი ფართო მკითხველზეა ორიენტირებული, თანაც შერჩეული ციტატები, ჩემის ღრმა რწმენით, თავად რეჟისორის პიროვნებასაც უფრო გასაგებს ხდის და მისი სპექტაკლების არსსაც უფრო ზუსტად გადმოსცემს. ვერავინ დამარწმუნებს, რომ თეატრის ისტორიკოსი რეჟისორზე უკეთ მოახერხებს მისივე ჩანაფიქრის ან სცენური მეტაფორის გაშიფრვას.

რაც შეეხება რობერტ სტურუას სპექტაკლებს, პატივცემულ ოპონენტს ყურადღება უნდა მიექცია, რომ უცხოელთა ციტატები ისიც ძალიან მცირე რაოდენობით მხოლოდ "კავკასიური ცარცის წრეზე" და ბოლო წლებში შექმნილ სპექტაკლებთან არის გამოყენებული. პირველ შემთხვევაში "კავკასიური ცარცის წრის" უნიკალური სიცოცხლისუნარიანობისა და პოპულარობის წარმოსაჩენად, მეორე შემთხვევაში კი იმის გამო, რომ ქართული თეატრმცოდნეობა უკანასკნელი ოთხიხუთი წლის განმავლობაში შექმნილ სპექტაკლებს აქტიურად აღარ ეხმიანებოდა.

ბატონი ვასო აღშფოთებას გამოთქვამს მიხეილ თუმანიშვილის ციტატების "უხვი" გამოყენების და მისი თეატრიდან "გაგდების" (ტერმინი ჩემი არ არის!) ფაქტზე ყურადღების გამახვილების გამო. დაუთვლია კიდეც თუმანიშვილის ციტატები. 30 ყოფილა! რა არის ამაში გასაკვირი?! დამისახელეთ სხვა ქართველი რეჟისორი, რომლის ორი წიგნი მის სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა, ერთი - გარდაცვალების შემდეგ და უმდიდრესი არქივი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია... ბატონი ვასო წერს: "მრავალჯერ დამიწერია მის ღვაწლზე და აქ აღარ გავიმეორებ, მაგრამ როდესაც ყოველგვარი ზომიერება იკარგება და მისი პიროვნების **კულტივირება** (ხაზგასმა ჩემია. ი.ღ.) ხდება, რომელიც სრულიადაც არ სჭირდება დიდ რეჟისორს, იგი, უთუოდ, დათვურ სამსახურს ნიშნავს" (ციტატა დაცულია). ღმერთმა დამიფაროს! როგორ შევკადრებდი ბატონ მიხეილს "პიროვნების კულტივირებას". მით უფრო, რომ კულტივირება სოფლის მეურნეობას უფრო შეეხება, ვიდრე ხელოვნებას. ბატონმა ვასომ, ალბათ, "კულტის შექმნა" იგულისხმა, თუმცა ვერც ამას გავაკეთებდი, რადგან კულტის შექმნა ჩემი თაობის პრეროგატივა არ არის. მე, საბედნიეროდ, სხვა ტემპორალურ და სულიერ განზომილებაში ვარ დაბადებული და გაზრდილი. რაც შეეხება თეატრიდან გაგდების ფაქტის ხაზგასმა, მართალი გითხრათ, გამიკვირდა, რატომ გამოიწვია ამდენი მითქმა-მოთქმა თუმანიშვილის ერთმა ემოციურმა ფრაზამ, რომელიც იმ ფოტოსურათს მივუსადაგე, სადაც იგი თავის მოწაფეებთან თ. ჩხეიძესთან და რ. სტურუასთან არის გადაღებული: "...მე მაშინ წავედი თეატრიდან, როცა ვიგრძენი, რომ ჩემი თეატრის ჰორიზონტზე, ნაწილობრივ ჩემი დახმარებითა და მცდელობით, ახალი ლიდერები გამოჩნდნენ..." რატომ მომიწოდებს ბატონი ვასო ზოგიერთი ფაქტის მიჩუმათებას, თუ თვითონვე მასწავლის, რომ "ისტორიზმის პრინციპის დაცვის გარეშე ვერასოდეს ვერ დავიცავთ სამართლიანობას."

სწორედ ისტორიზმის პრინციპებისა და ისტორიული სამართლიანობის კონტექსტში მიუღებლად მეჩვენება ბატონი ვასოს პრეტენზიაც რუსთაველის თეატრის მიმართ: "როგორც ალბომიდანაც ირკვევა, შემთხვევითი არც ის ყოფილა, რომ სანდრო ახმეტელის დაბადებიდან 120 წლისთავს თეატრი არსებითი დუმილით შეხვდა. ასევე დუმილით შეხვდა დიდი მსახიობის ა.ვასაძის 100 წლისთავს".

რატომ ირკვევა თეატრის პოზიცია ალბომიდან? იმიტომ რომ იუბილემდე ლამის წელიწადნახევრით ადრე სტამბაში ჩაშვებულ ალბომში არ ჩავსვით აწ მარადიულ დროთა მახასიათებელი საკრალური ფრაზა. მაგალითად, ასეთი - მთავრობის დადგენილებითა და ხელშეწყობით რუსთაველის თეატრში ფართოდ აღინიშნება ორი გამოჩენილი ხელოვანის სანდრო ახმეტელის 120 და აკაკი ვასაძის 100 წლის იუბილე...

ჩემთვის პირადად სწორედ ისტორიული სამართლიანობისა და ისტორიისადმი ზნეობრივი დამოკიდებულების გამო აბსოლუტურად მიუღებელია ამ ორი სრულიად საპირისპირო ადამიანური თვისებებით დაჯილდოვებული პიროვნების ერთ ზნეობრივ კონტექსტში მოქცევა. ნუ დავივიწყებთ, რომ ერთი მათგანი მეორეს ამბიციებს ემსხვერპლა!

ვფიქრობ, აქ უნდა შევჩერდეთ. ალბომის ავკარგიანობა საბოლოოდ მაინც მკითხველმა უნდა განსაჯოს. მტერსა და მოყვარეს კი მინდა შევახსენო ერთი ძველი რომაული გამონათქვამი - გავაკეთე ის, რაც შემეძლო. დაე, ვისაც შეუძლია, უკეთ გააკეთოს... გამეხარდება!

ასევე გამიხარდებოდა რაციონალური და არა ირონიულ-სნობისტური (მაპატიეთ, ეპითეტს რომ გიბრუნებთ, ბატონო ვასო) კრიტიკა, რომლის მიღმა აშკარად იკითხება თქვენი დამოკიდებულება ქართული თეატრის თანამედროვე ისტორიისა და კონკრეტული პიროვნებების მიმართ.

დაბოლოს, ისევ ისტორიული სამართლიანობის პრინციპს მოვიმიზეზებ და ბატონ ვასოს ერთი რიტორიკული შეკითხვით მოვმართავ: ეგებ ჯობდა პატივი გეცათ "საქართველოს პირველი თეატრის" (ციტატა დაცულია) უახლესი ისტორიისათვის, რომელიც თქვენს თვალწინ იქმნება და 26 სექტემბერს, მისი 128-ე სეზონის გახსნის დღეს რუსთაველის თეატრში მობრძანებულიყავით?!

ფრთხილად, ბატონო ვასო, ესეც ისტორიაა!

**P.S.** გაზეთის ფურცლებზე პროფესიული დებატების გამართვის მომხრე არასდროს ვყოფილვარ. ეს პასუხი ჩემთვის პირველი და უკანასკნელი იქნება.

# დონ ფაბიოს დრო სჭირდება

"ხეტაფე" - "რეალის" მაჩტის შემდეგ, როგორც ამბობენ, ფაბიო კაპელო სამეფო კლუბის პრეზიდენტს შეხვდა და თანამდებობიდან წასვლაც კი სურდა, მაგრამ კალდერონმა იტალიელ სპეციალისტს გუნდში დარჩენა სთხოვა. მას შემდეგ "რეალმა" ორი მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო - ჯერ ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად "სტიაუასთან", შემდეგ კი - მადრიდში სუპერკლასიკო. "ბარსელონას" დამარცხება მადრიდელთათვის განსაკუთრებული რამ არის. ეს კაპელომაც მშვენივრად იცის. ცხადია, კლასიკოს მოგების შემდეგ დონ ფაბიო "რეალის" ფანებისთვის გმირად იქცა. გუშინ გაზეთ "ას"-ში იტალიელი სპეციალისტის ინტერვიუ გამოქვეყნდა.

**- როგორ შეაფასებდით "ბარსელონასთან" მატჩს?**

- თავიდანვე ვიცოდი, რომ ურთულესი თამაში გველოდა. საბედნიეროდ, ჩვენთვის ყველაფერი ძალზე კარგად დაიწყო. რაულის გოლმა ხელ-ფეხი გაგვიხსნა. მართალია, პირველ ტაიმში გატანილი გოლის შემდეგ მესიმ უამრავი პრობლემა შეგვიქმნა, მაგრამ შეხვედრის მეორე ნახევარში თამაშის სადავეები ხელში ჩავიგდეთ და ვფიქრობ, მეტოქისთვის მატჩის გადარჩენის შანსიც კი არ მიგვიცია.

**- "რეალს" ეს მატჩი რომ წაეგო, ახლა ალბათ სხვა თემაზე ვისაუბრებდით...**

- მწვრთნელის სამუშაო საკმაოდ რთულია. მე ცოტა დრო მქონდა იმისთვის, რომ გუნდში მდგომარეობა გამომესწორებინა. საბედნიეროდ, ფეხბურთელებს გამარჯვებულის ფსიქოლოგია აქვთ. შესაძლოა, ამ ეტაპზე "რეალი" აწყობილი მექანიზმივით ვერ მუშაობდეს, მაგრამ ბრძოლის ჟინმა, სწორად შერჩეულმა ტაქტიკამ და გამარჯვების წყურვილმა მაინც თავისი გააკეთეს.

**- თქვენ სულ რაღაც 50 დღეში შეძელით ამის გაკეთება...**



*კაპელო ახალ გუნდს აყალიბებს.*

- არა მგონია, რომ საქმე ბოლომდე იყოს გაკეთებული. სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. ეს მხოლოდ პირველი ეტაპია.

**- იტალიური საფეხბურთო სკანდალის შემდეგ თქვენთვის ესპანეთში დაბრუნება ალბათ გარკვეულწილად გამოსავალიც იყო.**

- "იუვენტუსთან" კონტრაქტი მაკავშირებდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელები გაგებით მოეკიდნენ ჩემს სურვილს. მადრიდში დაბრუნება კი ალბათ აუცილებელი იყო. თავის დროზე ამ გუნდთან ერთად იმას ვერ მივაღწიე, რაც დაგეგმილი მქონდა.

**- თავის დროზე ბერლუსკონის ვერ უთხარით უარი, ხომ?**

- ბერლუსკონიმ თავის გუნდში მიმიწვია და მე მისი მადლობელი ვარ. თუმცა "რეალიდან" წასვლის მიზეზი ეს არ ყოფილა.

**- ბერლუსკონის ახლაც რომ შემოეთავაზებინა თქვენთვის მწვრთნელობა, დარჩებოდით იტალიაში?**

- არა. ახლა ესპანეთში მსურს მუშაობა და მინდა გავაკეთო ყველაფერი, რაც აქამდე ვერ შევძელი.

**- "ხეტაფესთან" მატჩის შემდეგ გუნდში ალბათ საბრძოლო ჟინი დაეცა.**

- დიახ, ასე იყო. თუმცა წინ ისეთი მატჩები გველოდა, რომ ბიჭები ჩემი დახმარების გარეშე მოვიდნენ გონს.

**- ფლორენტინო პერესთან თუ გაქვთ ურთიერთობა?**

- დიახ. თანაც საკმაოდ თბილი და ახლო.

**- რას იტყოდით მის გალაქტიკურ "რეალზე"?**

- ამის თაობაზე მე ჩემი შეხედულება მაქვს. ფლორენტინომ გუნდში ფანტასტიკური ფორვარდები და შემტევი ნახევარმცველები შეკრიბა. გუნდი სახლივითაა, რომლის ფუნდამენტი დაცვით იწყება. ამის გარეშე ნორმალური გუნდის შენება შეუძლებელია.

**- რა მოხდა "ხეტაფესთან" მატჩში?**

- განსაკუთრებული არაფერი. როდესაც მსოფლიო დონის ვარსკვლავები საშუალო გუნდს ეთამაშებიან, მოტივაციის პრობლემა დგება. ფეხბურთელები ბოლომდე კონცენტრირებული არ იყვნენ და შედეგიც თავად ნახეთ.

**- მართალია თუ არა, რომ ამ მატჩის შემდეგ გუნდიდან მიდიოდით?**

- არა, ასეთი რამ არ ყოფილა.

**- იმასაც ამბობენ, რომ ფეხბურთელები თქვენგან მოქმედების მეტ თავისუფლებას ითხოვენ.**

- ესეც ტყუილია. ფეხბურთელებს ჩემთვის ასეთი რამ არ უთქვამთ.

**- მართალია, რომ რაული მიდიოდა გუნდიდან?**

- "ხეტაფესთან" მატჩის შემდეგ საშინელ გუნებაზე იყო, თუმცა ჩემთვის არაფერი უთქვამს. ზუსტად ვიცი, რომ ახლა აღარსად წავა. რა იყო მანამდე, ეს თავად რაულს ჰკითხეთ.

**- რას იტყოდით რონალდოს შესახებ?**

- კარგად მუშაობს. რა თქმა უნდა, ჯერ ასი პროცენტით მზად არ არის, მაგრამ მშვენივრად იცით, რომ უდიდესი ფორვარდია და გუნდს ბევრ სიკეთეს მოუტანს.

**- მსოფლიო ჩემპიონატზე კანავარო შეუდარებული იყო, "რეალში" კი მთლად საიმედოდ ვერ გამოიყურება.**

- მას პირადი პრობლემები ჰქონდა. ახლა ყველაფერი რიგზეა.

**- შეიძლება თუ არა ითქვას, რომ არსებობდა "რეალი" "ხეტაფესთან" მატჩამდე და მის შემდეგ?**

- რაც გინდათ, ის თქვით. მე ერთს გეტყვით: გუნდი ახლა ყალიბდება და ამას დრო სჭირდება. თავის დროზე ფრენკ რაიკაარდს საკმაო დრო მისცეს, რათა მას "ბარსელონა" გუნდად ექცია და ხედავთ, როგორ შედეგს მიაღწია. ახლა კი მე მჭირდება დრო. მშვენივრად მესმის, რომ "რეალის" ფანებს ახლავე უნდათ შედეგი, მაგრამ მოთმინების გარეშე არაფერი გამოვა.

# მისტერ აუღელვებელი

ვასილ უდუმაშვილი

ფრენკ რაიკაარდი ალბათ ყველაზე მშვიდი მწვრთნელია თანამედროვე ფეხბურთში. ლონდონში და მადრიდში განცდილი მარცხის მიუხედავად, ის სიმშვიდეს ინარჩუნებს და არჩეულ გზას ადგას.

ფრენკ რაიკაარდს ისეთი სამუშაო აქვს, რომ მუდმივი წნეხის ქვეშ იმყოფება, მაგრამ როგორ ახერხებს მუდმივად სიმშვიდის შენარჩუნებას, ბევრისთვის ახლაც გამოცანაა.

ის ევროპის საუკეთესო კლუბის მწვრთნელია. მის პიროვნებით ვერც სპეციალისტები და ვერც გულშემატკივრები ვერ მალავენ აღფრთოვანებას. მაგრამ საკმარისია საფეხბურთო სამყაროს ერთი ნაბიჯით გასცდეს და მისი დაბნეულობა კატასტროფულ ფორმებს იძენს.

"უარყოფითი თვისება? რა თქმა უნდა, რაიკაარდს ასეთებიც აქვს და თანაც როგორი! სიმართლე თუ გაინტერესებთ, მას საერთოდ არა აქვს მეხსიერება, ყველაფერი ავიწყდება", - გამოუტყდა ჟურნალისტებს რაიკაარდის თანაგუნდელი, ამჟამად ჰოლანდიის ნაკრების თავკაცი მარკო ვან ბასტენი.

ფრენკის მეუღლე მონიკა ასე ახასიათებს "ბარსელონას" მწვრთნელს: "ცოტა უცნაური კაცია. ხშირად ვეკითხები რაღაცას წმინდა ოჯახურ საკითხზე. მგონია, რომ გულმოდგინედ მისმენს, მისგან პასუხს ველი და იცით რა მესმის? მონიკა, ძვირფასო, კომოს ტბასთან იცი რა კარგი ნაყინი იყიდება".

რაიკაარდის ყოფითი უცნაურობები შესაძლოა მის მეუღლეს აშინებდეს, ფეხბურთში კი, როგორც ჩანს, ეს დიდი პლუსია. დოლფ როკსი კარგა ხანს მუშაობდა რაიკაარდთან ერთად. აი, რას ამბობს ის "ბარსას" თავკაცის შესახებ: "ფეხბურთელების თვალწინ არასდროს არ ბრაზდება. ვერ წარმომიდგენია, ფრენკი ფეხბურთელების თანდასწრებით ხმას უწევდეს ან ბრაზდებოდეს. ყოველთვის მშვიდია და ეს სიმშვიდე მის მოთამაშეებსაც გადაედებათ ხოლმე. საკმარისია სტადიონი ან სავარჯიშო მინდორი დატოვოს და მთლიანად ითიშება. მგონი საერთოდ არაფერზე აღარ ფიქრობს. წარმოგიდგენიათ, სახლში ფეხბურთზე სიტყვასაც ვერ დააცდენინებთ. არ მესმის, როგორ ახერხებს ამას. მე ფეხბურთზე 24 საათს ვფიქრობ, ის კი, მიატოვებს თუ არა საწვრთნელ ბაზას, ფეხბურთს საერთოდ ივიწყებს".

ფრენკს ასეთი ცხოვრებით ახლაც შეუძლია ტკბობა. მისი "ბარსელონა" მსოფლიოში ალბათ ყველაზე საყვარელი კლუბია. მერე რა, რომ "ჩელსისთან" დამარცხდა. ეს მხოლოდ ეპიზოდია.

ნუ იფიქრებთ, რომ ჰოლანდიელის სამწვრთნელო კარიერა ყოველთვის ასეთი უშფოთველი იყო. 2003 წელს ზედიზედ წაგებული სამი მატჩის შემდეგ ესპანური პრესა მას მხდალს უწოდებდა, გაზეთებში კი მის ფოტოებს ამშვენებდა წარწერა: "დამნაშავეა".

ერთხელ კრუიფმა თქვა: "ის კარგი მწვრთნელია, მაგრამ ასეთი მშვიდი ადამიანი ვერასდროს ვერ იქცევა დიდ მწვრთნელად". 2003 წელს ბევრი ფიქრობდა, რომ კრუიფის ეს დიაგნოზი სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ დღეს ამ მოსაზრებას ალბათ არც თავად კრუიფი იზიარებს.

ასეა თუ ისე, თავის დროზე ჟოან ლაპორტას არჩევანში ბევრს შეეპარა ეჭვი. "იმ დროს რაიკაარდში, როგორც მწვრთნელში, ბევრს ეპარებოდა ეჭვი, მე კი ყოველთვის მჯეროდა მისი. დიახ, ის მშვიდი და თითქოს არაამბიციური პიროვნებაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფრენკი ბუნებით არის გამარჯვებული. მისი საფეხბურთო კარიერა გამარჯვებების ენციკლოპედიაა", - აცხადებს ლაპორტა.

2003 წლის დეკემბერში რაიკაარდი გზასაყარზე აღმოჩნდა. "ბარსელონა" ესპანეთის ჩემპიონატში მე-12 ადგილზე იყო და ფრენკმა, ალბათ პირველად და უკანასკნელად, საკმაოდ მკაცრი განცხადება გააკეთა პრესაში ფეხბურთელების თაობაზე და ყველაფერში სწორედ ისინი დაადანაშაულა. "ერთხელ იძულებული გავხდი მედიაში მეთქვა სიმართლე და მეღიარებინა, რომ ჩვენი ჩავარდნის რეალური მიზეზი ფეხბურთელების მუდმივი გართობა იყო. მთელ ღამეებს კლუბებში ატარებდნენ და ფეხბურთი როგორ უნდა ეთამაშათ! საბედნიეროდ, ამან ფეხბურთელებზე იმოქმედა. შევიკრიბეთ, დავსხედით, ვისაუბრეთ. შედეგად მადრიდის "რეალს" 18 ქულა ამოვუქაჩეთ და ჩემპიონატი მეორე ადგილზე დავასრულეთ. ამის შემდეგ კლუბს გამარჯვებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდა. როდესაც "ბარსელონაში" მოვედი, გუნდში პესიმიზმი და იმედგაცრუება სუფევდა. ვიცოდი, რომ რაღაც რადიკალურად უნდა შევეგვეცვალა. ვფიქრობდი, რომ მთავარი ფეხბურთელებთან გულახდილი საუბარი იყო. ერთად გადავწყვიტეთ, რომ მდგომარეობა უნდა გამოგვესწორებინა", - აცხადებს რაიკაარდი.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა და რაიკაარდი დღესაც ხელშეუხებელი ავტორიტეტია იმ ვარსკვლავურ გუნდში, რომელსაც "ბარსელონა" ჰქვია.

ფრენკი მშვენივრად ხვდება, რომ ისეთ გუნდში, როგორიც "ბარსელონაა", ის მხოლოდ მწვრთნელი კი არა, კარგი ფსიქოლოგიც უნდა იყოს, რათა მოახერხოს ვარსკვლავების ერთ მუშტად შეკვრა და წარმატებული თამაშის გაგრძელება. შეიძლება ითქვას, რომ რონალდინიოს ვარსკვლავის ამობრწყინებაც ჰოლანდიელის სახელს უკავშირდება. სწორედ რაიკაარდმა გადმოიყვანა ბრაზილიელი პსჟ-დან "ბარსელონაში" და მას გუნდში სრული "კარტბლანში" მისცა. ფრენკს მშვენივრად ესმის, რომ ისეთ არაორდინარულ პიროვნებას, როგორიც რონალდინიოა, თავისებური მიდგომა სჭირდება. დღეს ბრაზილიელი გენიოსი ჩრდილში მოექცა. მას აშკარად პოსტმუნდიალური სინდრომი აწუხებს - ვერაფრით ვერ მოინელა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩავარდნა. რაიკაარდი სწორედ ახლა ამოუდგა ვარსკვლავს მხარში და პრესას მისი გაკრიტიკების უფლებას არ აძლევს.

"დიახ, ის ახლა უფერულად თამაშობს, მაგრამ საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. ადამიანია და შეიძლება რამდენიმე მატჩი ჩააგდოს. ბოლოს და ბოლოს, რობოტი ხომ არ არის, სულ ერთ დონეზე ითამაშოს. აცალეთ, ბატონო! შესაძლოა ისეთ ლამაზ ფეხბურთს აღარ აჩვენებს, მაგრამ უამრავს მუშაობს გუნდზე და ჩვენი წარმატებები კვლავ მისი დამსახურებაა", - ამბობს რაიკაარდი.

"ფრენკი იდეალური მწვრთნელია, - ამბობს დეკუ, რომელიც თავის დროზე ჟოზე მოურინიოსთან ერთად მუშაობდა, - რაიკაარდი ფენომენალურია. არა მგონია, "ბარსელონასთვის" უკეთესი მწვრთნელის მოძებნა შეიძლებოდეს".

# შუმახერს რბოლები მოენატრება

*მას შემდეგ, რაც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა სამეფო რბოლებში ასპარეზობას დაუსვა წერტილი, გერმანელმა გულშემატკივრებმა და მეგობრებმა მადლობის ნიშნად მიხაელ შუმახერი საჩუქრებში ჩაძირეს. ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მიხაელმა მიიღო აწ უკვე ყოფილი გუნდიდან - "ფერარიდან" და მისი ნიჭის თაყვანისმცემლისგან, დუბაის შეიხის მოჰამად ბინ რაშიდ ალ მაკტუმისგან. გერმანიის საინფორმაციო წყაროების ცნობით, მიხაელს სკუდერიელებმა "ფერარის" უკანასკნელი ბოლიდი "ფერარი 248 F1" აჩუქეს - ბოლიდი, რომლითაც ბოლოს იასპარეზა მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა ბრაზილიის დიდ პრიზზე. მანქანის ფასი სამი მილიონი ევროა! ისტორიული ოთხთვალას ხილვა შესაძლებელია შუმის მშობლიური ქალაქ კერპენში, დიდი მრბოლის სახელობის მუზეუმში. აი, შეიხის საჩუქარი კი...*



*მიხაელი სამეფო რბოლებიდან საკუთარი ფერარით წავიდა.*

ბედაურებისადმი არაბების სიყვარული საყოველთაოდ ცნობილია, თუმცა მათ ავტომოტოსპორტიც ძალიან ჰყვარებიათ. მოჰამად ბინ რაშიდ ალ მაკტუმს ბევრი არ უფიქრია და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს დუბაის სანაპიროს ერთ-ერთი პატარა კუნძული აჩუქა. გერმანული ტაბლოიდის Bild-ის ცნობით, რომელიც გერმანელი მრბოლის მენეჯერის ვილი ვებერის ცნობას ეყრდნობა, შეიხის წყალობით, შუმახერებს დასასვენებლად ერთი გემრიელი ალაგი ექნებათ. ვებერისვე თქმით, ახლა მიხაელი იმაზე ფიქრობს, თუ როგორ მოაწყოს კუნძული. შეიხის ნაჩუქარ კუნძულზე მიხაელს კარტინგისთვის სარბოლო ტრასის აგება განუზრახავს.

იმავე Bild-ის ცნობით, დუბაის სახალიფოს სანაპიროებთან 300-მდე კუნძულია, 2,5-დან 10 ჰექტარამდე ფართობით. მიხაელისთვის ნაჩუქარი კუნძულის ღირებულება 4,5 მილიონი ევრო ყოფილა.

"მიხაელსა და მის მეუღლე კორინას საკუთარი საკურორტო კუნძული ექნებათ, რომელზე მოხვედრაც კატარღით ან შვეულმფრენით იქნება შესაძლებელი", - აღნიშნავს ვებერი.

მიხაელის დამსახურებებს ეხმაურება გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელიც. მისი თქმით, შუმახერი "გერმანიის უდიდესი სპორტსმენია".

"მიხაელ შუმახერი დგას გერმანიის ისეთი დიდი სპორტსმენების გვერდით, როგორებიც არიან მაქს შმელინგი, ფრიც ვალტერი, ფრანც ბეკენბაუერი, ბორის ბეკერი და შტეფი გრაფი.

მათ მსგავსად, შუმახერი გერმანული სპორტის ნამდვილი სახეა. ის დაუღალავად შრომობდა წარმატებისთვის".

ანგელა მერკელმა დასძინა, რომ შუმახერის წყალობით გერმანულ სპორტს კიდევ ერთი გენიალური სახელი შეემატა.

ტელეარხ RTL-ის ცნობით, ბრაზილიის დიდ პრიზს უცქერდა 15 მილიონამდე გერმანელი ტელემაყურებელი.

ისიც ირკვევა, რომ მიხაელის ბოლო რბოლის მაყურებელთა რაოდენობამ პიკს მიაღწია 20:00 საათისთვის (18:00 GMT) - 14,83 მილიონი ტელემაყურებელი. თუმცა, გერმანელმა ტელემაყურებელმა იხილა არა მიხაელის, არამედ მისი ბრაზილიელი თანაგუნდელის ფელიპე მასას გამარჯვება.

შედარებისთვის: შარშანდელ ბრაზილიურ დიდ პრიზს 7,33 მილიონი გერმანელი ტელემაყურებელი ჰყავდა. თუ რატომ ჰყავდა 2006 წლის დასკვნით ეტაპს ამდენი მაყურებელი, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. 37 წლის მიხაელმა ფორმულა 1 დატოვა.

ახლა, როცა მიხაელ შუმახერი სამეფო რბოლებიდან წავიდა, მას მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, ავსტრიელი ნიკი ლაუდა აფრთხილებს: სცენიდან წასვლის შემდეგ, პირველ ხანებში, თითქოს ყველაფერი კარგადაა - იმდენ ხანს დაიძინებ, რამდენიც გინდა, იმდენ კათხა ლუდს დალევ, რამდენსაც ინებებ, მაგრამ რამდენიმე თვეში რბოლების მონატრება მოსვენებას არ მოგცემსო.

## დამუღამებული მოტივები

ავდრით გამოწვეული ათდღიანი პაუზის შემდეგ, პარასკევს, ვაკის მომცრო მოედანზე განახლდა რაგბის შინაური პირველობა. პირველი წრის თამაშთა თამაში კი იქვე, შაბათსაა.

სტადიონზე გრილოდა. გუნდებს გემოვნებიანად ეცვათ და რაგბის კავშირის მიერ დანიშნული ჯიბის ფულიც (კაცზე თვეში 50 ლარი) უკვე აეღოთ. ტრიბუნაზე მაყურებელი მოასპარეზეებზე ნაკლები იყო, მაგრამ მათ საუბრებში მაინც გაიგონებდით, მალე ქართულ რაგბის ორი ღონიერი სპონსორი მოევლინება და ეშველებაო.

აქამდე გაუმარჯვებელთა მატჩში ბეკებით ცქვიტად მობურთალი "აკადემია" მხოლოდ ერთ ტაიმს გაუძალიანდა "ხულიგანას". კარში დიდებულად ურტყა ციმბირიდან შინ დაბრუნებულმა ბორჯღალოსანმა გიორგი ელიზბარაშვილმა, მაგრამ დერეფანში დამულამებული მოტივები "თეთრი საზამთრო" და "შავი სალამური" ვერაფერში გამოადგათ აკადემიელებს. რაც შეეხება "ხულიგანას", გუნდი საომრად მომართული ჩანდა და ნაღდად კიდევ უფრო მოუმატებს.

მეორე, თითომოგებიან მეტოქეთა მატჩში "დინამომ" საწყის საათში ოთხი ჯარიმა შეაგდო, სამი ლელო კი მას მერელა გაიტანა, რაც ყოჩები 14 კაცის ამარა დარჩნენ. 0:6-ზე ყოჩებს მოედანზე ბურთის სადგამის შეტანა დაუგვიანდათ, მერე კი ჯარიმა ძელსაც გაარტყეს.

ზედ შესვენების წინ ქვეყნის უძველესი კლუბი (1959 სპი) ლელოთი დაწინაურდა, მაგრამ მერე 7:9-ზე გასატანი ჯარიმა დაახაია და წახდა. ამას უდისციპლინობაც (ორი სინბინი) დაერთო და თუმცა ათი ქულით ჩამორჩენილმა ყოჩებმა ჯარიმა ზედიზედ ოთხჯერ გაათამაშეს, "დინამოს" მაინც ვერაფერი დააკლეს.

### სხვაობა შემცირდა

რაგბის შინაურ პირველობაზე სამი რაუნდის შემდეგ ერთპიროვნულად დაწინაურდა XXI საუკუნეში ცხრა ტიტულის (ჩემპიონობა, თასი) მომგები ლოკომოტივი, ვისაც შაბათს დიდი ბრძოლა გადახდა მზარდ ლელოსთან.

შინაური რაგბის ლიდერებს შორის სხვაობა ამ შემოდგომაზე შემცირდა. შარშან, თასის ფინალში, რკინიგზელებმა 24:9 ძლიეს ლელო, მერე კი, პირველობაზე, 37:15 და 37:8 დაანგრიეს მეტოქე. წლეულს, ივლისში, რკინიგზამ თასის ფინალში მოლით ოთხჯერ დაალელოვა ნორჩი კონკურენტი და 29:10 მოუგო, ამჯერად კი, სათადარიგო ბეკთა დეფიციტის პირობებში, მასვე ძლივსლა აჯობა.

შესვენებამდე, მზიან დარში, ლოკომოტივმა მოლით ორჯერ იხეირა და 8 ქულით დაწინაურდა, ლელო კი გაგორებულ ბურთს დაახტა. მატჩის პირველი და ლამის ერთადერთი შნოიანი გარღვევა 54-ე წუთზე მოაწყო სანდრო გილაურმა. მასვე მერე ფეხი ეტკინა, მაგრამ თამაშის ბოლომდე მოუხდა გაძლება.

ამასობაში აგრილდა და შებინდდა. ლელომ მარცხენა ალამთან ბეკებით შეიტანა ბურთი და მეტოქეს სამ ქულამდე წამოეწია, მაგრამ მერე რკინიგზელთა დირიჟორმა ბობა კვინიხიძემ 40 მეტრიდან მეორედაც ზუსტად დაკრა. აქედან მოყოლებული ლელო 11 წუთის მანძილზე ბევრს ეცადა, მაგრამ ხან საკუთარი დერეფანი წააგო და ხანაც უკანა ხაზით თამაშისას უმისამართო პასებმა დაალალატა.

### უმაღლესი ლიგა

**აკადემია 26:43 ხულიგანა**

**აკადემია:** ხუხუნეიშვილი, დავითაშვილი, წასიძე, მოლოდინაშვილი, ბეგაძე (სულამანიძე); (10-9) ელიზბარაშვილი სბ 42, ჩაბრაძე / დიაკონიძე, ბანდელიძე, ლომსაძე; ბარბაქაძე, საძაგლიშვილი; ნიბლაძე (ჩაჩუა), ლ.ობოლაძე (გელაძე), ნებულიშვილი - 4ლ: ბეგაძე, ხუხუნეიშვილი ორი (2 4), ელიზბარაშვილი; 3გ: ელიზბარაშვილი

**ხულიგანა:** ჯეირანაშვილი, კენჭაძე, გრძელიშვილი, სონღულაშვილი, გეგეჭკორი; (10-9) ვაჩნაძე, კუპრეიშვილი / გოგიშვილი, მურვანიძე, შეყლაშვილი; ბელაშვილი, აბაშიძე (ჭიჭინაძე 76); ჯოხაძე, კალმახელიძე, დგებუაძე სბ 42 - 7ლ: გრძელიშვილი, კალმახელიძე, კუპრეიშვილი, ჯოხაძე, დგებუაძე, აბაშიძე, შეყლაშვილი; 4გ: აბაშიძე 3, ჯეირანაშვილი

**რეფერი** ჩაჩუა; კიდეებზე: აბაშიძე და ცხაკაია

**ყოჩები 7:27 დინამო**

**ყოჩები:** კობერიძე, გეგენავა, კაჭარავა, დადეშიანი, ნიჟარაძე; (10-9) ბრეგვაძე, ხელაძე / კიკნაველიძე, ჭავჭავაძე სბ 69 წბ 70 , ასეიშვილი; არჩუაშვილი, ანჯაფარიძე (ჭაბაშვილი 51); ტუჩაშვილი, თოთაძე, კუჭუხიძე სბ 59 - ლ: კიკნაველიძე; გ: დადეშიანი

**დინამო:** შუბითიძე, ოდიშარია, მაისურაძე, ხვიჩია, გრუდკო; (10-9) ავლოხაშვილი, რამიშვილი / ნატრიაშვილი, მოქია, ხმიადაშვილი (ზაქარეიშვილი); ხორბალაძე, მეიშვილი; ცხადაძე, მირცხულავა, გუგუშვილი - 3ლ: ცხადაძე ორი, გრუდკო; 4ს: ავლოხაშვილი 2, გრუდკო 2

**რეფერი** ჯავახიშვილი; კიდეებზე: ჩაჩუა და ცხაკაია

**ლელო 18:24 ლოკომოტივი**

**ლელო:** ყიასაშვილი, ზაალიშვილი, თოდუა, მანჯავიძე, თ.ცერცვაძე; (10-9) ხმალაძე (დევიძე), თოფურია / ჯამრულიძე, ცხოვრებაშვილი, ქუბრიაშვილი; რამაზაშვილი, ჩიტიძე; მჭედლიშვილი, დ.დაუშვილი, ი.დაუშვილი (ახალაია) - 2ლ: თოფურია, ცერცვაძე; გ, 2ს: ყიასაშვილი

**ლოკომოტივი:** გუგავა, ოსეპჩუკი (ნადირაძე 58), ბერძენიშვილი (ანდღულაძე 52), გილაური, ჩიხლაძე; (10-9) კვინიხიძე, უდესიანი / მაღალდაძე, ხეჩიკოვი, პეტრიაშვილი; ნიშნიანიძე, მთიულიშვილი; სუთიაშვილი, მხეიძე, მაისურაძე - 2ლ: სუთიაშვილი, მხეიძე; გ, 4ს: კვინიხიძე

**რეფერი** ჩაჩუა; კიდეებზე: ჯავახიშვილი და კოპალიანი

**კიბე:** ლოკომოტივი 3-0 (პლუს 14), ლელო 2-1 (პლუს 60), დინამო 2-1 (პლუს 32), ყოჩები 1-2 (მინუს 8) / ხულიგანა 1-2 (მინუს 25), აკადემია 0-3 (მინუს 73)

### პირველი ლიგა

**ქუთაისი - უნივერსიტეტი 6:9 (6:3), არმაზი - რუსთავი 38:13**

**კიბე:** უნივერსიტეტი 3-0 (პლუს 18), ქუთაისი 2-1 (პლუს 10) / ბათუმი 1-2 (მინუს 16), არმაზი 1-1* (პლუს 25; ქულა დაექვითა), რუსთავი 0-3 (მინუს 37)

**მასალა მომზადებულია ვებ-ვერდზე http://www.geocities.com/Msoflioshi/index.htm**

## მოკლედ

### კო ადრიანსე "დინამოში"

ცნობილმა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა კო ადრიანსემ შესაძლოა კიევის "დინამო" ჩაიბაროს. მართალია, უკრაინის ჩემპიონატში "დინამო" საკმაოდ კარგად თამაშობს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაზე განცდილი სრული ფიასკოს შემდეგ საუბარი დაიწყო დემიანენკოს გადაყენების თაობაზე. მას შემდეგ, რაც უკრაინული გუნდის ხელმძღვანელებს ლიპიმ და ერიქსონმა უარი უთხრეს, გადაწყდა, რომ დემიანენკოს ნაცვლად მწვრთნელად კო ადრიანსე დაინიშნოს.

### რაული "რეალის" დატოვებას აპირებდა

მადრიდის "რეალის" პრეზიდენტის რამონ კალდერონის განცხადებით, სულ ცოტა ხნის წინ რაული გუნდის დატოვებას აპირებდა. "რაულმა პირდაპირ მითხრა, რომ თუ მდგომარეობა არ შეიცვლებოდა, გუნდს დატოვებდა. ჩემთან საუბარში აღნიშნა, რომ მას არაფერი უნდა, "რეალის" კეთილდღეობის გარდა და წასვლის შემთხვევაში კუთვნილი ხელფასის აღებასაც კი არ აპირებდა", - ამბობს კალდერონი.

### ფრედი ორ თვეს დაისვენებს

"ლიონის" ბრაზილიელი ფორვარდი ფრედი, როგორც ჩანს, სერიოზულად დაშავდა "მარსელთან" მატჩში. "ლიონის" ექიმების თქმით, ტრავმა იმდენად მძიმეა, რომ ფეხბურთელს, სულ მცირე, ორი თვე მაინც დასჭირდება სამკურნალოდ. დიაგნოზი მართლაც საკმაოდ მძიმეა - ფრედს მუხლის მყესები აქვს გაწყვეტილი.

### "ატლეტიკო" გაძლიერებას გეგმავს

მადრიდის "ატლეტიკოს" მესვეურები ცდილობენ "ჩელსის" გარემარბის შონ რაით-ფილიპსის შეძენას. როგორც იცით, შონი ლონდონური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, რის გამოც მან ინგლისის ნაკრებშიც დაკარგა ადგილი. მადრიდელთა აზრით, რაით-ფილიპსი არგენტინელი მაქსი როდრიგესის იდეალური შემცვლელი იქნება. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ მაქსიმ უმძიმესი ტრავმა მიიღო და დაახლოებით ნახევარ წელიწადს ვერ ითამაშებს.

### მართლა უკბენია

გაზეთ "სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში "ვესტ ჰემის" არგენტინელმა საყრდენმა ხავიერ მასკერანომ აღნიშნა, რომ "ტოტენჰემის" ფორვარდმა ჯერმაინ დეფომ მას მართლაც უკბინა ყურზე.

"მე უკონფლიქტო ადამიანი ვარ და არ მიყვარს მინდორზე გარჩევები. მაგრამ ასეთი რამ აქამდე ჩემს კარიერაში არ მომხდარა. გაოგნებული ვარ. დეფომ დამკბინა. მართალია, მე უხეშად ვითამაშე (ამის გამო ყვითელი ბარათი მივიღე), მაგრამ არ მესმის, რატომ ჰქონდა ასეთი რეაქცია დეფოს. კბენა რა საჭირო იყო", - ამბობს გაკვირვებული არგენტინელი.

*მოკლედ*

## ბუცების ქურდი

"ჩელსისა" და "ბარსელონას" მატჩის შემდეგ ბრიტანელმა სამართალდამცავებმა დააკავეს ლონდონური კლუბის ორი გულშემატკივარი. გაზეთ "სანის" ცნობით, ფანები "ჩელსის" გასახდელში შეიპარნენ და იქიდან ჯონ ტერის ბუცები მოიპარეს.

## დონადონი აზიატის აქებს

იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი რობერტო დონადონი აღფრთოვანებულია კრისტიან აზიატის თამაშით. "კრისტიანი ბრწყინვალე მეკარეა. როდესაც ნაკრებში გამოვიძახე, ამით უკვე დავამტკიცე, რომ მას ვენდობი. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ მას ოდნავ აკლია სტაბილურობა", - აცხადებს დონადონი.

## პლატინი ფავორიტია

პოპულარულ ფრანგულ გამოცემა "ფრანს ფუტბოლის" აზრით, მიშელ პლატინი უეფას პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატია.

ჟურნალის რედაქციის აზრით, პლატინის სასარგებლოდ ალბათ უეფას წევრების 51,9 პროცენტი მისცემს ხმას. 34,6 პროცენტი უეფას ამჟამინდელ პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს დაუჭერს მხარს, 13,5 პროცენტს კი გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

როგორც ირკვევა, "ფრანს ფუტბოლის" ჟურნალისტებმა მცირე გამოკვლევა ჩაატარეს და გამოკითხეს ყველა ის სუბიექტი, რომელიც არჩევნების დროს ხმის უფლებით ისარგებლებს.

შეგახსენებთ, რომ უეფას პრეზიდენტის არჩევნები 2007 წლის 27 იანვარს უნდა გაიმართოს. გამორიცხული არ არის, რომ პლატინისა და იუჰანსონს კიდევ ერთი სოლიდური კონკურენტი ჰყავდეთ. საუბარია ფრანც ბეკენბაუერზე, რომელსაც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

## "არსენალი" არავის იყიდის

ლონდონის "არსენალის" მთავარი მწვრთნელის არსენ ვენგერის განცხადებით, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მისი გუნდი ახალ ფეხბურთელებს არ შეიძენს.

"ჩვენ საკმაოდ კარგი გუნდი გვყავს და ამ ეტაპზე ახალი ფეხბურთელების შეძენა არ გვჭირდება. ამ შემადგენლობით სეზონის ბოლომდე ვითამაშებთ. ასე რომ, იანვრის სატრანსფერო ფანჯარა ჩვენთვის ფაქტობრივად არ იარსებებს", - აცხადებს ვენგერი.

## ბექჰემს "მანჩესტერი" მოენატრა

მადრიდის "რეალის" ნახევარმცველმა დევიდ ბექჰემმა აღიარა, რომ ენატრება მშობლიური "მანჩესტერ იუნაიტედი". როგორც ამბობენ, ინგლისელი არ გააგრძელებს კონტრაქტს სამეფო კლუბთან, თუ კაპელომ ის ძირითად შემადგენლობაში არ დააბრუნა. იმ შემთხვევაში, თუ დევიდი მადრიდული კლუბის დატოვებას გადაწყვეტს, მისი შეძენის მსურველი საკმაოდ ბევრი იქნება.

თუ ბექჰემის სიტყვებს გავითვალისწინებთ, გამორიცხული არ არის, რომ ის მშობლიურ "მანჩესტერშიც" დაბრუნდეს.

"ინციდენტი, რომელიც სერ ალექსთან მოხდა, უბრალოდ უბედური შემთხვევაა. 12 წელია ალექსს ვიცნობ და ამ ხნის განმავლობაში სულ ორჯერ ვიკამათეთ. მეგობრები მადრიდშიც მყავს - რონალდო, რობერტო კარლოსი, მიჩელ სალგადო, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთად არსად დავდივართ. "მანჩესტერში" კი ერთ ოჯახად ვცხოვრობდით და ეს ძალიან მენატრება", - აცხადებს ბექჰემი.

## "ვალენსია" შეიძლება დასაჯონ

ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში "ვალენსიასა" და "ოსასუნას" მატჩში ვალენსიური გუნდის ფანმა ტრიბუნებიდან მინდორზე რაღაც საგანი ისროლა, რომელიც არბიტრს მოხვდა თავში. უახლოეს დღეებში ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია განიხილავს ამ ინციდენტს და, სავარაუდოდ, "ვალენსია" დაისჯება. უკეთეს შემთხვევაში, გუნდს ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს. გამორიცხული არ არის, რომ "მესტალიას" სტადიონს დისკვალიფიკაცია მისცენ.

## "რომა" სკუდეტოს უმიზნებს

იტალიის ნაკრებისა და "რომას" ლიდერმა ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ მის გუნდს ამ სეზონში სკუდეტოს მოგება შეუძლია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორ ტურში დედაქალაქელებმა არც ისე ძლიერ გუნდებთან დაკარგეს ქულები და ახლა სატურნირო ცხრილში მხოლოდ მესამე ადგილს იკავებენ.

"ძალიან მწყინს, რომ "კიევოსთან" ქულები დავკარგეთ, მაგრამ ეს არაფერია. მჯერა, რომ ამ სეზონში ჩემპიონობის მოგება შეგვიძლია", - აცხადებს ტოტი.

## რუნი ჯერარდს ეპატიჟება

"მანჩესტერის" ფორვარდი უეინ რუნი აცხადებს, რომ სტივენ ჯერარდისთვის უკეთესი იქნება, თუ იგი "ლივერპულიდან" "მანჩესტერში" გადავა.

"სტივენი "ლივერპულის" ლიდერია და ვფიქრობ, მერსისაიდელები მას შეელიონ. თუმცა ჯერარდისთვის უკეთესი იქნება, თუ ჩვენთან გადმოვა", - ამბობს რუნი.

აღსანიშნავია, რომ ჯერარდის შეძენა არაერთ გრანდს სურს, მათ შორის, "ბარსელონას" და "რეალს". როგორც თავად სტივენი ამბობს, თუ მან "ლივერპული" დატოვა, კარიერას აუცილებლად უცხოეთში გააგრძელებს.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს გენერალური პროკურატურა აცხადებს ტენდერს ავეჯის შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**შესყიდვის ობიექტია:**

| დასახელება | რაოდენობა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|
| საოფისე სკამი, საშუალო სიმაღლის რეგულირებადი ზურგით, რეზინით მოპირკეთებული 5 გორგოლაჭიანი ალუმინის ფეხებით, პოლიურეთანით მოპირკეთებული ქრომირებული მეტალის სახელურებით. | 10 | ქ.თბილის ვ. გორგასლის N24 |
| მეტალის ძელზე ფიქსირებული ოთხი სკამი, რომლის ფეხებიც ფიქსირდება იატაკზე | 40 | ქ.თბილის ვ. გორგასლის N24 |
| მეტალის ძელზე ფიქსირებული ოთხი სკამი საწერი დაფით, რომლის ფეხებიც ფიქსირდება იატაკზე. | 8 | ქ.თბილის ვ. გორგასლის N24 |
| საოფისე მაგიდა. | 3 | ქ.თბილის ვ. გორგასლის N24 |
| ტყავის საშუალო მეტალის კარკასით. | 1 | ქ.თბილის ვ. გორგასლის N24 |

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, კოდი: 302003000, ანგარიშის N200122900, მიუთითონ საქართველოს გენერალური პროკურატურის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი 2006 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით, ქ. თბილისი, გორგასლის N24, ოთახი 214, რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

1. მიწოდების სასურველი ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი კალენდარული თვის განმავლობაში.
2. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთი ორიგინალის სახით 15 ნოემბერს დღის 10:00 საათიდან 16:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს გენერალური პროკურატურა, გორგასლის ქ. N24, ოთახი 214.
3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.3 **იურიდიული პირისათვის**

ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის (ტენდერში მონაწილე) ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;
ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ ნასამართლევი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.4 **პიზიკური პირისათვის**

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო ნასამართლევი და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
5. სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილ უნდა იქნეს მათი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.
6. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.
7. ტენდრში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ: ნოდარი ფოცხვერაშვილი ტელ: 8-93-22-94-22 40-50-56,

[1] უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

*სატენდერო კომისია*





ცნობილი სახალხო მკურნალი ანდრო სამხთუაშვილი იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".

### ს ი ა ხ ლ ე !

### ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

**მის. ი. ჭავჭავაძის 78**

**დავით ტატიშვილის აღდგენითი**

**მედიცინის ცენტრი**
**ტელ: 293 -292**
**(899) 222 - 912**
**(893) 65 38 39**

### ჩვენ მივდევთ დროს!

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი**

### გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

**ულტრათანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის**

- სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.
- ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციით.
- უახლესი ამერიკული ფერადდოპლერიანი ექოსკოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახებით.
- რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას სტერეოტაქსიური ბიოფსიით.
- მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტროენცეფალოგრაფიას.
- ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ პაკეტს.
- აბსოლიტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს.
- ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ - მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს.
- კომპიუტერულ კოლპოსკოპიას.
- ორთოპედულ - ტრავმატოლოგიური, გინეკოლოგიური და სანაღვლე გზების დაავადებების ქირურგიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაპარასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით.
- აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.
- წონაში კლებისა და გაჯანსაღების თანამედროვე მეთოდიკებს და ახალ პროგრამებს.
- სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს.
- ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში
- ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას.
- ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს.
- შაბათ-კვირას მომსახურეობა ტარდება ფასდაკლებით

**თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის ქ. N8**
**ტელეფონი: 91 31 19, 91 32 42**

### არ გაუშვათ ბოლო შანსი!

EKO GEORGIA

შპს „ეკო ჯორჯია“ აცხადებს ტენდერს გაყიდვაზე.

იყიდება 4020 $м^2$ მიწის ფართობი, მდებარე ქ. თბილისში მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ვახუშტის ხიდის მიმდებარე ტერიტორია. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 2006 წლის 23 ოქტომბრიდან 13 ნოემბრამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, 0162, ჭავჭავაძის გამზ. 74, მე-8 სართული, შპს „ეკო ჯორჯია“
ტელ: 29 23 64; 25 15 07; 25 18 67
საკონტაქტო პირი: ლიკა ფირანიშვილი მობ. 877 41 43 72

### ბრიტანული ენის დარბაზი გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

- ინგლისური ენის კურსს სკოლის ასაკის ბავშვებისა და უფროსებისათვის.
- მოსამზადებელ კურსს კემბრიჯის საერთაშორისო სერტიპიკატებისათვის (**PET, FCE, CAE, IELTS**)
- სპეცკურსს აბიტურიენტებისათვის სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების მაკმილანის, ჰარპერ-კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის უახლესი სასწავლო ლიტერეტურა

ბრიტანეთსა და ამერიკაში კურსდამთავრებული პედაგოგები უზრუნველყოფენ თქვენს წარმატებებსა და მაქსიმალურ პროგრესს..

**Good luck with your English.**

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N7
(ცეკავშირის შენობა) IV სართ. ოთახი 405
ტ. 55-21-29
ელ.ფოსტა: **british-Languaje hall@yahoo.com**



24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:




- ფოსტა

*ყოველ სამშაბათს და პარასკევს, ყველას ვისაც სურვილი გაქვთ შეიტყოთ ყველაფერი საბანკო მომსახურების შესახებ, გამოგზავნეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის N51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86 ; e-mail:ngotsadze@tbcbank.com.ge) და თქვენს შეკითხვებს უპასუხებენ თიბისი ბანკის ექსპერტები.*

B2



## საქართველო ელექტროენერგიას ირანიდან მიიღებს

B3

## "ხარისხის ნიშანი" საუკეთესო კომპანიებს

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3214 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9923 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4739 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7405 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8127 |
| 1 | ბულგალური ლეი | BGL | 1,1207 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2940 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3039 |
| 1 | ევრო | EUR | 2,1911 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4008 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3347 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1923 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1463 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2678 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1891 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2543 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4064 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5448 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1304 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3654 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3186 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2601 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5684 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6231 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0647 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1051 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4559 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5131 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4127 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4468 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8369 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0190 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1361 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4450 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2381 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3787 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0776 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2203 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2235 |




# კორუფციული სკანდალის კვალდაკვალ

რევაზ საყევარიშვილი

*სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გარშემო მიმდინარე მოვლენები რატომღაც სკანდალად მოინათლა. არადა, თუ ცივი გონებით დავუკვირდებით, მთელი ამ ისტორიის არსი ის არის, რომ გენერალურმა პროკურატურამ, ფინანსურმა პოლიციამ და ჯანდაცვის სამინისტრომ, როგორც იქნა, აღიარეს ის, რაც ყველასთვის ისედაც ცნობილი იყო. სამ ნარნარ ხმაში შეკივლებული "მეფე შიშველია!" - მხოლოდ იმ ფაქტების ძალიან დაგვიანებული კონსტატაცია იყო, რაც უკვე ყველამ დიდი ხნის წინ იცოდა.*

**ფაქტია, რომ რაც უფრო დიდხანს იქნება სოციალური სფერო სახელმწიფოს ერთპიროვნულ გამგებლობაში, მით უფრო მეტი იქნება ასეთი კორუფციული სკანდალები. ეს ფონდი მასში აკუმულირებული სახსრების გამო მუდმივად იქნება გავლენის სფეროების გასაფართოებლად წარმოებული პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტი არა მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს, არამედ, როგორც ამ შემთხვევაში დავინახეთ, ერთ პოლიტიკურ გუნდში არსებულ სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის.**



B2

# რუსული ემბარგოს კვალი

## საქართველოს ბაზარზე სამომხმარებლო პროდუქტები 20 პროცენტით გაძვირდა

ნინო ნატროშვილი

*რუსეთთან სატრანსპორტო კავშირის შეწყვეტის შემდეგ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ცვლილებები უკვე მოხდა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ბოლო ერთი კვირაა, თბილისში პური ცხრა პროცენტით გაძვირდა. გაძვირებულ პროდუქტებში მეორე ადგილზეა მარილი. ამ პროდუქტის ფასი 5,3 პროცენტით გაიზარდა. პურის ფქვილი 3,7 პროცენტით გაძვირდა. ჯამში კი კვების პროდუქტების ფასმა 1,02 პროცენტით მოიმატა. რუსეთთან გართულებული სიტუაციის ფონზე საქართველოში ფასი 51 დასახელების პროდუქტზე გაიზარდა. "რუსეთის მიერ შემოღებული ემბარგოს შემდეგ რიგი სასაქონლო ჯგუფების პროდუქტზე ფასები გაიზარდა. ფასების ზრდა შეუქცევადი პროცესია, იქამდე, ვიდრე ანალოგიური პროდუქტის იმპორტი სხვა ქვეყნებიდან არ განხორციელდება," - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ალექსანდრე ალექსიშვილმა.*

**ყველაზე მეტად საზოგადოებას აწუხებს გაძვირებული პურპროდუქტები და ის, რომ ბაზარზე ამ პროდუქციის დეფიციტის შემთხვევაში ფასები კიდევ უფრო აიწევს. ნავთობპროდუქტების და პურპროდუქტების გაძვირების შემდეგ ბაზარზე ჯაჭვური რეაქცია ხდება და ყველა პროდუქტი ძვირდება.**



B4

# როგორ იფილტრებოდა რომი

## Bacardi-Martini-ის მათრობელა სამყარო

გოჩა ქიმუცაძე

*ალკოჰოლურ ბიზნესში კომპანია Bacardi-Martini და ბაკარდის ოჯახი, რომელიც მას აკონტროლებს, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანია. განთქმული ჟურნალი Forbes-ი მის აქტივებს 3 მილიარდ დოლარამდე აფასებს. ამოდენა კაპიტალამდე Bacardi-Martini-იმ გადალახა ქოლერა, გაბანკროტება, რევოლუცია და ოჯახური განხეთქილებები. კომპანიის გამორჩეულად პოპულარული პროდუქტი Bacardi-ის რომი გახლავთ, რომელიც გასული წლის შედეგების მიხედვით მსოფლიოში ყველაზე გაყიდვადი ალკოჰოლური სასმელია.*

- **სად არის ფორმულა?**
- **ღამურას აფრენა**
- **ცვლილებათა ჟამი**
- **ბრენდებზე მონადირე**




B3




*ყოველ სამშაბათს და პარასკევს, ყველას ვისაც სურვილი გაქვთ შეიტყოთ ყველაფერი საბანკო მომსახურების შესახებ, გამოგზავნეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის N51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86 ; e-mail:ngotsadze@tbcbank.com.ge) და თქვენს შეკითხვებს უპასუხებენ თიბისი ბანკის ექსპერტები.*

## თიბისი - ფოსტა

***გვინდა გავფართოვდეთ და ვაპირებთ მშენებლობის დაწყებას, თუმცა საკმარისი თანხა არ გაგვაჩნია. რეკლამებიდან ვიცით, რომ ასეთ შემთხვევებში ბანკი იძლევა სესხებს. რა საბუთები დაგვჭირდება სესხის ასაღებად და რა თანხის გადახდა მოგვიწევს ყოველთვიურად, თუ 5 წლით 15 000 დოლარს გამოვიტანთ?***



**ლელა ჭინჭარაული, თიბისი ბანკის საცალო საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების უფროსი:** ასეთ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ თიბისი ბანკის იპოთეკური სესხებით, რომელზეც წლიური საპროცენტო განაკვეთი 14%-დან 19%-მდეა. სესხის თქვენი ყოველთვიური შემოსავალი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 400 აშშ დოლარს.

სესხის უზრუნველყოფა (გირაო) მოხდება უძრავი ქონებით, ამ შემთხვევაში - თქვენი სახლით.

რაც შეეხება ყოველთვიურ გადასახადს, 15.000 აშშ დოლარის სესხზე, 5 წლიანი ვადის შEმთხვევაში, იქნება საშუალოდ 350-დან 380 აშშ დოლარამდე (გამომდინარე სესხის საპროცენტო განაკვეთიდან). ამ თანხაში შედის როგორც სესხის ძირი, ისე - პროცენტი. 7 წლიანი სესხის აღების შემთხვევაში კი იგივე თანხაზე ყოველთვიური გადასახადი იქნება 280-300 აშშ დოლარი.

თუ თქვენ გადაწყვეტთ თიბისი ბანკში სესხის აღებას, საჭირო იქნება შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

1. პირადობის მოწმობა, ან პასპორტი
2. შრომითი ხელშეკრულება მიმდინარე სამსახურში
3. რეკომენდაცია მიმდინარე სამსახურიდან
4. დასაგირავებელი ქონების საკუთრების დამადასტურებელი საბუთი
5. ხელფასის დამადასტურებელი ცნობა

***მინდა ცოტა ხნით ბანკში შევიტანო თანხა, მაგრამ შესაძლოა მისი გარკვეული ნაწილის გამოყენება დამჭირდეს. რა სახის დეპოზიტის გახსნას მირჩევთ ასეთ შემთხვევაში და გაიზრდება თუ არა ჩემი დანაზოგი დარიცხული პროცენტის საშუალებით?***



**ნინო ყაჭეიშვილი, თიბისი ბანკის გაყიდვების განყოფილების უფროსი:** თიბისი ბანკს აქვს რამდენიმე სახის ანაბარი მაღალი საპროცენტო განაკვეთით. თქვენს შემთხვევაში გირჩევთ გახსნათ ანაბარი "ჩემი სეიფი", რადგან მისი პირობები ერთდროულად იძლევა თანხის თავისუფლად განკარგვისა და მაღალი საპროცენტო სარგებლის მიღების საშუალებას.

ანაბარი "ჩემი სეიფის" მინიმალური პირველადი შენატანი 500 ლარი, დოლარი ან ევროა (გააჩნია, რომელ ვალუტაში გსურთ მისი გახსნა). ანაბარს საპროცენტო სარგებელი 3 თვეში ერთხელ ერიცხება. 3 თვიან პერიოდში ანაბარზე დაფიქსირებულ ხელუხლებელ ნაშთს ერიცხება მაღალი პროცენტი: ლარის ანაბარზე - 6%, დოლარის ანაბარზე - 5% და ევროს ანაბარზე - 4%.

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ანაბარზე ყოველთვის შეძლებთ ხელუხლებლად გარკვეული თანხის დატოვებას, მაშინ ეს ანაბარი სწორედ თქვენთვის არის შესაფერისი.

აქვე მინდა გირჩიოთ, რომ თუ ანაბრის გახსნას გადაწყვეტთ, ჯობს ეს 30 ნოემბრამდე გააკეთოთ, რადგან ამ პერიოდში თიბისი ბანკში დეპოზიტების საშემოდგომო აქცია მიმდინარეობს და აქციის მანძილზე გახსნილ დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთები 2%-ით გაიზრდება ლარზე გახსნილი ანაბრების შემთხვევაში, ხოლო 1%-ით დოლარსა და ევროში გახსნილ ანაბრებზე. კონკრეტულად "ჩემი სეიფის" წლიური სარგებელი აქციის პირობებში გაიზრდება და გახდება:

ლარის ანაბარზე - 8%
დოლარის ანაბარზე - 6%
ევროს ანაბარზე - 5%

***დარეგისტრირებული ვარ "ავტომატური კომუნალური გადასახადების" სერვისზე და პროგრამაში მითითებული მაქვს მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც უნდა მომდიოდეს შეტყობინება კომუნალური გადარიცხვის განხორციელების შესახებ. ზოგ შემთხვევაში შეტყობინება არ მომდის. შეგიძლიათ მითხრათ, რატომ?***



**ვახტანგ ჯავახიშვილი, მარკეტინგის მენეჯერი:** ეს სერვისი ხორციელება ავტომატურად, ამიტომ ასეთი შემთხვევების ალბათობა თითქმის არ არსებობს. თვალსაჩინოებისთვის მინდა გაგაცნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის სქემა:

მომხმარებლის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის შემდეგ, ინფორმაცია ოპერაციის შესახებ ავტომატურად ხვდება ბანკის მოკლე ტექსტური შეტყობინებების სისტემაში, რომელიც ყოველ საათში ერთხელ ინფორმაციას აგზავნის მობილურ ოპერატორთან, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ - აბონენტთან. აღნიშნული სქემა საერთოა ყველა მომხმარებლისთვის, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ანუ შესაბამისი შეტყობინებები იგზავნება ყველასთან.

თუმცა არის შემთხვევები, როდესაც კომუნიკაციის მხრივ წარმოქმნილი პრობლემების გამო მომხმარებელი უკმაყოფილებს გამოთქვამს ზოგადად სერვისის მიმართ. ამიტომ ჩვენი რჩევა იქნება, ყურადღება გაამახვილოთ იმ მიზეზებზე, რომლებიც ამ სერვისის მუშაობას აფერხებს, რათა სამომავლოდ აღარ შეგექმნათ მსგავსი პრობლემები.

შეტყობინების ვერმიღების მიზეზები შეიძლება იყოს შემდეგი:

■ თუ მობილური ოპერატორისგან შეტყობინების გაგზავნის მომენტში და შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში აბონენტის ტელეფონი გათიშული ან გასული იყო მომსახურების ზონიდან;

■ აბონენტის ტელეფონს შეზღუდვა აქვს მიღებული შეტყობინებების მოცულობის მიხედვით და ტელეფონი გადავსებულია;

■ მომხმარებელმა შეტყობინება მიიღო, მაგრამ წაუკითხავად წაშალა;

■ მომხმარებელმა შეტყობინება მიიღო მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია;

შეტყობინების გაგზავნის მომენტში ბანკსა და მობილურ ოპერატორს შორის წარმოშობილი კომუნიკაციის გაუთვალისწინებელი დროებითი ხარვეზი.

***თიბისი ბანკში მაქვს გახსნილი სახელფასო ანგარიში. შემიძლია თუ არა, ჩემი ანგარიშიდან გადასახადების გადახდა, თუ ამისთვის აუცილებელია, "ავტომატური კომუნალური გადარიცხვების" სერვისზე დარეგისტრირება?***



**ვაჟა ბერიაშვილი, თიბისი ბანკის პროდუქტების განვითარების განყოფილების უფროსი:** თუ თქვენ გსურთ ეს პროცესი მაქსიმალურად მარტივი და კომფორტული გახადოთ, თიბისი ბანკი კომუნალური დავალიანებებისა და სხვა გადასახადების გადახდის რამდენიმე ალტერნატიულ საშუალებებს გთავაზობთ. კერძოდ:

1. თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ თიბისი ბანკის **ინტერნეტ ბანკით** და მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერიდან დაუკავშირდეთ ბანკს, შეამოწმოთ თქვენი ანგარიშები, გადაიხადოთ კომუნალური და სხვა გადასახადები, შეავსოთ სატელეფონო ბალანსი და შეასრულოთ სხვა საბანკო ოპერაციები. ოქტომბრის ბოლოდან დაგეგმილია ინტერნეტ ბანკის ვერსიის განახლება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს კლიენტს, ინტერნეტ ბანკის პროგრამაშივე გაარკვიოს მისი დავალიანება თელასში.

**2.** კომუნალური გადასახადების გადახდა თქვენ ასევე შეგიძლიათ **ბანკომატის საშუალებით,** რადგან თიბისი ბანკის ბანკომატებს სტანდარტული ფუნქციების გარდა, აქვთ დამატებითი ფუნქცია, რომელიც გადასახადების ბანკომატით გადახდის სერვისს უზრუნველყოფს.

**3.** გადასახადების გადახდის ყველაზე უფრო მოსახერხებელი და კომფორტული საშუალება კი **"ავტომატური კომუნალური გადარიცხვების"** სერვისია. ამ სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ სრულიად მოიხსნათ ყოველთვიური თანხის გადახდის პრობლემა, რადგან ამ საქმეს თქვენს ნაცვლად ბანკი შეასრულებს. ერთადერთი, რაც თქვენ მოგეთხოვებათ, არის თიბისი ბანკში ანგარიშის ქონა და ამ ანგარიშზე გადარიცხვისთვის საკმარისი თანხის არსებობა. ავტომატური კომუნალური გადასახადების სერვისზე დარეგისტრირებისთანავე თიბისი ბანკი აიღებს პასუხისმგებლობას, რომ თქვენი ანგარიშიდან ყოველთვიურად დაფაროს თქვენი დავალიანებები და გადარიცხოს თანხები შემდეგ კომპანიებში: **თელასი; ყაზტრანსგაზ-თბილისი, თბილწყალკანალი, დასუფთავების სამსახური; საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია** (ყოფილი ელექტროკავშირი); **აიეტი TV; ჯორჯია ონლაინი; სანეტი; კავკაზუს ნეთვორკი; ახალი ქსელები; ახტელი; საქართველოს ტელეკომი; გლობალ ერთი, ჯიპიაი ჰოლდინგი** და ეს სია კიდევ იზრდება.

რაც შეეხება ამ სერვისით სარგებლობის აუცილებლობას, ეს მხოლოდ თქვენს სურვილზეა დამოკიდებული. ჩვენ ნამდვილად ისარგებლოთ ავტომატური კომუნალური გადარიცხვების" სერვისით, რადგან ეს არის საუკეთესო საშუალება დაზოგოთ დრო, ენერგია და მიიღოთ ბანკისგან მაქსიმალური კომფორტი.

ნოემბრიდან თიბისი ბანკი გეგმავს ბანკის კლიენტებისთვის დანერგოს "თელასის" და "ყაზტრანსგაზის" გადასახადების გადახდა ბანკის ფილიალებიდან. ახალი სერვისი მომხმარებელს საშუალებას მისცემს გადასახადის გადახდამდე გაიგოს, თუ რამდენი აქვს დავალიანება მოცემულ კომპანიებში და შემდეგ მოახდინოს გადარიცხვა.

# კორუფციული სკანდალის კვალდაკვალ

პირველი გვერდიდან

ის, რომ კორუფციას სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ვარდების რევოლუციის პარალელურად არ დაუტოვებია, ნამდვილად არავისთვის იყო საიდუმლო. თუმცა, ამჯერად ფაქტების საამკარაოზე გამოტანა ცოტა გაურკვეველი ფორმით მოხდა, რამაც კითხვის ნიშნები არათუ არ შეამცირა, პირიქით, გაამრავლა კიდეც. დანაშაულში ბრალდებულთა სიის შერჩევითმა ხასიათმა კი ეჭვები და მითქმა-მოთქმა კიდევ უფრო საფუძვლიანი გახადა.

თავად ფონდის ისტორიის, მოქმედი პირების თუ წარმოებული მაქინაციების სპეციფიკის გამო ძალიან რთულია ცალსახა დასკვნის გაკეთება. ფაქტია, რომ ამ ისტორიას, სულ ცოტა, რამდენიმე პლასტი გააჩნია, რომლებზე დაკვირვების გარეშეც რაიმე დასკვნის გაკეთება რთულია.

საქმეში უფრო უკეთ ჩასახედად, ალბათ, ცოტაოდენი ფონდის ისტორიიდანაც უნდა გავიხსენოთ. ფონდის, როგორც საკმაოდ კორუმპირებული სტრუქტურის შესახებ არაერთი ჟურნალისტური გამოძიება გაკეთებულა, მისი საქმიანობა შესწავლის საგანი შევარდნაძის მმართველობის დროსაც არაერთი სამართალდამცველი სტრუქტურის მხრიდან გამხდარა. თუმცა, ის ფაქტი, რომ უამრავი კორუფციული ფაქტის არსებობის მიუხედავად, ბოლო დრომდე, პრაქტიკულად, არავინ დასჯილა, მიუთითებს, რომ დანაშაულებრივი ჯაჭვის "დაფარვის ზონა" და მოქმედ პირთა ნუსხა საკმაოდ დიდი და გავლენიანი იყო.

გასაკვირი არ არის, რომ პოსტრევოლუციურ პერიოდშიც ამ ფონდის, როგორც არა მხოლოდ სოციალური მანიპულაციების ინსტრუმენტის, არამედ პოლიტიკური ბრძოლის საკმაოდ სერიოზული ბერკეტის ხელში ჩასაგდებად ხელისუფლების შიგნით არსებული ყველა დაჯგუფება იბრძოდა.

ფონდის ხელმძღვანელად ზაზა სოფრომაძის დანიშვნის იდეა და მცდელობა მის ლიდერს და თანაგუნდელს, აწ გარდაცვლილ პრემიერ ჟვანიას ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა. საბოლოოდ, ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. იმდროინდელ ახალ მთავრობაში ჯანდაცვა-სოცუზრუნველყოფის სისტემაში პოზიციები ასე გადანაწილდა: მინისტრი - ჟვანიას თანაგუნდელი გიგი წერეთელი, სოცდაზღვევის ფონდის გენერალური დირექტორი - სააკაშვილის კვოტით წარდგენილი ლადო ჭიპაშვილი. ჟვანიას გუნდის ემისარი ფონდში სწორედ ზაზა სოფრომაძე გახდა, რომელმაც ამ ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (ანუ ჭიპაშვილის ზედამხედველის) პოზიცია დაიკავა.

ის, რომ მათ შორის ტკბილი ურთიერთობა არასოდეს ყოფილა, დღეს უკვე საბოლოოდ დადასტურდა. წინააღმდეგობა განსაკუთრებით მაშინ გამწვავდა, როდესაც მორიგი სამთავრობო გადათამაშების შემდეგ ჯანდაცვის მინისტრის ამპლუაში უკვე ჭიპაშვილი გახდა სოფრომაძის ზედამხედველი. წლეულს გაზაფხულზე ამ დაპირისპირებამ პიკს მიაღწია, როდესაც ჭიპაშვილმა სოფრომაძეს პოსტის დატოვებაც კი მოსთხოვა, მაგრამ იმ ეტაპზე უზენაესმა ხელისუფალმა ფონდის გარშემო სკანდალის ატეხვა არ ისურვა. ნელი მოქმედების ნაღმი მხოლოდ მაშინ გახეთქეს, როდესაც არჩევნებმა ჩაიარა და ამ თემით პოლიტიკური ვაჭრობის შანსი მინიმალური გახდა.

ის, რომ მთელი ეს პროცესები მყარად იჯდა ხელისუფლების შიგნით არსებული დაპირისპირების კონტექსტში, კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტითაც დასტურდება, რომლისთვისაც ყურადღება ჯერჯერობით არავის მიუქცევია: იმ ფირმების საქმიანობის კანონიერება, რომელთაც ახლა, ორწლინახევრის შემდეგ უკანონო სქემებით მოქმედებას ედავებიან, იმხანად ახლადშექმნილი ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველ- [illegible]



დაცვის თანამშრომლად მსახურობდა. ასე რომ, გუნდურად თამაშის, საქმის კეთების თუ დანაშაულის დაფარვის ალბათობის ხელაღებით გამორიცხვა ამ ისტორიაში ცოტა რთულია. საქმის დეტალებში უფრო ღრმად ჩასვლა კიდევ არაერთ საეჭვო კავშირს და პირს გამოავლენს, თუ, ცხადია, ჯანდაცვის სამინისტრო, ფინანსური პოლიცია და გენერალური პროკურატურა ძიების გაგრძელების სურვილს პოლიტიკური მიზანშეწონილობის ან სხვა "დაუძლეველ გარემოებათა" გააქტიურების გამო უეცრად არ დაკარგავენ.

რამდენად იყო ჩართული ზაზა სოფრომაძე იმ უკანონო სქემებში და კორუფციულ გარიგებებში, რომელთაც საბოლოოდ შეიწირეს კიდეც მისი კარიერა? ფაქტია, რომ სახელისუფლო გუნდის არც ერთი წევრის არაკორუმპირებულობაზე ისე არ დაუდევთ თავი, როგორც სოფრომაძისაზე. სოფრომაძის უპატიოსნობაზე არც მის პოლიტიკურ ოპონენტებს უთქვამთ რამე და არც შესაბამისი დარგის ექსპერტებს თუ სპეციალისტებს, რაც ძალიან ხშირად ხდება ხოლმე ამა თუ იმ თანამდებობის პირის დაკავების დროს. ასე რომ, რაიმე პირდაპირი სამხილი სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დანაშაულში პირდაპირ მონაწილეობაზე ჯერ არც სამართალდამცველებს წარმოუდგენიათ და არც საქმის სხვა პირდაპირ თუ ირიბ ფიგურანტებს.

თუმცა, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მარტო პირველი პირის პატიოსნება ვერასოდეს იქნება მისი უდანაშაულობის გარანტი. მით უფრო, თუ ეს პირი უდიდესი კორუფციული წარსულის და, როგორც გაირკვა, აწმყოს მქონე უწყებას ხელმძღვანელობს. თუ მისი ფრთების ქვეშ ისეთი ამაზრზენი რამ ხდება, რაც უკანასკნელ დღეებში საზოგადოებამ მოისმინა და ნახა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი ამა თუ იმ ხარისხით აუცილებლად დაისმება.

მით უფრო, რომ ამ ეტაპზე საამკარაოზე გამოტანილი ფაქტები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი უკანონობისა, რომელიც ამ ფონდში წლების განმავლობაში ხდებოდა. ჯანდაცვის მინისტრმა ტელეკომპანია "იმედის" პირდაპირ ტელეეთერში უკვე მოახდინა ანონსირება, რომ სამართალდამცველებს კიდევ ერთი, არანაკლებ ხმაურიანი საქმის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია და მასზე რეაგირებასაც ელოდება.

ცხადია, უდიდესი უსამართლობა იქნება, ეს ყველაფერი მხოლოდ სოფრომაძეს რომ დაბრალდეს და, ვისაც არ ეზარება, ყველამ მას შეაწმინდოს ფეხები. უდავოა, რომ სოცდაზღვევის ფონდი კორუფციული იყო მთელი მისი ისტორიის მანძილზე. კორუფციული იყო შევარდნაძის დროს, როდესაც მუდმივად ფინანსური სახსრების ნაკლებობა იყო და ამ სახსრებზე ხელმისაწვდომობა მხოლოდ სოლიდური "ატკატის" მეშვეობით იყო უზრუნველყოფილი. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, რევოლუციის შემდეგ, ფონდში ფულადი სახსრების მატების კვალობაზე მისი კორუფციულობის ინდექსი არ შემცირებულა, გარკვეული თვალსაზრისით გაიზარდა კიდეც [illegible]

ის მქონე ფონდის არსებობა ობიექტურად გამართლებული და დაზღვეული ანალოგიური ან უფრო დიდი მასშტაბის კორუფციული ხვრელების არსებობისგან?

რასაკვირველია, ძალიან ძნელია, ხელისუფლებას, რომელიც ამ ფონდში საკუთარი პოლიტიკური მიზნების მიღწევის ქმედით ბერკეტს ხედავს, ასეთი სისტემის რეადიკალური რეფორმირება მოსთხოვო და ადეკვატური რეაქციის იმედი გქონდეს. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკითხის ფასი საკმაოდ სოლიდურია: მარტო წლეულს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ბიუჯეტი 625 მილიონი ლარი იყო, რაც ყველაზე მსხვილი სახარჯო მუხლია საქართველოს ბიუჯეტში. რასაკვირველია, ამ მსუყე ლუკმის ხელიდან გაგდება ყველა ხელისუფლებას გაუჭირდება, მაგრამ ფაქტი საკმაოდ ჯიუტია: რაც უფრო მეტი ფული ხვდება ასეთ ფონდში და რაც მეტია მისი გავლენა საზოგადოებრივ პროცესებზე ან თუნდაც საზოგადოების გარკვეულ ფენაზე (თუნდაც, რიცხობრივად მუდმივად მზარდ პენსიონერებზე, რომელთა თანხებიც ასევე სწორედ ამ ფონდზე გადის), მით უფრო მზარდი და ყოვლისმომცველია კორუფციის ალბათობა, რაც ბოლო დღეებში გამოაშკარავებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი მონსტრის არსებობა არანაირად არ უწყობს ხელს სოციალურ სფეროში საზოგადოებრივი თუ ინსტიტუციონალური კონტროლის მექანიზმების დამკვიდრებას, რის გარეშეც ასეთი ისტორიების განმეორება, უბრალოდ, გარდაუვალია. და აქ ლაპარაკია არა მხოლოდ იმაზე, რომ ეს ფონდი საჯარო სექტორში კორუფციის ალბათობას განუზომლად ზრდის, არამედ იმაზეც, რომ ის ძალიან ამახინჯებს საერთო ფონს, რომელიც ობიექტურად მოითხოვს სახელმწიფო რეგულირების შემცირებას და პასუხისმგებლობის კერძო სექტორთან გაყოფას.

სამწუხაროდ, ამ მიმართებით საქმე სულ პირიქითაა. ფაქტია, რომ სწორედ სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინტერესებიდან გამომდინარე მოხდა კერძო საპენსიო სქემების იდეის ტორპედირება. კანონმდებლობაში ის მცირე შეღავათიც კი, რომელიც არასახელმწიფო საპენსიო სისტემების ამოქმედების სტიმულატორი უნდა გამხდარიყო, სწორედ ჭიპაშვილის და სოფრომაძის თანამესაქმე მთავრობისა და პარლამენტის გადაწყვეტილებით გაუქმდა, რითაც მთელი ეს სისტემა კვლავაც მოუქნელ, გაუმჭვირვალე და კორუმპირებულ სახელმწიფო მონსტრს დარჩა სახრავად.

ფაქტია, რომ რაც უფრო დიდხანს იქნება სოციალური სფერო სახელმწიფოს ერთპიროვნულ გამგებლობაში, მით უფრო მეტი იქნება ასეთი კორუფციული სკანდალები. ეს ფონდი მასში აკუმულირებული სახსრების გამო მუდმივად იქნება გავლენის სფეროების გასაფართოებლად წარმოებული პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტი არა მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს, არამედ, როგორც ამ შემთხ- [illegible]

### საქართველოში აზერბაიჯანული, ყაზახური და რუმინული ხორბალი შემოვა

უახლოეს დღეებში საქართველოში აზერბაიჯანული, ყაზახური და რუმინული ხორბალი შემოვა. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი აცხადებს. მინისტრის განმარტებით, აზერბაიჯანიდან 6,5 ათასი ტონა, ხოლო რუმინეთიდან 12 ათასი ტონა ხორბლის იმპორტი იგეგმება. ამავდროულად, საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია Amcor -ი ქვეყნისათვის 7 ათასი ტონა ხორბლით დახმარებას გეგმავს. შეგახსენებთ, რომ საქართველოში იმპორტირებული ხორბლის 80 პროცენტი რუსეთიდან შემოდიოდა. **ჯი-აიჩ-ენი**

### "ზანავი", შესაძლოა, რუსეთის ტერიტორიაზე არალეგალურად იწარმოებოდა

"გაზეტა რუ"-ს ცნობით, რუსეთის მთავარი სანიტრის გენადი ონიშჩენკოს მიერ ჟურნალისტებისათვის გაკეთებული განცხადების თანახმად, ქართული მინერალური წყალი "ზანავი", შესაძლოა, რუსეთის ტერიტორიაზე არალეგალურად იწარმოებოდა. ონიშჩენკოს მტკიცებით, რუსეთის ტერიტორიაზე გაცილებით ნაკლები ბოთლი "ზანავია" შესული, ვიდრე მოსკოვის ერთ-ერთი საცავიდანაა ამოღებული. "ეს იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ ფალსიფიცირებული წყალი უკვე რუსეთის ტერიტორიაზე იწარმოება," - აღნიშნა მან. მოსკოვში ქართული მინერალური წყლის "ზანავის" 115 ათას ბოთლზე მეტი 19 სექტემბერს ამოიღეს. როგორც მაშინ გენადი ონიშჩენკომ განაცხადა, "ლაბორატორიულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ წყლის გემო, სუნი და ფერი ელემენტარულ სტანდარტებს ვერ პასუხობდა". **ინტერპრესნიუსი**

### პარლამენტში ბიზნესმენის დღე აღინიშნება

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით გუშინ პარლამენტში ბიზნესმენის დღე აღინიშნა. ვიცე-სპიკერ ჯემალ ინაიშვილის განცხადებით, ღონისძიება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ორგანიზებით მოეწყო და მასში მონაწილეობა ჩვიდმეტმა მსხვილმა კომპანიამ მიიღო. **ინტერპრესნიუსი**

### საქართველოში წმინდა აქტივების მიხედვით "თიბისი ბანკი" ლიდერობს

საქართველოს საბანკო სექტორში, წმინდა აქტივების მიხედვით, "თიბისი ბანკი" ლიდერობს. აღნიშნული სახის მონაცემებს საქართველოს ეროვნული ბანკი 1 ოქტომბრის მდგომარეობით აქვეყნებს. ათი უმსხვილესი ბანკი, წმინდა აქტივების მიხედვით: სებ-ის ინფორმაციით, წლის დასაწყისიდან კომერციული ბანკების მთლიანი წმინდა აქტივები (მიმდინარე ფასებით) გაიზარდა 1205,3 მლნ ლარით, ანუ 47,3%-ით და 3753,6 მლნ ლარი შეადგინა. სავალუტო აქტივების წილი ბანკების მთლიან წმინდა აქტივებში წლის დასაწყისში არსებული 66,2%-დან 64,3%-მდე შემცირდა, სავალუტო პასივების წილი მთლიან პასივებში - 71,2%-დან 67,0%-მდე. ასევე შემცირებულია უცხოური ვალუტით საბანკო ვალდებულებების წილი მთლიან ვალდებულებებში - 81,6%-დან 76,9%-მდე. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

### "ენგურჰესის" პირველი აგრეგატის რეაბილიტაცია უახლოეს დღეებში დაიწყება

"ენგურჰესის" რეაბილიტაციის პროექტის ხელმძღვანელის მალხაზ ცქვიტარიძის ინფორმაციით, აგრეგატის რეაბილიტაციისთვის 5,5 მილიონი ევროა საჭირო. პროექტის მიხედვით, პირველი აგრეგატის აღდგენა 14 თვეში უნდა დასრულდეს. შეგახსენებთ, რომ დღეისათვის "ენგურჰესის" 5 აგრეგატიდან მე-2 და მე-3 უკვე აღდგენილია. პროექტი აგრეგატის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გერმანული ფირმა "სიმენსი" აწარმოებს. **ჯი-აიჩ-ენი**

## საფონდო მიმოხილვა: ევროპის ბაზარი
### 23 ოქტომბერს

23 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები ევროპაში წამყვანი ინდექსების გაზრდით დასრულდა.

**სანავთობო სექტორი:**
სანავთობო კომპანიების Royal Dutch Shell და BP კოტირებები შემცირდა.
**ავიასექტორი:**
British Airways-ის აქციები გაძვირდა 3%-ით. კომპანიების Air France-KLM და Deutsche Lufthansa კორტირებები გაიზარდა 2%-ით.
**საბანკო სექტორი:**
საბანკო ჯგუფის Standard Chartered აქციების ფასი 2,7%-ით გაიზარდა.
**23 ოქტომბრის ვაჭრობის შედეგი:**
ბრიტანული ინდექსი FTSE 100 გაიზარდა10,90 პუნქტით (0,18%);
გერმანული Dax გაიზარდა 40,09 პუნქტით (0,65%);
ფრანგული CAC 40 აიწია 36,46 პუნქტით (0,68%);
ამსტერდამული AEX-Index გაუმჯობესდა 3,00 პუნქტით (0,61%);
შვეიცარიული SMI გაიზარდა 54,57 პუნქტით(0,63%);
საერთოევროპული ინდექსი FTSEurofirst 300 გაიზარდა 0,35% - ით 1450,38 პუნქტამდე.

## ევროპის საფონდო ინდექსები -
### 23 ოქტომბრის შედეგები

23 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები ევროპაში წამყვანი ინდექსების გაზრდით დასრულდა.
ბრიტანული ინდექსი FTSE 100 გაიზარდა10,90 პუნქტით (0,18%);
გერმანული Dax გაიზარდა 40,09 პუნქტით (0,65%);
ფრანგული CAC 40 აიწია 36,46 პუნქტით (0,68%);
ამსტერდამული AEX-Index გაუმჯობესდა 3,00 პუნქტით (0,61%);
შვეიცარიული SMI გაიზარდა 54,57 პუნქტით(0,63%);
საერთოევროპული ინდექსი FTSEurofirst 300 გაიზარდა 0,35% - ით 1450,38 პუნქტამდე.

## ტოკიოს საფონდო ბირჟა
### 24 ოქტომბრის სავაჭრო სესიის მიმოხილვა

24 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები იაპონიაში მთავარი ინდექსის Nikkei შემცირებით დასრულდა.

**შემცირება:**
*მობილური კავშირები:*
მობილური კავშირის ქვეყანაში სიდიდით მესამე ოპერატორის Softbank აქციები 1,1%-ით გაიაფდა. 2,1% -ით შემცირდა ამ სექტორის უმსხვილესი იაპონური ოპერატორის NTT DoCoMo Inc. კოტირება. ხოლო ქვეყანაში სიდიდით მეორე მობილური ოპერატორის KDDI Corp აქციების კურსი მკვეთრად დაეცა(-7,1%).
*ჰიგიენური საშუალებების წარმოება:*
ამ სექტორის უმსხვილესი იაპონური კომპანიის Kao Corp. აქციები 5% -ით გაიაფდა, ხოლო სექტორის ნომერ მეორე კომპანიის Shiseido Co. ფასიანი ქაღალდების ღირებულება 2,1% -ით შემცირდა.
**გაზრდა:**
*საავტომობილო ინდუსტრია:*
კომპანიის Toyota Motor Corp.აქციების 1%-ით გაძვირდა.
*მაღალტექნოლოგიური სექტორი:*
ნახევარგამტარებლების მწარმოებლის Rohm Co. აქციები 2%-ით გაძვირდა, ელექტროტექნიკის მწარმოებლის Sony Corp - ის კოტირება 1,3%-ით გაიზარდა.

## ერთი ტროული უნცია ვერცხლი გუშინდელ სავაჭრო სესიაზე 29,5 ცენტით გაიაფდა(-2,5%)

ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე (COMEX) ერთი ტროული უნცია ვერცხლი 23 ოქტომბერს 29,5 ცენტით გაიაფდა(-2,5%). დეკემბრის ფიუჩერსის ოფიციალურმა ფასმა 11,670 დოლარ./უნც. შეადგინა, რაც უკანასკნელი 11 დღის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ცალკეული გარიგებების მიხედვით ფასები მერყეობდა 11,650-11,980დოლარ./უნც. დიაპაზონში.

23 ოქტომბერს საფონდო ბაზარზე ვერცხლის დერივატივის ფასი შემცირდა:
iShares Silver Trust ფასიანი ქაღალდები 2,0% -ით გაიაფდა და დაფიქსირდა 116,21 დოლარ./აქცია დონეზე.
ვერცხლზე მსოფლიო ფასების ცვლილების სავარაუდო დიაპაზონი:
- ახლო პერსპექტივა - 11,610-12,170 დოლარ./უნც.;
- საშუალოვადიანი პერსპექტივა - 11,000-12,300 დოლარ./უნც.

## გუშინ ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე (COMEX) ოქროს ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა

ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე (COMEX) ერთი ტროული უნცია ოქრო 23 ოქტომბერს 13,5 დოლარით გაიაფდა(-2,3%).
ოქროს ფიუჩერსის(დეკემბერი) ოფიციალური ფასი 582,9 დოლარ./.უნცია დონეზე დადგინდა, რაც უკანასკნელი 11 დღის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ფასები ცალკეული გარიგებების მიხედვით მერყეობდა 582,5-596,4 დოლარ./უნც. დიაპაზონში.
საფონდო ბაზრის ოქროს დერივატივის ფასი მნიშვნელოვნად შემცირდა:
StreetTracks Gold Trust-ის ფასიანი ქაღალდები 1,7% -ით გაიაფდა და დაფიქსირდა 57,76 დოლარ./აქცია დონეზე.
ოქროზე ფასების ცვლილებების სავარაუდო დიაპაზონი(დოლარ./უნცია):
- ახლო პერსპექტივა - 580,6-606,0; - საშუალოვადიანი დიაპაზონი - 563,5-612,0.
პალადიუმის ფასი შემცირდა-23 ოქტომბრის რეზულტატი NYMEX-ზე
გუშინ ნიუ-იორკის სასაქონლო ბირჟაზე (NYMEX) ერთი ტროული უნცია პალადიუმი 9,15 დოლარით (-2,8%) გაიაფდა.
დეკემბრის ოფიციალური ფიუჩერსის ფასი 321,35 დოლარ./უნც. დონეზე დადგინდა.
ცალკეული გარიგებების მიხედვით ფასები მერყეობდა 315,50-327,90 დიაპაზონში.
ფასების ცვლილების სავარაუდო დიაპაზონი:: - ახლო პერსპექტივა - 315,50-339,00 დოლარ/უნცია; - საშუალოვადიანი პერსპექტივა-300,00-350,00 დოლარ/უნცია.
ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე (NYMEX) პლატინის ფასი გუშინ 0,7 % -ით შემცირდა.
ნიუ იორკის სასაქონლო ბირჟაზე (NYMEX) 23 ოქტომბერს ერთი ტროული უნცია პლატინა 7,7 დოლარით გაიაფდა(-0,7%).
2007 წლის იანვრის ოფიციალური ფიუჩერსის ფასმა 1074,4 დოლარ./უნც. შეადგინა, რაც უკანასკნელი 12 დღის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.
ცალკეული გარიგებების მიხედვით ფასები მერყეობდა 1073,0-1089,0 დიაპაზონში.
ფასების ცვლილების სავარაუდო დიაპაზონი: - ახლო პერსპექტივა - 1068,0-1100,0 დოლარ./უნც.;
- საშუალოვადიანი პერსპექტივა -1050,0-1110,0 დოლარ./უნც.

# საქართველო ელექტროენერგიას ირანიდან მიიღებს

ნინო ნარჩემაშვილი

*გახდება თუ არა ირანი საქართველოსთვის გაზის მოწოდების ალტერნატიული წყარო იმ შემთხვევაში, თუ რუსეთიდან ბუნებრივი აირის მოწოდება შეწყდება? მიიღებს თუ არა საქართველო ფორსმაჟორულ სიტუაციაში ირანიდან ელექტროენერგიას? ამ საკითხების ირგვლივ მოლაპარაკებებს ირანის შესაბამის წრეებთან ირანის დედაქალაქ თეირანში საქართველოს საქმეთა და ენერგეტიკის მინისტრები აწარმოებდნენ. თუმცა ირანის მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ორ ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობის სხვა საკითხებიც განიხილებოდა (ტრანსპორტისა და ინვესტიციების სფეროები), მაგრამ პრიორიტეტული სწორედ ბუნებრივი აირითა და ელექტროენერგიით საქართველოს მომარაგების თემა გახლდათ. ბუნებრივი აირის საკითხის დადებითად გადაწყვეტა კი დიდად იყო დამოკიდებული თეირანის მხრიდან შემოთავაზებული ბუნებრივი აირის საფასურზე.*

საქართველოს ენერგეტიკისა და საგარეო საქმეთა მინისტრების თეირანში ორდღიანი ვიზიტისა და მოლაპარაკებების საფუძველზე ირანულ მხარესთან ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, ირანი საქართველოს უკვე ნოემბრის ბოლოდან 50 მეგავატ ელექტროენერგიას მიაწვდის. ენერგეტიკის სამინისტროში განმარტავენ, რომ ირანული ელექტროენერგიის იმპორტი საქართველოში სომხეთის გავლით განხორციელდება. შეთანხმების მიხედვით, საქართველოსა და ირანს შორის ელექტროენერგიის გაცვლა ბარტერული პრინციპით მოხდება - საქართველო ირანისგან დენს ზამთრის პერიოდში მიიღებს, ზაფხულში იგივე ოდენობით უკან დააბრუნებს. ამასთან, როგორც ირანის ენერგეტიკის მინისტრმა ფარვიზ ფატაჰმა ნიკა გილაურთან გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, "ელექტროენერგიის რაოდენობა თანდათან 300 მგვტ-მდე გაიზრდება და რაც უფრო მეტ ელექტროენერგიას მიიღებს ირანი საქართველოდან წლის პირველ ნახევარში, მით უფრო მეტ ელექტროენერგიას მიაწვდის ის საქართველოს წლის მეორე ნახევარში."

მისივე განცხადებით, ირანს შეუძლია, ელექტროენერგია რუსეთს მიაწოდოს საქართველოს გავლით - მხარეები რუსეთსაც მოიწვევენ სამითვის შემდეგ დაგეგმილ შეხვედრაზე და მას ამ ქსელში ჩართვას შესთავაზებენ.

რაც შეეხება ირანიდან ბუნებრივი აირის მიღების საკითხს, ენერგეტიკის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ ამ მხრივ შეთანხმება ჯერჯერობით მიღწეული არ არის და გარკვეული დეტალების დაზუსტებამდე მოლაპარაკებები გაგრძელდება. ტექნიკურად, საქართველო მზად არის, ირანული გაზი აზერბაიჯანის გავლით მიიღოს. ასე რომ, შესაძლოა, ირანი საქართველოსათვის ალტერნატიული გაზმომმარაგებელი ქვეყანა გახდეს იმ შემთხვევაში, თუ ირანის მიერ შემოთავაზებული გაზის საფასური მისაღები იქნება ქართული მხარისათვის. სამინისტროში აცხადებენ, რომ ირანთან ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობა ენერგოსტაბილურობისა და დივერსიფიცირების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია და მოლაპარაკებები პოზიტიურ ჭრილში მიმდინარეობს.

თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი საქართველოს მინისტრების თეირანში ვიზიტის დროს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩეხრ მოტაკიმ გამოთქვა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი განცხადებით გაამყარა: "ამ პროცესს რომელიმე მესამე ქვეყანა ვერ შეაფერხებს."

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ბუნებრივი აირის მოწოდებაზე რუსულ კომპანია "გაზპრომთან" ხელშეკრულება 2006 წლის ბოლომდე აქვს გაფორმებული. ამ შეთანხმებით, რუსული "გაზპრომი" საქართველოს 1000 კუბურ მეტრ აირს 110 დოლარად აწვდის. ირანიდან კი საქართველოში გაზის იმპორტი მხოლოდ მიმდინარე წლის ზამთარში ფორსმაჟორულ ვითარებაში, რუსეთისა და საქართველოს დამაკავშირებელი გაზსადენის აფეთქების დროს განხორციელდა. საქართველო აზერბაიჯანის გავლით ირანიდან გაზს 3 დღის განმავლობაში იღებდა.

# როგორ იფილტრებოდა რომი

პირველი გვერდიდან

## სად არის ფორმულა?

საუკუნე-ნახევრის წინ დღევანდელი განძი უხეში, მწარე თვითნახადი იყო, რომელსაც კუბაზე მცხოვრები ევროპელი ემიგრანტები აწარმოებდნენ. Bacardi-Martini-ის ისტორიას სწორედ იმ, პირველყოფილი რომის გემო აქვს, რომლითაც დაიწყო თავისი აღმასვლა კომპანიის დამაარსებელმა დონ ფაკუნდო ბაკარდიმ.

თანამედროვე რომის მომავალი "გამომგონებელი" დაიბადა 1814 წელს ესპანეთში. დროთა განმავლობაში მისი ოჯახის ნაწილი იმ დროს ესპანეთის კოლონია კუბაზე გადაბარგდა. თხუთმეტი წლის ფაკუნდო ძმის, ხოსეს ფარდულში მუშაობდა და საკუთარი საქმის წამოწყების სურვილით ანთებული თითოეულ პესოს ზოგავდა.

ბოლოს და ბოლოს, 1843 წელს მან დააარსა კომპანია Facundo Bacardi y Cia და მაღაზია გახსნა, რომელშიც ალკოჰოლური სასმელით ვაჭრობდა. ალბათ, ფაკუნდო მთელ ცხოვრებას სანტიაგო დე კუბას მცხოვრებთათვის ესპანური ღვინოების მიყიდვაში გაატარებდა, რომ არა 1852 წლის მიწისძვრა, რომელმაც თითქმის მთელი ქალაქი დაანგრია. მას უამრავი ადამიანის შემმუსვრელი ქოლერის ეპიდემია მოჰყვა, თუმცა ამ დროისათვის დონ ფაკუნდო თავისი ოჯახით უკვე სამშობლოში იყო. უკან დაბრუნებულს მაღაზიის ნანგრევების მეტი არაფერი დახვდა, მისი კომპანია გაკოტრდა.

ფაკუნდოს ისღა დარჩენოდა, ხოსესთან დაბრუნებულიყო და ხელი ალკოჰოლური სასმელების საბითუმო ვაჭრობისათვის მოეკიდა. იმ დროს ესპანეთის სამეფო ახალი ტექნოლოგიების გამომგონებლებს ეხმარებოდა და ბაკარდიმ ამ მიმართულებით ბედის მოსინჯვა გადაწყვიტა. მრავალწლიანი ექსპერიმენტების შემდეგ იგი მიხვდა, რომ ნახშირის ფილტრში გატარებული რომი გაცილებით უკეთესი იყო. ეს რევოლუციური აღმოჩენა გახლდათ.

ამგვარად დაიწყო ბაკარდის ცხოვრებაში ახალი ეტაპი. 1862 წელს ფაკუნდომ და ხოსემ, უცნობ ფრანგ ღვინით მოვაჭრესთან ერთად, დააარსეს "ბაკარდი და კომპანია" და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი ქარხანა შეიძინეს. ფაკუნდომ თავისი ტექნოლოგიით გაფილტრული რომის წარმოება დაიწყო, რომელსაც Bacardi Carta Blanca უწოდეს.

## ღამურას აფრენა

მალე დონ ფაკუნდო მიხვდა, რომ თავისი ნაწარმი ცნობადი უნდა გაეხადა. ეს საკმაოდ რთული




საქმე იყო, რადგან მისი მომხმარებლების 99-მა პროცენტმა კითხვა არ იცოდა. ერთადერთი გამოსავალი გრაფიკა იყო. ერთხელ ბაკარდის ცოლმა ამალიამ ქარხნის ჭერქვეშ ჩამოკიდებული ღამურა შენიშნა და ქმარს ურჩია, რომის იარლიყზე ეს ცხოველი გამოესახა. ასე გაჩნდა Bacardi-ის ემბლემა - წითელ წრეში ჩასმული ღამურა. ეგზომ თვალშისაცემმა მარკამ თავისი საქმე გააკეთა - ბრენდი სწრაფად გახდა კუბაზე ცნობილი.

1877 წელს კომპანიის ხელმძღვანელობა დონ ფაკუნდოს ვაჟმა ემილიო ბაკარდიმ ჩაიბარა. იგი ესპანეთის პროტექტორატისაგან კუბის განთავისუფლებისათვის ცნობილი მებრძოლის ხოსე მარტას მომხრე იყო და ორჯერ გადასახლებული გახლდათ. 1898 წელს კუბა თავისუფალი გახდა. სწორედ მაშინ გამოჩნდა Bacardi-ის რომისაგან და Coca-Cola-საგან დამზადებული ცნობილი კოქტეილი Cuba Libre, რომელმაც სპირტიანი სასმელი კიდევ უფრო პოპულარული გახადა. თავად ემილიო ბაკარდი ჯერ სანტიაგოს მერად აირჩიეს, შემდეგ კი კუბის რესპუბლიკის სენატორი გახდა.

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში აშშ-ში მშრალი კანონი შემოიღეს, რის შემდეგაც ამერიკელ ტურისტთა შორის რომის პოპულარობამ ზენიტს მიაღწია და Bacardi y Compania-ს საქმეები დიდებულად წავიდა. 1927 წელს კომპანიას გაახსენდა, რომ რომი მეზღვაურთა სასმელია და Bacardi-ის თასზე რეგატა მოაწყო, რაც მშვენიერი მარკეტინგული სვლა აღმოჩნდა. მას შემდეგ ეს რეგატა ყოველწლიურად იმართება.

რომის გაყიდვის ზრდის ზუსტი ტემპი კომპანიაში გასაიდუმლოებულია, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი ძალიან მაღალი უნდა ყოფილიყო. სანტიაგოში მდებარე ქარხანა საჭირო რაოდენობის სასმელს უკვე ველარ აწარმოებდა და 1931 წელს Bacardi y Compania-მ ქარხანა მექსიკაში გახსნა, 4 წლის შემდეგ - პუერტო რიკოში, 1944 წელს კი - ამერიკაში. ახალი ბაზრების ათვისებამ კომპანიას დიდძალი მოგება მოუტანა.

## ცვლილებათა ჟამი

50-იან წლებში ბაკარდის საქმეები მშვენივრად მიდიოდა, მაგრამ შემდეგ სიტუაცია თანდათანობით შეიცვალა. კუბაზე პოლიტიკური ვითარება არასტაბილური ხდებოდა, ფულჯენციო ბატისტას პროამერიკული რეჟიმით უკმაყოფილება იზრდებოდა. ამ სიტუაციაში ბაკარდის ოჯახმა ერთიანი სტრატეგია ვერ შეინარჩუნა. ნაწილი ბატისტას ემხრობოდა, ნაწილი კი - ფიდელ კასტროს.

ამგვარ ვითარებაში კომპანიის ხელმძღვანელობამ ბრძნული ნაბიჯი გადადგა და 1959 წელს Bacardi-ის მარკის რეგისტრაცია ბაჰამის კუნძულებზე გადაიტანა. ერთი წლის შემდეგ კი ხელისუფლებაში კასტრო მოვიდა და ბაკარდის ქონების ნაციონალიზაცია მოახდინა. კომპანიამ 76 მილიონ დოლარამდე დაკარგა, ოჯახმა კი ამერიკას მიაშურა.

სავაჭრო მარკაზე უფლება და ორი საწარმო კი შეინარჩუნა, მაგრამ Bacardi y Compania-ს ბიზნესის ასაღორძინებლად ინვესტიცია ესაჭიროებოდა. ამიტომაც კომპანიამ ბირჟაზე აქციების 10 პროცენტი გაიტანა. 70-იანი წლების ბოლოს Bacardi ამერიკაში ყველაზე პოპულარული რომი გახდა და კომპანიის საქმე გამოსწორდა.

თუმცა, გაზრდილ დინასტიაში ერთიანობის შენარჩუნება უკვე აღარ ხერხდებოდა. 1977 წელს ოჯახის რამდენიმე წევრმა თავიანთი წილი, სულ - 12 პროცენტი, ვისკის მწარმოებელ კანადურ ფირმა Hiram Walker-ს მიჰყიდა. 80-იან წლებში ოჯახური განხეთქილება გაღრმავდა და კომპანიის ხელმძღვანელობამ აქციების კონსოლიდირების, მათი გამოსყიდვის გადაწყვეტილება მიიღო.

## ბრენდებზე მონადირე

კომპანიის ხელმძღვანელობას ისიც არ მოსწონდა, რომ რომის გარდა სხვა ცნობილი ბრენდი არ გააჩნდა და 1992 წელს Bacardi y Compania-მ მსოფლიოში ვერმუტების უმსხვილესი მწარმოებელი, იტალიური ფირმა Martini and Rossi შეიძინა. შედეგად, შეიქმნა კომპანია Bacardi-Martini, რომელმაც ბრენდების შეერთების კურსი აიღო.

1996 წელს კომპანიას სათავეში ჩაუდგა ბაკარდის ოჯახის ადვოკატი ჯორჯ რიდი. იგი ფირმის პირველი თავკაცი გახლდათ, რომელიც დინასტიას არ წარმოადგენდა. მან ახალი, ბრენდების შეერთების პოლიტიკის გატარება განაგრძო და 1997 წელს Bacardi-Martini-იმ რომ Havana Club-ის წარმოების უფლება შეიძინა, რომელსაც კუბის ხელისუფლება თავის საკუთრებად თვლიდა. ასე რომ, Havana Club-ისათვის ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა, კუბის მთავრობა Bacardi-Martini-ის ათასგვარ რამეს, მათ შორის კასტროს მკვლელობის მცდელობასაც კი აბრალებდა. მთლიანად ეს დავა დღემდე ვერ გადაიჭრა და Bacardi-Martini-ის Havana Club-ის მთელს მსოფლიოში გაყიდვის უფლება ჯერაც არ ეკუთვნის. თუმცა, აშშ-ს ბაზარს კი აკონტროლებს, რაც ცოტა როდია.

1998 წელს Bacardi-Martini-ის პორტფელს შეემატა რამდენიმე განთქმული მარკა: ვისკი Dewar's, ჯინი Bombay და ამარეტო DiSarono. კომპანიის საქმე კვლავ მშვენივრად მიდის და, როგორც აღვნიშნეთ, იგი თავისი სფეროს ერთ-ერთი ლიდერია.

## კლება აშშ-ს ბირჟაზე

გუშინ აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა ნავთობის ფასის ზრდამ და რიგმა არადამაიმედებელმა კორპორაციულმა სიახლეებმა მოახდინა. ამასთან, კვლავინდებურად გაჩნდა ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის საშიშროება. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,05 პროცენტით, 12.110,43 პუნქტამდე შემცირდა. 0,56 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.342,26 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,18 პროცენტით, 1.374,59 პუნქტამდე მოიკლო.




## საქართველოს 10 უმსხვილესი ბანკი წმინდა მოგების მიხედვით

2006 წლის III კვარტალი საქართველოს საბანკო სექტორმა მოგებით დაასრულა: ეროვნული ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე ზარალმა 38,6 მლნ. ლარი შეადგინა, მაგრამ მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციებიდან 104,1 მლნ. ლარს უტოლდება. საბანკო სექტორის წმინდა მოგებამ მთლიანობაში 65,5 მლნ. ლარი შეადგინა.

## საქართველოს 10 უმსხვილესი ბანკი წმინდა აქტივების მიხედვით

წლის დასაწყისიდან კომერციული ბანკების მთლიანი წმინდა აქტივები (მიმდინარე ფასებით) გაიზარდა 1 205,3 მლნ ლარით, ანუ 47,3%-ით და 3 753,6 მლნ. ლარი შეადგინა.

## თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 24 ოქტომბრის მონაცემებით 1 აშშ დოლარი 1,7405 ლარი ღირს

თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 24 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო ცხრა კომერციულმა ბანკმა (ექვსმა გამყიდველის და სამმა მყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით).
დაიდო რვა საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 1 532 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 392 000 აშშ დოლარი შეისყიდა.
საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7405 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნამ 1 140 000 აშშ დოლარი, ხოლო მიწოდებამ 1 532 000 აშშ დოლარი შეადგინა.
თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით - 1 აშშ დოლარი/1.7405 ლარი.
25 ოქტომბრიდან ძალაში დარჩა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/1.7405 ლარი.

## საქართველოს საფონდო ბირჟაზე 24 ოქტომბრის სავაჭრო სესიის მიმოხილვა

ბოლო N 81(666) სავაჭრო სესია ჩატარდა 10/24/2006. ვაჭრობაში მონაწილეობდა 12 საბროკერო კომპანია.
გარიგებები იყო დადებული შემდეგ აქციებზე:

## ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე და ა.შ.შ.-ის საფონდო ბაზარზე 23 ოქტომბრის სავაჭრო სესიის შედეგები

23 ოქტომბრის საფონდო ვაჭრობები ა.შ.შ.-ში მთავარი ინდექსების გაზრდით დასრულდა. ინდექსი Dow Jones გაიზარდა 114,54 პუნქტით (+0,95%) 12116,91 ნიშნულამდე. ინდექსი Nasdaq გაიზარდა 13,26 პუნქტით (+0,57%) 2355,56 პუნქტამდე. ინდექსი S&P გაიზარდა 8,42 პუნქტით (+0,62%) 1377,02 პუნქტამდე. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე (NYSE) უმსხვილესი კომპანიების კოტირებების მაქსიმალური ცვლილებები 23 ოქტომბრის შედეგების მიხედვით:

### საქართველოში ქართული ღვინოების საინფორმაციო სააგენტო შეიქმნება

უახლოეს დღეებში, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის ინიციატივით, ქართული ღვინოების საინფორმაციო სააგენტო ჩამოყალიბდება. საქართველოში წარმოებულ ღვინოებზე ინფორმაცია სპეციალურ საიტზე შეიკრიბება და ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება, ქართული ღვინის ისტორიასა და წარმომავლობას გაეცნოს.

როგორც საქართველოს სომელიეთა ასოციაციის თავმჯდომარემ შავლა ხეცურიანმა განაცხადა, ღვინის სააგენტოში თავს მოიყრის ინფორმაცია ყველა სახეობის ღვინოზე, რაც ქართულ ღვინოს პოპულარიზაციაში დაეხმარება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სიღნაღში ღვინის ფესტივალი გაიმართება

28 ოქტომბერს სიღნაღში ღვინის ფესტივალი იმართება, რომელშიც რამდენიმე კომპანია იღებს მონაწილეობას. მათ შორის არიან "თელიანი ველი", "შუმი", "თელავის ღვინის მარანი" და ასე შემდეგ.

კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ინფორმაციით, ფესტივალში მონაწილებას მრავალი მოწვეული სტუმარი მიიღებს. "ფესტივალის ფარგლებში ღვინის დეგუსტაციაც მოეწყობა, რომელიც ფასიანი იქნება. ეს პირველი შემთხვევაა, როცა დეკუსტაცია ფასიანია, მაგრამ ეს შეგნებულადაა დაგეგმილი, რადგანაც ამ გზით კომპანიები კიდევ დამატებით შემოსავალს მიიღებენ," - განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" კახეთის მხარის რწმუნებულის მოადგილემ თემო ლამაზოშვილმა.

როგორც კომპანია "თელიან ველში" აცხადებენ, მათთვის უცნობია, რომ ღვინის დეგუსტაცია ფასიანია. კომპანიაში არ გამორიცხავენ იმასაც, რომ ასეთ ფონზე მათ შესაძლოა, ფესტივალში მონაწილეობაზე უარი განაცხადონ.

ხოლო ღვინის კომპანია "შუმიდას" ინფორმაციით, ფესტივალში მონაწილე კომპანიები ხვალ სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ხვდებიან და სწორედ ხვალ გახდება მათთვის ცნობილი ფესტივალის ორგანიზატორების გადაწყვეტილებაც. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რაჭაში, 3 ათასი ტონის ნაცვლად, 600 ტონა ყურძნის მოსავალს აიღებენ

ყურძნის ჩაბარების საგანგებო შტაბის ხელმძღვანელის გიორგი ცხაკაიას ინფორმაციით, რაჭაში წელს, 3 ათასი ტონის ნაცვლად, 600 ტონა ყურძნის მოსავალს ელოდებიან. როგორც ცხაკაია განმარტავს, რაჭაში უკვე დაბინავებულია 300 ტონა ყურძენი, ხოლო უახლოეს ხანებში კიდევ 300 ტონას მოიწევენ. რთველი რაჭაში დასრულებულად გამოცხადდება. ყურძნის მოსავალის სიმცირე გახშირებულმა წვიმებმა და რაჭაში ნაადრევმა სიცივეებმა გამოიწვია.

სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხო სვიმონიშვილი რაჭიდან 3-4 ათას ტონა ყურძნის მოსავალს ელოდებოდა. **ჯი-ეიჩ-ენი.**

### აჭარელ გლეხებს უნიკალური ჯიშის ნერგებს დაურიგებენ

აჭარელი გლეხები უსასყიდლოდ მიიღებენ იმ უნიკალური ჯიშის ნერგებს, რომელთა ნაყოფზეც საქართველოსა და უცხოეთში დიდი მოთხოვნილებაა და, შესაბამისად, ბაზარზე საკმაოდ ძვირიც ღირს. სახელმწიფო პროგრამა მხოლოდ აჭარაში ხორციელდება. პროგრამის მიზანი რეგიონში სოფლის მეურნეობის წახალისება და ფერმერების ჯიშობრივად სრულყოფილი სარგავი მასალით უზრუნველყოფაა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შარშან გლეხებს 45 ათასი ძირი ვაზი, სუბტროპიკული ხურმა, ფეიჰოა და კაკალი გადასცა. შარშან პროგრამა 40 000 ლარით დაფინანსდა, წელს კი ბიუჯეტი გაორმაგებულია. გაზაფხულზე აჭარელ ფერმერებს 11,500 ძირი კაკალი და აკაცია დაურიგეს, ახლა კი 700 გლეხი 65 500 ძირ ნერგებს მიიღებს.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პროგრამის დაწყებამდე შეისწავლა ფერმერთა მეურნეობების მოთხოვნები და პერსპექტიული მიმართულებები და გლეხებისთვის იმ ჯიშის ნერგების დარიგება გადაწყვიტა, რომლებიც რეგიონში კარგად იხარებს და ბაზარზე დიდი მოთხოვნილებითაც სარგებლობს. სამინისტრო გლეხებს ერთადერთ პირობას უყენებს: მათ ნერგებს კარგად უნდა მოუარონ, უპატრონონ და გაახარონ. პირობას დამრღვევებზე სამინისტროს სხვა სახელმწიფო პროგრამები აღარ გავრცელდება. 2007 წელს სამინისტრო ქობულეთსა და ხელვაჩაურში ციტრუსის ნერგების შეტანასაც გეგმავს. გაისად პროგრამის ბიუჯეტი, სავარაუდოდ, 250 000 ლარს მიაღწევს. **მედიანიუსი**

## ამინდი

| | 25/10 | 26/10 | 27/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 18 | 18 | 21 |
| რიგა | 19 | 20 | 20 |
| ვილნიუსი | 18 | 20 | 20 |
| მოსკოვი | 17 | 14 | 15 |
| მინსკი | 20 | 20 | 20 |
| პარიზი | 20 | 21 | 20 |
| რომი | 25 | 26 | 26 |
| ლონდონი | 19 | 19 | 18 |
| მადრიდი | 26 | 23 | 24 |
| ბონი | 19 | 21 | 22 |
| ვარშავა | 20 | 22 | 21 |
| ათენი | 27 | 27 | 27 |
| ბერნი | 22 | 22 | 23 |
| ამსტერდამი | 17 | 17 | 17 |
| ოსლო | 18 | 16 | 17 |
| ანკარა | 25 | 23 | 24 |
| ვარნა | 22 | 23 | 22 |
| დელი | 41 | 41 | 41 |
| ტოკიო | 28 | 29 | 28 |
| კოპენჰაგენი | 17 | 15 | 14 |
| ბაქო | 23 | 23 | 27 |
| ერევანი | 28 | 30 | 27 |
| ასტანა | 11 | 13 | 17 |
| ჰელსინკი | 15 | 16 | 14 |
| დუბლინი | 15 | 15 | 12 |
| ლისაბონი | 25 | 23 | 22 |
| პრაღა | 21 | 21 | 21 |
| სოფია | 20 | 22 | 24 |
| ბუდაპეშტი | 25 | 26 | 23 |
| ბუხარესტი | 23 | 25 | 26 |

# "ხარისხის ნიშანი" საუკეთესო კომპანიებს

## ორკესტრ "ბიგ ბენდს" კი საპატიო სერტიფიკატი გადაეცა

ლიკა ჯობაძე

*გუშინ საუკეთესო "ხარისხის ნიშნით" ოთხი ქართული კომპანია დაჯილდოვდა. "ქართული ხარისხის" ფონდმა ქართულ კომპანიებს შორის, საუკეთესო ხარისხის მენეჯმენტის შეფასება შპს "პსპ რიხტერს", შპს "ესაბს", შპს "სტილსა" და "თიბისი TV"-ს მიანიჭა. ევროპის ხარისხის ორგანიზაციის პერსონალის სწავლებისა და სერტიფიცირების პირველი მოდულის კურსდამთავრებულებს ფონდმა სპეციალური მოწმობები საზეიმო ვითარებაში გადასცა. თბილისის მუნიციპალიტეტის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ ბენდი" კი საპატიო სერტიფიკატის მფლობელი გახდა.*




ფონდი "ქართული ხარისხი" ქართულ ბაზარზე მოღვაწე კომპანიებში ხარისხის მენეჯმენტის სრულ შემოწმებას 2003 წლიდან ახორციელებს. მთელი ამ ხნის მანძილზე, ფონდმა 50 კომპანია შეამოწმა და მათ "ხარისხის ნიშნები" გადასცა. ფარმაცევტულმა კომპანია "პსპ"-მ, შპს "ესაბმა, შპს "სტილმა" და "თიბისი ტვ-მ" მენეჯმენტის უმაღლესი ხარისხის კრიტერიუმები დააკმაყოფილეს და გუშინ, საუკეთესო "ხარისხის ნიშნითაც" დაჯილდოვდნენ. ფონდ "ქართული ხარისხის" პრეზიდენტის გიგლა კუნჭულიას თქმით, ფონდის საქმიანობა არა კონკრეტული პროდუქტის ან მომსახურების შემოწმებაზეა ორიენტირებული, არამედ მთლიანად კომპანიის მენეჯმენტის შეფასებაზე. **"ამ ოთხ გამარჯვებულ კომპანიაში ჩვენ სამი თვის მანძილზე ვმუშაობდით. ეს საკმაოდ რთული სამუშაო პროცესი იყო. ამა თუ იმ კომპანიის ხელმძღვანელობის საქმიანობა და პასუხისმგებლობა, პერსონალის კვალიფიციურობა, კომპანიების მატერიალური და ტექნიკური თვალსაზრისით უზრუნველყოფა, - ეს ის კრიტერიუმები გახლავთ, რომელიც გამარჯვებულმა კომპანიებმა დააკმაყოფილეს. დღეს ჩვენ ოთხი ქართული კომპანია გამოვავლინეთ და "ხარისხის ნიშნით" დავაჯილდოვეთ. თუმცა ამით პროცესი არ დასრულებულა, "ქართული ხარისხის" საქმიანობა პერმანენტულ ხასიათს ატარებს. ამ ეტაპზე, ჩვენ კიდევ სამი კომპანიის საქმიანობას ვსწავლობთ, რომელთა შესახებაც საზოგადოებისთვის სულ მალე გახდება ცნობილი. ჩვენს მიერ მინიჭებული "ხარისხის ნიშანი" ერთ წლიანია, რაც ამ კომპანიებისთვის გარკვეულწილად სტიმულის მომცემია. იმედი მაქვს, რომ მალე ქართულ ბაზარზე ყველა კომპანია მენეჯმენტის მაღალ დონეს დააკმაყოფილებს."**

გამარჯვებული ფარმაცევტული კომპანია "პსპ" 2002 წელს დაარსდა. დღეისათვის კომპანია თბილისის მასშტაბით 60 ობიექტს ითვლის და გაფართოების ტემპები დღითიდღე მატულობს. კომპანია "პსპ"-ში 900 ადამიანია დასაქმებული. აქედან 50 ადამიანი კომპანიის შიდა კონტროლში მუშაობს. **"კომპანია "პსპ" საქართველოში ერთ-ერთი ლიდერი კომპანია გახლავთ, რომლესაც ფარმაცევტულ ბაზარზე ყველაზე დიდი სეგმენტი უჭირავს. აქამდე ჩვენი წარმოების პრეპარატები მხოლოდ ქართულ ბაზარზე იყიდებოდა. მომავალი წლიდან ჩვენ უკვე ქვეყნის ფარგლებს გარეთ გავალთ, კონკრეტულად კი აზერბაიჯანის ფარმაცევტულ ბაზარზე დავიწყებთ მუშაობას. საექსპორტო მედიკამენტებზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს, ასე რომ, დაახლოებით 80-მდე დასახელების კაფსულირებად პრეპარატს ჩვენი ბრენდის სახელით აზერბაიჯანში გავიტანთ. ასევე მოგახსენებთ იმას, რომ ამ ეტაპზე ჩვენი კომპანიისთვის მთავარი პრიორიტეტი რეგიონებში ბაზრის გაფართოებაა, რაზეც უკვე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. ისევე, როგორც სხვა კომპანიებისთვის, ქართული "ხარისხის ნიშანი" ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. კომპანია "პსპ"-ს უკვე აქვს მიღებული საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატი, თუმცა ეროვნული ხარისხის ნიშანი არანაკლებ მნიშვნელოვანი და სასიხარულოა,"**-განაცხადა "პსპ" ჯგუფის პრეზიდენტმა გოჩა გოგილაშვილმა.

უნიფორმების მწარმოებელი ქართული კომპანია შპს "სტილი" 1993 წლიდან მუშაობს. კომპანია ძირითადად ძალოვანი სტრუქტურების, ბენზინ გასამართი სადგურების, სასტუმროებისა და რესტორნების ქსელების, მეზღვაურების, მშენებლების და კერძო დაცვის სამსახურების ჩაცმულობაზე ზრუნავს. კომპანიის პრეზიდენტის მარიკა გოგინაშვილის თქმით, შპს "სტილს" საქართველოში კონკურენტი არ ჰყავს, რადგან მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ძალიან ხარისხიანია. **"კომპანიის დაარსებიდან დღემდე ჩვენ მრავალი პრობლემა გადავლახეთ. შევქმენით უამრავი ახალი მოდელი, დავხვეწეთ ტექნოლოგიები. გვქონდა პრობლემები მარკეტინგის სფეროში, რომლის დაძლევაშიც დიდი წვლილი ორგანიზაცია "პამს" მიუძღვის. უკანასკნელი წლების მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი შემკვეთების რიცხვი. ჩვენი საქმიანობის გაფართოების მიზნით, სულ რაღაც სამი დღის წინ მაღაზია "შოუ რუმი", ახალი ოფისი და საწარმოც გავხსენით, რაც ჩვენს საქმიანობას კიდევ უფრო წარმატებულს გახდის. ჩვენი პროდუქცია ძალიან ხარისხიანია, რაც ფონდ ქართულ ხარისხს მხედველობიდან არ გამოპარვია. ის, რომ ჩვენ საუკეთესო "ხარისხის ნიშნის" სტატუსი ჩვენს კომპანიას კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს. ორგანიზაცია "პამის" ხელშეწყობით, სულ მალე კომპანია "სტილი" ევროპის ბაზარზე გავა.**

კომპანია "თიბისი TV" სარეკლამო და სატელევიზიო ბაზარზე მოღვაწეობს. იგი TBC - ჯგუფის შემადგენელი შემოქმედებითი კომპანია გახლავთ, რომელიც მრავალფეროვანი შემოქმედებითი და გასართობი გადაცემებით ახალისებს ქართულ ტელე-რადიო სივრცეს. კომპანიის პროდუქციის მომხმარებლები არიან ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორიც გახლავთ "თიბისი" ჯგუფი, პსპ ჯგუფი, ნატახტარი და კიდევ არაერთი სხვა კომპანია.**"ჩვენ მიერ დამზადებული სარეკლამო თუ სატელევიზიო პროდუქცია მართლაც რომ ძალიან ხარისხიანია. მინდა გითხრათ, რომ სარეკლამო ბაზარზე დღეს ძალიან ჯანსაღი კონკურენციაა. მოღვაწეობს უამრავი ქართული კომპანია და შემკვეთთა რიცხვიც ძალიან დიდია. ეს კი, როგორც ჩვენ, ასევე სხვა კომპანიებსაც საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობას ანიჭებს. დღეს ჩვენ საუკეთესო ხარისხის სერტიფიკატით დაგვაჯილდოვეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი შემდგომი საქმიანობისთვის,"**-აცხადებს "თიბისი TV"-ის პრეზიდენტი ლევან ყუბანეიშვილი.

შპს "სააბი" 1989 წლიდან მოღვაწეობს. კომპანია "ესაბის" პარტნიორები ისეთი საერთაშორისო და ცნობილი კომპანიები გახლავთ, როგორიც არის Xerox, HP, Apple, Kindermann და სხვა. შპს "ესაბი" საქართველოს სამინისტროებთან, საკონსტიტუციო ორგანოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საელჩოებთან თანამშრომლობს.

"ქართულმა ხარისხმა" სპეციალური საპატიო სერტიფიკატი თბილისის მუნიციპალიტეტის საკონცერტო ორკესტრ "ბიგ ბენდს" გადასცა. შეგახსენებთ, რომ ორი თვის წინ ორკესტრმა "ბიგ ბენდმა" მონტეკარლოს საერთაშორისო ფესტივალზე გრანპრი აიღო.

გაიოზ კანდელაკი - "ბიგ-ბენდის" დამაარსებელი და მთავარი კონსულტანტი: **"უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოს ორკესტრი საერთოდ არ ჰყავდა. მაშინ მე და ჩემმა მეგობარმა თემურ ჩხეიძემ გადავწყვიტეთ, რომ შეგვექმნა ბენდი და ამ კუთხით სერიოზული მუშაობა დავიწყეთ. თავიდან მარჯანიშვილის თეატრის სხვენში დავიწყეთ მოღვაწეობა, არ გვქონდა არანაირი პირობები, თუმცა ენთუზიაზმი ძალიან დიდი იყო. დღეს კი ჩვენი შრომა დაფასდა. ძალიან დიდი დახმარება გაგვიწია თბილისის მერიამ და კულტურის საქალაქო სამსახურმა. მათ 80 ათასი ლარის ინსტრუმენტები - იამახები შეგვიძინეს. და აი, უკვე საქართველოს ძალიან წარმატებული "ბიგ ბენდი" ჰყავს, რომელმაც ორი თვის წინ მონტე კარლოს საერთაშორისო ფესტივალზე გრანპრი და ჯაზ მასტერის წოდება მიიღო. ყველაზე სასიხარულო კი ის არის, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე, წელს პირველად ჩვენი ორკესტრით ქართული ბიზნესსამყარო დაინტერესდა. ეს ის სფეროა, რომელსაც ძალიან დიდი კონტაქტები აქვს ქვეყნის ფარგლებს მიღმა. ჩვენი ბენდისთვის კი ეს ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ."**

ფონდმა "ქართულმა ხარისხმა" ევროპის ხარისხის ორგანიზაციის პერსონალის სწავლებისა და სერტიფიცირების პირველი მოდულის კურსდამთავრებულებს სპეციალური მოწმობები გადასცა. ამ პროექტში მონაწილეობა 11 ქართული კომპანიის ოცდაათმა წარმომადგენელმა მიიღო. სწავლება ხუთ მოდულიანია და მისი დასრულების შემთხვევაში საქართველოს ევროპული სტანდარტების შესაბამისი მენეჯერები ეყოლება.

# რუსული ემბარგოს კვალი

პირველი გვერდიდან



საქართველოს ბაზარზე პროდუქტზე დეფიციტი არ შექმნილა, თუმცა რუსეთთან სატრანსპორტო მიმოსვლის შეწყვეტის შემდეგ, შექმნილი მდგომარეობა რუსული წარმოების ზოგიერთი საქონლის ფასზე უკვე აისახა. პროდუქტები, რომელთა შემოტანა იმპორტიორებმა ვერ შეძლეს, 20 პროცენტით გაძვირდა, მათ რეალიზაციას ჯერჯერობით დისტრიბუტორები ძველი მარაგებიდან ახორციელებენ. ადგილობრივი იმპორტიორების ერთი ნაწილი უკვე მუშაობს რუსული პროდუქტის მესამე ქვეყნების გავლით შემოტანაზე, ზოგი კი ალტერნატიულ მომწოდებლებთან სავაჭრო კავშირის დამყარებას ცდილობს.

რუსეთს, ეკონომიკურ ბლოკადამდე, საქართველოს ათ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს შორის პირველი ადგილი ეჭირა. ამ ქვეყნიდან იმპორტის მოცულობა ყოველწლიურად იზრდებოდა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2005 წელს რუსეთიდან 384 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქციის იმპორტი განხორციელდა, წელს რვა თვის განმავლობაში კი იმპორტის მოცულობამ 365,5 მილიონ დოლარს გადააჭარბა რუსეთიდან საქართველოში შემოტანილი 10 ყველაზე მსხვილი სასაქონლო ჯგუფი ასე გამოიყურება: 1. ნავთობის აირები და ნახშირწყალბადები - 123,3 მილიონი დოლარის ღირებულების; 2. ხორბალი - 44,2 მილიონი დოლარის; 3. ელექტროენერგია - 14,2 მლნ; 4. ფქვილი - 11,4 მლნ; 5. შოკოლადი და კაკაოს შემცველი სხვა მზა პროდუქტები - 6,5 მლნ; 6. თამბაქო და თამბაქოს ნაწარმი - 6 მლნ; 7. მანქანის საბურავები - 5,8 მლნ; 8. ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 4,8 მლნ; 9. პური, საკონდიტრო ნაწარმი, შაქარლამა, ნამცხვარი და სხვა პურფუნთუშეული - 4,6 მლნ; 10. მსუბუქი ავტომობილები - 4,5 მლნ. ამ პროდუქციის გარდა, რუსეთიდან იმპორტირებულ პროდუქციაში სერიოზული სეგმენტი ეკავა ლუდს და ხილის წვენებს, მაკარონს, თევზის კონსერვებს, წიწიბურას. ამ პროდუქტის ფასი, შექმნილი დეფიციტის შედეგად, გაორმაგდა.

ბაზარზე შექმნილი დეფიციტის მიუხედავად, პანიკის საფუძველი არ არსებობს. თუმცა ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რითი მოხდება რუსული პროდუქტის ჩანაცვლება? საბაზრო სამის ექსპერტების შეფასებით, რუსული წარმოების თითქმის ყველა პროდუქტს ალტერნატივა აქვს და სერიოზული პრობლემა საქართველოსთვის მხოლოდ ენერგომატარებლების ჩანაცვლება იქნება.

ყველაზე მეტად საზოგადოებას აწუხებს გაძვირებული პურპროდუქტები და ის, რომ ბაზარზე ამ პროდუქციის დეფიციტის შემთხვევაში ფასები კიდევ უფრო აიწევს. ნავთობპროდუქტების და პურპროდუქტების გაძვირების შემდეგ ბაზარზე ჯაჭვური რეაქცია ხდება და ყველა პროდუქტი ძვირდება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, ხორბლის იმპორტზე შეფერხება, სავარაუდოდ, ათ დღეს გასტანს, ვიდრე ქართველი მომწოდებლები ახალ პარტნიორებს გამონახავენ. ხორბალი საქართველოში, სავარაუდოდ, აშშ-დან, ყაზახეთიდან და უკრაინიდან შემოვა. ხორბლის იმპორტიორები რუსული ხორბლის აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით შემოტანაზე მუშაობენ და, პარალელურად, მოლაპარაკებები ახალ მომწოდებლებთანაც დაიწყეს. რუსულ ნავთობპროდუქტებს, რომელსაც პირველი ადგილი ეკავა და იმპორტის 33 პროცენტს შეადგენდა, თურქული, ბერძნული, გერმანული და ფრანგული საწვავით ჩაანაცვლებენ. სრული ჩანაცვლება შეიძლება არ მოხდეს, განსაკუთრებით, ენერგომატარებლების შემთხვევაში. ექსპერტების შეფასებით, იმის პროგნოზირება, რომ ალტერნატიული ბაზრების მონახვის შემდეგ ფასები დაიწევს, რთულია, რადგან ტრანსპორტირების ხარჯების ზრდა პროდუქტის ფასზე სერიოზულ გავლენას მოახდენს. ბოლო დღეებში ბაზარზე პროდუქტის გაძვირება, ემბარგოს გავლენის მიუხედავად, მაინც ხელოვნურად მოხდა. მარაგების შემცირების შედეგად ფასები სადისტრიბუციო კომპანიებმა ასწიეს. ექსპერტების შეფასებით, რუსეთის სანქციები საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე სერიოზულ გავლენას ვერ მოახდენს, მაგრამ ენერგომატარებლების შემთხვევაში ამ შეფასების გაკეთება რთულია. არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მთავარი სადამსჯელო იარაღი - ენერგობლოკადა შესაფერისი დროისათვის შემოინახა. საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით მზადება უკვე დაიწყო. რუსეთიდან ბუნებრივი აირის შეწყვეტის შემთხვევაში, გახდება თუ არა ირანი საქართველოსთვის გაზის მოწოდების ალტერნატიული წყარო, თეირანში გადაწყდება.

საქართველოს ბუნებრივი აირის მოწოდებაზე რუსულ კომპანია "გაზპრომთან" ხელშეკრულება 2006 წლის ბოლომდე აქვს გაფორმებული. ამ შეთანხმებით, რუსული "გაზპრომი" საქართველოს 1000 კუბ.მ. აირს 110 დოლარად აწვდის. საგარეო საქმეთა და ენერგეტიკის მინისტრებს შეხვედრები ექნებათ თეირანის პოლიტიკურ წრეებთანაც. შეხვედრაზე განიხილება ერთობლივი ეკონომიკური კომისიის სხდომის ჩატარების საკითხი, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი უხელმძღვანელებს. სხდომა წლის ბოლოსთვის არის დაგეგმილი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული, ტელ: 331839, 331939. ფაქსი: 331934, E-mail: globalfund@caucasus.net) აცხადებს ტენდერს "გლობალური ფონდის" პროექტის "აივ/შიდსის, ტუბერკულოზისა და მალარიას პრევენციისა და კონტროლის ეფექტური განხორციელების მიზნით არსებული ეროვნული რეაგირების გაძლიერება საქართველოში 2003-2007 წლებში" (პროექტი GEO-202-G01-H-00; GEO-304-G02-M-00; GEO-405-G03-T) პროგრამის ფარგლებში სასტამბო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2.დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები ("გლობალური ფონდის" პროექტი).

3.შესყიდვის ობიექტია:

| № | შესყიდვის ობიექტის დასახელება * | პოლიგრაფიული პროდუქციის ტიპი | პოლიგრაფიული პროდუქციის სახეობა | საერთო რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბუკლეტი | 2 | 4 | 116000 |
| 2 | პლაკატი | 2 | 6 | 14000 |
| 3 | ბროშურა | 16 | 22 | 87500 |
| 4 | ტრიპლეტი | 2 | 11 | 222000 |
| 5 | სახელმძღვანელო | 4 | 4 | 5200 |
| 6 | ბიულეტენი | 2 | 2 | 1000 |
| 7 | ინსტრუქცია | 2 | 2 | 1000 |
| 8 | კალენდარი | 1 | 2 | 30000 |
| 9 | სტიკერი | 1 | 1 | 20000 |
| 10 | მეთოდური რეკომენდაციები | 2 | 2 | 700 |

* სპეციფიკაციების დიდი ჩამონათვალის გამო, შესყიდვის ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემსყიდველის ოფისში საკონტაქტო პირებისაგან; ნატო დვალი, სანდრო კვაჭანტირაძე, (შესყვიდვების სპეციალისტები) მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული, ტელეფონი 33 18 39, 33 19 39. E-mail: globalfund@caucasus.net

4. მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი; მე-5 სართული საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა: შეკვეთის მიცემიდან არაუგვიანეს 10 დღისა. შეკვეთის მიცემა მოხდება არაუგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 17 ნოემბრის 17:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 17 ნოემბერს 17:00 სთ.-ზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრნენ სატენდერო წინადადების გახსნას);

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. **იურიდიული პირისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

დ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

6.2. **ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

6.3. **იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის**:

ა) იურიდიული და ფიზიკური პირის რეკვიზიტები (იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი);

ბ) სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);

გ) ინფორმაცია ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

7. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე ტენდერში მონაწილე პირების სუბკონტრაქტორებისათვის (არსებობის შემთხვევაში);

8. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მ.შ. ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი);

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს შეეძლებად 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (საბანკო ანგარიშზე: მიმღები სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (საიდენტიფიკაციო კოდი 211327580), "საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი" (ბანკის კოდი: 220101502, ანგარიშწორების ანგარიში ლარებში: 36089810205272040003 (005606074) დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი;

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 15 ნოემბრის 17:00 სთ.-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23, II კორპუსი, მე-5 სართული;

10. .პრეტენდენტს უფლება აქვს წარადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.;

11. ტენდერში შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

შენიშვნა: საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია განხორციელდეს ერთი დასახელების პოლიგრაფიული პროდუქციის ნაწილის შეცვლა მეორე დასახელების პროდუქციით (10% ფარგლებში) მთლიანი სახელშეკრულებო თანხის ცვლილების გარეშე;

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნატო დვალი, სანდრო კვაჭანტირაძე, დავით აბდუშელიშვილი სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული. ტელ: 388210, 388220; ფაქსი: 331939).

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 24 ოქტომბრის ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2006 წლის 12 ივნისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე ***"კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო-ანალიტიკური სივრცის შექმნა"*** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

*ლოტი 1 - კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლ(ებ)ზე მუდმივად განახლებადი კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა - ზარზმის და უბისის სამონასტრო კომპლექსების მაგალითზე გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი "გეოგრაფიკი" - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი*

*ნაცვლად უნდა იყოს :*

*ლოტი 1 - კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლ(ებ)ზე მუდმივად განახლებადი კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა - ზარზმის და უბისის სამონასტრო კომპლექსების მაგალითზე - შპს "სტუდია გეოსკოპი''*

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2006 წლის 31 მაისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე ***"ქალაქების: თბილისისა და ბათუმის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავება"*** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

*ლოტი 1 - ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავება" გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი "გეოგრაფიკი" - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი,*

*ლოტი 2 - ქ. ბათუმის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავება" გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი "გეოგრაფიკი" - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი,*

2006 წლის 10 აგვისტოს ტენდერში გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2006 წლის 12 ივნისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე ***"კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო-ანალიტიკური სივრცის შექმნა"*** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

*ლოტი 1 - კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლ(ებ)ზე მუდმივად განახლებადი კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა - ზარზმის და უბისის სამონასტრო კომპლექსების მაგალითზე გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი "გეოგრაფიკი" - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრი,*

*ლოტი 2 - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტში უძრავ ძეგლებზე არსებული საინფორმაციო ნაკადების მონაცემთა ბაზის შექმნა და ციფრულ ფორმატში გადაყვანა - გამარჯვებული არ გამოვლინდა,*

*ლოტი 3 - "საქართველოსა და თბილისის მუზეუმების ვებ-გვერდების შექმნა" - კავშირი კულტუროლოგიული კვლევის ცენტრი*

2006 წლის 22 აგვისტოს ტენდერის მე-3 ლოტზე გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

2006 წლის 13 ოქტომბერს ტენდერის პირველ ლოტზე გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2006 წლის 19 ივლისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე ***"საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების ინვენტარიზაცია"*** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

***ლოტი 1 - ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების, უძრავი ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების ინვენტარიზაცია ?შპს "სენსონი"***

2006 წლის 8 სექტემბერს ტენდერში გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2006 წლის 20 ივლისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე ***"კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია-გამოცემები"*** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

***ლოტი 1 - "უბისას ეკლესიის ხატები და კედლის მხატვრობა - XIVს" შპს "ტრიადა"***

2006 წლის 30 აგვისტოს ტენდერში გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად 2006 წლის 19 ივლისს გამოცხადებულ ღია ტენდერში ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე ***"კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ნიმუშთა რესტავრაცია-რეაბიოლიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება"*** გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები:

***ლოტი 1 - ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ.N11-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის რესტავრაცია-რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება ი/მ ლევან ასაბაშვილი***

2006 წლის 8 სექტემბერს ტენდერში გამარჯვებულებთან დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

## განაცხადი

ახალციხის საგადასახადო ინსპექცია 2006 წლის 2 ნოემბერს 12 საათზე აცხადებს ღია აუქციონს. აუქციონზე სარეალიზაციოდ გამოტანილი იქნება შპს "ედვე"-ს ყადაღადადებული შემდეგი ქონება:

1. საძროხის შენობა - ფასი 3000 ლარი.
2. წყლის აუზი - ფასი 300 ლარი.
3. საყარაულო ჯიხური - ფასი 500 ლარი.
4. ტრანსფორმატორი - ფასი 1500 ლარი.

ქონება მდებარეობს ახალციხის რაიონში.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონი ჩატარდება ახალციხის საგადასახადო ინსპექციაში მისამართზე: ქ. ახალციხე, პ. მიქუტიშვილის ქ. №1.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ აღნიშნულ მისამართზე.

ტელ.: 8(265) 21544. ფაქსი: 8(265) 50211.ზ

## განცხადება

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით, შპს "სანდასუფთავების სპეცავტომეურნეობის" მიმართ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრება გაიმართება 2006 წლის 01 ნოემბერს 10.00 საათზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მესამე სართულის სხდომათა დარბაზში. მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30.

## განცხადება სს ''საქჰიდროენერგომშენის'' კუთვნილი თავისუფალი ფართის იჯარით გაცემის შესახებ

სს ''საქჰიდროენერგომშენი'' აცხადებს კონკურსს კუთვნილი თავისუფალი ფართის იჯარით გაცემის თაობაზე. საიჯარო ფართი მდებარეობს ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. N50.

საიჯარო ქირის მინიმალური ოდენობა შეადგენს 8 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში.

განცხადება მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კონკურსში მონაწილეობისათვის დადგენილი ''ბე''-ს სიდიდე შეადგენს 100 ლარს.

კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 24 ნოემბერს 12 საათზე.

განცხადებები მიიღება მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N50, მე-3 სართული, სს ''საქჰიდროენერგომშენის'' ადმინისტრაცია.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სს ''საქჰიდროენერგომშენის'' ადმინისტრაციას. საკონტაქტო ტელეფონები: 250959, 253035**

6 ოქტომბერს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ "დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპის დამტკიცების ეროვნული ნიშნის ფორმის დამზადების მომსახურების შესყიდვის" თაობაზე ჩატარებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს "სპს კაბადონმა", რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

**სატენდერო კომისია**

## შესწორება

გაზეთ "24 საათის" 24 ოქტომბრის ნომერში გაიპარა უზუსტობა. განცხადებას სათაურად აწერია "განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ", რაც არ შეესაბამება ქვემოთ მოცემულ საკონკურსო განხცადებას და შეცდომაა. განცხადება უნდა იწყებოდეს შემდეგნაირად:

**განცხადება**

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს მცხეთის რაიონული სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს

**შპს "საქართველოს რკინიგზის" რკინიგზის ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული შენობის ნაწილის (შემდგომში: "საიჯარო ქონება") დროებით სარგებლობაში,**

**იჯარით გაცემის მიზნით.**

*1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები*

■ იურიდიული მისამართია: - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ.N138, შპს "საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტის" შენობის ნაწილი.

■ საიჯარო ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის ფართობი - **527 კვ/მ.**

■ **საწყისი თვიური საიჯარო ქირა - 6325.00** ლარი, დღგ-ს გარეშე.

■ **იჯარის ვადა - 2 წელი**

■ **"ბე" - 6325.00** ლარი.

n **განაცხადების მიღების ადგილი -** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-53-18, 56-33-70.

■ **განაცხადების მიღების ვადა -** 2006 წლის 25 ოქტომბრიდან 2006 წლის 9 ნოემბრამდე 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

■ **კონკურსის ჩატარების თარიღი, ადგილი და დრო -** 2006 წლის 10 ნოემბერი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.

■ **შპს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები -** "ბანკი რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ა/ა N3407003205, ბანკის კოდი N220101757, საიდენთიფიკაციო კოდი N202886010.

■ **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ -** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

*2. კონკურსის პირობები*

■ მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.

■ მოიჯარის მიერ ქონების, კომუნალური და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადების, აგრეთვე საიჯარო ქონების დაცვის ხარჯების დროულად და სრულად გადახდა.

■ მოიჯარემ უნდა დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოს საიჯარო ქონების მოვლა-პატრონობა.

■ მოიჯარე ვალდებულია სექმნას ყველა საჭირო პირობები საიჯარო ქონების ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

■ მოიჯარეს ეკრძალება, შპს "საქართველოს რკინიგზის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარესე, მოახდინოს საიჯარო ქონების რეკონსტრუქცია ან განახორციელოს მნიშვნელოვანი მიშენებები, აგრეთვე ქვეიჯარით გასცეს ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს საიჯარო ქონება.

■ იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უბრუნდება შპს "საქართველოს რკინიგზას".

■ იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის N1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

*3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები*

■ მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას.

■ ვალდებულების აღება დანარჩენ საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილებაზე.

*4. იჯარის ხელშეკრულების დადება*

■ კონკურსის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს "საქართველოს რკინიგზასთან" გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს ნოტარიული წესით. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მოიჯარე.

■ მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 3 თვეში ერთხელ, შპს "საქართველოს რკინიგზას" წარუდგენს ანგარიში იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

■ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმასაფხვრელად. ამასთან, საიჯარო ქონების ვადის დარღვევისათვის მოიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარეს პირგასამტეხლო თვიური საიჯარო ქირის 0,1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე). თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე ჰკარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

*5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები*

■ დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

■ კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).

■ "ბე"-ს გადახდის ქვითარი ("ბე" გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).

■ კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

■ იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

■ კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

■ კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე.

■ გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

■ კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

*6. შენიშვნები და დათქმები*

■ მოიჯარეს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება ბოლო თვის საიჯარო გადასახადში იმ დროისათვის არსებული სავალუტო კურსის შესაბამისად.

■ დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.

■ განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

■ თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის იმავე საათზე.

**საიჯარო ქონებისა და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს "საქართველოს რკინიგზაში".**

*შპს "საქართველოს რკინიგზა"*

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს

**შპს "საქართველოს რკინიგზის" ბალანსზე რიცხულ სადგურ "ქუთაისი-2"-ის შენობის, მასზე დამაგრებულ მიწის ფართობთან ერთად და აღნიშნული შენობის მიმდებარედ არსებული 1678,14 კვ.მ. მიწის ფართობის (შემდგომში "საიჯარო ქონება") დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით, გადაცემის მიზნით.**

*1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები*

**- საიჯარო ქონების იურიდიული მისამართი -** ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ.-37

**- შენობის საერთო ფართი შეადგენს - 451,36** კვ.მ. შენობაზე დამაგრებული მიწის ფართი **451,36** კვ/მ.

**- შენობის სასარგებლო ფართი შეადგენს - 369,0** კვ.მ.

**- საიჯარო ქონების დახასიათება** - შენობა ექსპლუატაციაში შესულია 1934 წელს და იგი წარმოადგენს ერთსართულიან ნაგებობას. შენობის მიმდებარედ განთავსებულია 1678,14 კვ.მ. მიწის ნაკვეთი.

**- საწყისი თვიური საიჯარო ქირა 4390.00** ლარი, დღგ-ს გარეშე.

**- "ბე" - 4390.00** ლარი.

**- იჯარის ვადა** 10 წელი.

**- განაცხადების მიღების ადგილი -** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი -15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, ტელ.: 56-33-51, 56-33-61, 56-47-47.

**- განაცხადების მიღების ვადა -** 2006 წლის 25 ოქტომბრიდან 2006 წლის 9 ნოემბრის ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

**- კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი) ადგილი და დრო -** 2006 წლის 10 ნოემბერი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი -15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.

**- შპს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები -** "ბანკი რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ა/ა -3407003205, ბანკის კოდი -220101757, საიდენთიფიკაციო კოდი -202886010.

**- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ -** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

*2. კონკურსის პირობები*

- მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.
- მოიჯარის მიერ ქონების (მათ შორის მიწის), კომუნალური და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადების, აგრეთვე საიჯარო ქონების დაცვის ხარჯების დროულად და სრულად გადახდა.
- მოიჯარე ვალდებულია განახორციელოს შენობის, არანაკლებ 130 000 ლარის ღირებულების სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები, შპს "საქართველოს რკინიგზაში" არსებული შენობის დეფექტურობის აქტის მიხედვით.
- მოიჯარე ვალდებულია ყოველწლიურად განახორციელოს შენობის გეგმიური მიმდინარე კაპიტალური რემონტი, რათა შენარჩუნებული იქნეს მისი ნორმალური მდგომარეობა.
- მოიჯარემ ვალდებულია შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ სადგურის ნორმალური ფუნქციონირების მიზნით, სადგურის შენობაში გამოყოს და სათანადოდ მოაწყოს ფართები ადმინისტრაციის ოთახების, მოსაცდელი დარბაზის, სალაროს, ვაგზლის მორიგის ოთახის და სამედიცინო პუნქტის მოსაწყობად. ამასთან, შპს "საქართველოს რკინიგზა" აღნიშნული ფართებით ისარგებლებს ყოველგვარი საზღაურის გარეშე.
- მოიჯარემ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოს საიჯარო ქონების მოვლა-პატრონობა, აგრეთვე იმგვარად ისარგებლოს აღნიშნული ქონებით, რომ საფრთხე არ შეუქმნას სარკინიგზო მოძრაობასა და მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილებას შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუ მოიჯარის ბრალეული ქმედებით შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ზიანი მიადგა მესამე პირებს, მოიჯარე ვალდებულია აუნაზღაუროს მათ ეს ზიანი.
- მოიჯარეს ეკრძალება, შპს "საქართველოს რკინიგზის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მოახდინოს შენობის რეკონსტრუქცია ან განახორციელოს მნიშვნელოვანი მიშენებები.
- იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უბრუნდება შპს "საქართველოს რკინიგზას" ნორმალური ფუნქციონირებისათვის ვარგის მდგომარეობაში. ამასთან, შენობის (მ.შ. სადგურის ნორმალური ფუნქციონირების მიზნით გამოყოფილი ფართის) სარემონტო-სარეკოსტრუქციო სამუშაოებზე დახარჯული თანხები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება.
- იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის -1-1/209 ბრძანებით დამტკიცებული "სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა.

*3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები*

- საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას და საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება

*4. იჯარის ხელშეკრულების დადება*

- კონკურსის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს "საქართველოს რკინიგზასთან" გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს ნოტარიული წესით. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მოიჯარე.
- მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს "საქართველოს რკინიგზას" წარუდგენს ანგარიში იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმასაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თვიური საიჯარო ქირის 0,1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).
- თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე ჰკარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

*5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები*

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.
- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).
- "ბე"-ს გადახდის ქვითარი ("ბე" გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).
- კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.
- კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.
- კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე.
- გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
- კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

***6. შენიშვნები და დათქმები***

- თვიური საიჯარო ქირის ოდენობა, მეიჯარის მოთხოვნით, შეიძლება გადაიხედოს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოს მიერ დადგენილი ეროვნული სამომხმარებლო ფასების ინდექსის მიხედვით, რისთვისაც ბაზისად აღებული იქნება იჯარის ხელშეკრულების გაფორმების დღე. ამასთან, საიჯარო ქირა არ შეიძლება შემცირდეს მოცემული საკონკურსო პირობრბით განსაზღვრულთან შედარებით.
- საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება ანგარიშსწორების მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის მიხედვით.
- მოიჯარეს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება საბოლოო ანგარისწორებისას.
- დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.
- განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.
- თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის იმავე საათზე.
- მეიჯარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების გრაფიკი, ვაგზალზე ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.
- მეიჯარის მიერ საკონკურსო პირობების ჯეროვანი შესრულების შემდეგ ეძლევა პლორონგაციის უფლება 10 წლის ვადით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- საიჯარო ქონება გაიცემა ერთ ლოტად.

**საიჯარო ქონებისა და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს "საქართველოს რკინიგზაში".**

*შპს "საქართველოს რკინიგზა"*

# "განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად დამატებითი კონკურსის გამოცხადების თაობაზე"

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:

ა) ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილება:
- მეცნიერ-თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.

ბ) შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილება:
- მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
- მეცნიერ-თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული.

გ) ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება:
- მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
- მეცნიერ-თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული.

დ) საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება:
- მეცნიერ-თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.

ე) კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილება:
- მეცნიერ-თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.

ვ) ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორია:
- მეცნიერ-თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებული თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) ბოლო 5 წლის (2001-2005 წწ.) განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) ბოლო 5 წლის (2001-2005 წწ.) განმავლობაში გამოქვეყნებული 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ორიგინალი ან ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) ჩამონათვალი იმ ინდივიდუალური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, რომლის შესრულებასაც განმცხადებელი აპირებს უახლოესი სამი წლის განმავლობაში;

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

თ) ბოლო 5 წლის (2001-2005 წწ.) განმავლობაში მიღებული პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტებისა და ამავე პერიოდის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

3. სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (2001-2005 წწ.);

ბ) პატენტები (2001-2005 წწ.);

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში (2001-2005 წწ.);

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში (2001-2005 წწ.);

ე) კონკურსანტის მიერ უახლოესი სამი წლის განმავლობაში დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების აქტუალურობა და მათი შესრულების რეალურობა;

ვ) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების შესრულების გამოცდილება.

4. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.

5. საბუთების მიღება იწარმოებს 2006 წლის 25 ოქტომბრიდან. მისამართი: პ. მელიქიშვილის ქ. N10.

6. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 27 ნოემბერი.

7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2006 წლის 30 ნოემბერს.

8. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

ქ. თბილისი, პ. მელიქიშვილის ქ. N10,

e-mail: histandethn@yahoo.com.

ტელ.: 93 28 88,

პასუხისმგებელი პირები: ბაია გოგოლაძე და ლეილა ხურცია.

# განცხადება ორეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს ორეტაპიან ტენდერს განაშენიანების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**ტექნიკური დავალება მოიცავს შემდეგ მოთხოვნას:**
- ქ. თბილისში, ლომოურის ქ. N1-ის ტერიტორიაზე (ავალაბრის ადმინისტრაციული კომპლექსის მიმდებარე მხარეს) განაშენიანების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა;

**დაფინანსების წყარო:** საწარმოს სახსრები.

**შესასყიდი მომსახურების მოწოდების ვადა:** ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებიდან 270 დღის განმავლობაში.

სატენდერო დოკუმენტაცია **ქართულ ენაზე** პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის (200 ლარი) გადახდის შემდგომ, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12. შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა", II სართული, სატენდერო კომისიის აპარატი, 14 ნოემბრის 18 საათამდე.

**სატენდერო მოსაკრებლის საბანკო რეკვიზიტებია:**
ს.ს. ბანკი "რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101757, ა/ა N3408022974, საიდენტიფიკაციო კოდი 205037574. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი).

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე. საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთად ერთ დალუქულ პაკეტში, სამ ეგზემპლარად (ერთი დედანი და ორი ასლი) ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" II სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები მიიღება 14 ნოემბრიდან 19 ნოემბრის 16.00 საათამდე.

პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და პირველადი სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 19 ნოემბრის 16.30 საათზე. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ გახსნის პროცესს.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

***იურიდიული პირებისათვის*:**
1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
2. ცნობა სასამართლოდან ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
4. სატენდერო დოკუმენტაციის წარმომდგენი უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;
5. ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულები და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

***ფიზიკური პირებისათვის*:**
1. ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
3. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა (ცნობა საგადასახადოდან რეგისტრაციის შესახებ);
4. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;
5. ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**ტენდერში მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:**
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;
- ინფორმაცია ანალოგიურ სფეროში მუშაობის გამოცდილების შესახებ, ბოლო 3 წლის მანძილზე, საერთო ჯამში არანაკლებ 300 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულების თაობაზე (სასურველია წარმოდგენილი იქნეს დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დაიშვება ტენდერის მეორე ეტაპზე, თუ იგი ზემოაღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

**ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეობისათვის:**
პირველადი სატენდერო წინადადება, დალუქულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილი უნდა იქნეს სატენდერო კომისიაში.
პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;
- მომსახურების ზოგადი აღწერილობა;
- ინფორმაცია ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის მომსახურე ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ.

ტენდერის მეორე ეტაპზე დაიშვებიან (მოწვეულები იქნებიან) მხოლოდ ის პრეტენდენტები, რომელთა საკვალიფიკაციო მონაცემები და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებები შეესაბამებიან პირველადი ეტაპისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს. ტენდერის მეორე ეტაპზე დაშვებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაცია **ქართულ ენაზე** გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12. შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა", II სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

სატენდერო წინადადებების შეფასების კრიტერიუმებია: მომსახურების შესრულების ვადები, ხარისხი, ღირებულება და ანგარიშსწოროების პირობები.
ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**დამატებითი ინფორმაცია**
სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით.
დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე ქ.Dთბილისი, ჭანტურიას ქ. N12, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" II სართული.
საკონტაქტო პირი გიორგი შარკოვი. ტელ: 99-01-48, 899 35-55-35

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს კვების პროდუქტების (კარტოფილი) შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

მისაწოდებელი საქონლის დასახელებები და რაოდენობა:

| ლოტი | საქონლის დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ლოტი №1 | კარტოფილი | კგ | 180000 |

დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებად 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ სპეციალურ ანგარიშზე. **საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშსწორების ანგარიში 200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000,** 2006 წლის 25 ოქტომბრიდან 2006 წლის 14 ნოემბრამდე სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ქ. თბილისი გორგასლის ქ. 83ა. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

მიწოდების ადგილია ქ. თბილისი ჟორესის ქ.N10. მომარაგების განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური და საინდენტანტო უზრუნველყოფის ცენტრალური საწყობი.
მიწოდების ვადა განისაზღვრება ეტაპობრივად შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონცემები და სატენდერო წინადადება შედგენილი ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, ერთი ასლი) დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მდებარე ქ. თბილისი გორგასლის ქ.N83ა 2006 წლის 14 ნოემბრის 13 საათამდე.

საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 14 ნოემბერს 13 საათზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**
ა) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ ადევს ყადაღა.
ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინიტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივი დანაშაულისათვის.
გ) ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.
დ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
ვ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**ფიზიკური პირებისაათვის:**

ა) უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
გ) ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.
დ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ
ე) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის ზემოაღნიშნული ცნობები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებებიდან.

სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემები.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის, თუ იგი 14 ნოემბრის 13 სთ-მდე არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.

ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს: მისამართზე ქ. თბილისი გორგასლის ქ.83ა. ტელ: 75-12-12; 8-99 11-71-23 ვახტანგ მჭედლიშვილი.

## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი"

# ატარებს კომერციულ კონკურსს

საზოგადოების ბალანსზე რიცხული გამოუყენებელი არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე.

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ :**
- საქართველოს რეზიდენტ, არარეზიდენტ პირებს:

ინფორმაცია საკონკურსო ობიექტების შესახებ:
**მეიჯარე - შპს "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი**
მისამართი - ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. -31
იჯარით გაიცემა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი"-ს ბალანსზე რიცხული რუსთაველის გამზირი -31-ში მდებარე შემდეგი არასაცხოვრებელი ფართები:

1. ფართის ოდენობები - 20 კვ.მ; 22 კვ.მ; 18 კვ.მ; 20 კვ.მ.
ფართების განთავსების ადგილი - V სართული;
ფართების დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა;
ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი შესაბამისად - 240; 264; 216; 240
აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში ყოველთვიურად.
**შენიშვნა:** აღნიშნული ფართები მდებარეობს ერთმანეთის გვერდით, ამდენად შესაძლებელია
მათი როგორც ერთად, ასევე ნაწილ-ნაწილ გაცემა იჯარით.

2. ფართის ოდენობები - 21,5 კვ.მ; 21,5 კვ.მ; 21 კვ.მ; 22,5 კვ.მ; 82,5 კვ.მ; 10 კვ.მ; 21 კვ.მ; 15,5 კვ.მ; 15,5 კვ.მ; 14 კვ.მ; 14 კვ.მ; 45 კვ.მ; 69 კვ.მ
ფართის განთავსების ადგილი - VII სართული;
ფართის დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა;
ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი შესაბამისად 322,50; 322,50; 315;
337,50; 1237,50; 150; 315; 232,50; 232,50; 210; 210; 675; 1035 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში
ყოველთვიურად.
**შენიშვნა:** აღნიშნული ფართები მდებარეობს ერთმანეთის გვერდით, ამდენად შესაძლებელია
მათი როგორც ერთად, ასევე ნაწილ-ნაწილ გაცემა იჯარით.

3. ფართის ოდენობა - 8 კვ.მ.
ფართის განთავსების ადგილი - VII სართული;
ფართის დანიშნულება - სამეწარმეო საქმიანობა;
ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი 120 აშშ დოლარის ექვივალენტი
ლარებში ყოველთვიურად.

4. ფართის ოდენობა - 4 კვ.მ.
ფართის განთავსების ადგილი - სახურავი (ბრტყელი გადახურვა);
ფართის დანიშნულება - ანტენების განთავსება;
ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი 680 აშშ დოლარის ექვივალენტი
ლარებში ყოველთვიურად.

5. ფართის ოდენობა - 4 კვ.მ.
ფართის განთავსების ადგილი - სახურავი (ბრტყელი გადახურვა);
ფართის დანიშნულება - პარაბოლური ანტენის განთავსება;
ქირის ოდენობა - საწყისი სარეკომენდაციო სასტარტო ფასი 680 აშშ დოლარის ექვივალენტი
ლარებში ყოველთვიურად.

**იჯარის ხანგრძლივობაა - 5 წელი**

**ფართის იჯარით გაცემის საკონკურსო პირობები :**
- მოიჯარის მიერ ყოველთვიურად საიჯარო ქირის 100% გადახდა (კომუნალურ გადასახადებთან ერთად).
- საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იჯარით გაცემული ფართი უბრუნდება მეიჯარეს.
- ფართის გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ კონკურსში გამოცხადებული მიზნობრივი დანიშნულებისათვის.
- საჭიროების შემთხვევაში მიმდინარე რემონტის ჩატარება საკუთარი ხარჯებით.
- ქირის ოდენობაში მითითებული ფასები შეიცავს დღგ-ს.

**განსაკუთრებული პირობა: საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები), რაც ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა და უნდა მიეთითოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გაცემის საკონკურსო (სააუქციონო) და სახელშეკრულებო პირობებში. ეს პირობა შესაძლებელია არ იქნეს გათვალისწინებული მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინასწარი თანხმობის შემთხვევაში.**

**მოიჯარის სამეწარმეო საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შენობის ფუნქციონალურ
დანიშნულებას.**
კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება წარმოებს კონკურსის ჩატარების თარიღამდე 14 კალენდარული დღის განმავლობაში 1500დან - 1700 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. იმ შემთხვევაში, როდესაც მე-14 კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს 1700 საათზე. კონკურსი ჩატარდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი"-ს შენობაში, 2006 წლის 8 ნოემბერს - 1500 საათზე. **მისამართი :** ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. -31 VII სართული.

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია :**
**ა)** დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
**ბ)** ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი ფინანსური წინადადება მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;
**გ)** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი"-ს ა/ანგარიშზე (სსკბ "ბაზის ბანკი", ა/ა 134048 კოდი 220101956, საიდენტიფიკაციო კოდი 203825851), "ბე"-ს შეტანის ქვითარი, რომლის ოდენობა შეადგენს საწყისი სარეკომენდაციო ფასის 50%-ს, ეროვნულ ვალუტაში.
**დ)** პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები და ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
**ე)** იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს. **შენიშვნა: თვითეული კონკურსანტი, კონკურსის ჩატარების დროს ესწრება მხოლოდ მის მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტის გახსნას.**
კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და საიჯარო ქირის მაქსიმალური ოდენობის გადახდა.

**საკონტაქტო ტელ:** 988690; 988660; 996487; მობ. 8(77)-422-790
შპს "საქალაქთაშორისო სატელეფონო
კავშირის ცენტრი"-ს ადმინისტრაცია

# საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის განცხადება

საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისია 2 ერთეული ავტომობილის შესყიდვაზე აცხადებს ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**შესყიდვა განხორციელდება 2 ლოტის მიხედვით:**

**პირველი ლოტი** - უცხოური წარმოების მაღალი გამავლობის ერთი ცალი 2006 წელს გამოშვებული ავტომობილი, მწარმოებელი ქარხნის გარანტიით, საგარანტიო და სერვისული მომსახურებით, ფერი - შავი, ძარა - ჯიპის ტიპის, 5 - კარი, ბენზინის ან დიზელის ძრავა - მოცულობა არანაკლებ 2,5-ლიტრი, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა, უსაფრთხოების ბალიში არანაკლებ 2, ცენტრალური საკეტი, კლიმატკონტროლი, იმობილაიზერი, ელ. მინები, განბაჟებით და სახელმწიფო რეგისტრაციის (ნომერი) მომსახურებით)

**მეორე ლოტი** - უცხოური წარმოების ერთი ცალი 2006 წელს გამოშვებული ავტომობილი, მწარმოებელი ქარხნის გარანტიით, საგარანტიო და სერვისული მომსახურებით, ძარა - სედანის ტიპის, ბენზინის ძრავა - მოცულობა არანაკლებ 2,0-ლიტრი, მაღალი კლირენსი და გაძლიერებული დაკიდება გათვალისწინებული დსთ-ს ქვეყნებისთვის, მექანიკური სიჩქარის კოლოფი, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი, მოცურების საწინააღმდეგო სისტემა, უსაფრთხოების ბალიში არანაკლებ 2, ცენტრალური საკეტი, კლიმატკონტროლი, იმობილაიზერი, ელ. მინები, განბაჟებით და სახელმწიფო რეგისტრაციის (ნომერი) მომსახურებით)

■ პრეტენდენტებმა დალუქული კონვერტით საკვალიფიკაციო მონაცემები და ერთი სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 15 ნოემბრის 12.00 სთ-მდე** საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისიის აპარატში სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, დალუქული კონვერტები კომისიის სხდომაზე დასწრების მსურველი პრეტენდენტების თანდასწრებით გაიხსნება **2006 წლის 15 ნოემბრის 12.00 სთ-ზე** ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

■ პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ორიგინალების ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლების სახით.

■ საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციებს:

■ **იურიდიული პირისთვის:**

ა) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან და/ან სასამართლოდან);

ბ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ **ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ან სასამართლოდან);

გ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (საგადასახადო ინსპექციიდან);

ე) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის (შერჩევის პროცედურა), თუ იგი **2006 წლის 15 ნოემბრის 12.00სთ-მდე** არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.

■ ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი იხდის სატენდერო მოსაკრებელს 200 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ხაზინა: მიმღების ანგარიში N200122900, საქართველოს ეროვნულ ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, საქ. პარლამენტის აპარატის მიერ ჩასატარებელი ტენდერის მოსაკრებელი.

■ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა (**არაუგვიანეს 2006 წლის 15 ნოემბრის 12.00სთ-მდე)** სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითრისა და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების მინდობილობის წარმოდგენისთანავე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8, სატენდერო კომისიის აპარატი.

■ ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა წინადადება შეიძლება წარმოადგინონ როგორც მთლიანად, ისე ცალკეული ლოტების მიხედვით, შესაბამისად ტენდერის ჩატარებისას შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

■ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში ტენდერში გამარჯვებულმა ხელშეკრულების გაფორმებისთვის უნდა წარმოადგინოს: მოთხოვნილი წინასწარი ანგარიშსწორების ოდენობის თანხის საბანკო გარანტია და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 3%-ის ოდენობით.

■ დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს: **28 13 69 ზაურ ჯიოშვილი**.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**

# განცხადება სამუშაოების შესყიდვის შესახებ

**ენგურჰესის D=6მ დისკური საკეტების მიწისქვეშა შენობასა და მასთან მისასვლელ შტოლნაში ვენტილაციის სისტემის მოწყობა**

სააქციო საზოგადოება ''საქჰიდროენერგომშენი'' აცხადებს ტენდერს შემდეგი სამუშაოების შესყიდვის შესახებ:

ენგურჰესის D=6მ დისკური საკეტების მიწისქვეშა შენობასა და მასთან მისასვლელ შტოლნაში ვენტილაციის სისტემის მოწყობა. მიწისქვეშა შენობის გაბარიტებია:

სიმაღლე - 24,0მ
სიგრძე - 45,0მ
სიგანე - 11,0მ

და მისასვლელ შტოლნისთვის სიგრძით 415მ დასაპროექტებელი და დასამონტაჟებელია ვენტილაციის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მიწისქვეშა გარემოში ჰაერის ტემპერატურას არანაკლებ 8 120C ფარდობითი ტენიანობით არა უმეტეს 75 80%.

დაინტერესებულმა პირებმა (როგორც იურიდიულმა, ასევე ფიზიკურმა) უნდა მოგვმართონ უმოკლეს ვადაში და უზრუნველყონ ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები:

1. **შესრულების ვადები:**
- დასაწყისი - 16 ნოემბერი 2006 წ.
- დამთავრება - 16 თებერვალი 2006 წ.

2. **შესრულების ადგილი:**
წალენჯიხის რაიონი, ენგურჰესი;

3. **დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ კვალიფიკაციის დამადასტურებელი წერილი და განზომილების ერთეულის ღირებულება.**

5. **შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების ფორმაა უნაღდო.**

6. **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:**
■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
■ ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების შესახებ;
■ ცნობა, რომ საწარმოს წინააღმდეგ არ მიმდინარეობს გაკოტრება და სანაცია;
■ ცნობა ხელმძღვანელის ნასამართლეობის შესახებ

7. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტისათვის გადაცემა მოხდება 2006 წლის 13 ნოემბერს, ხოლო სატენდერო წინადადებებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 14 ნოემბერი, 15.00 სთ. დოკუმენტაციაწარდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N50, მე-3 სართული.

8. სატენდერო წინადადებები განიხილება 2006 წლის 14 ნოემბერს, 17.00 სთ-ზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N50, მე-3 სართული.

9. **სატენდერო მოსაკრებელი შეადგენს 200 ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:**

*სს ბანკი ''რესპუბლიკის'' ცენტრალური ფილიალი*
*ს/კ 220101757*
*ა/ა 13605011140*

10. **დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ს.ს."საქჰიდროენერგომშენი"-ს ოფისში მისამართზე:**
**ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 50; ტელ: 25-09-59; 895 58 12 21**
**საკონტაქტო პირი: მერაბ დავითაია;**

# განცხადება სამუშაოების შესყიდვის შესახებ

**ენგურჰესის D=6მ დისკური საკეტების მიწისქვეშა შენობასა და მასთან მისასვლელ შტოლნაში ელექტრომომარაგების და განათების სისტემის მოწყობა.**

სააქციო საზოგადოება ''საქჰიდროენერგომშენი'' აცხადებს ტენდერს შემდეგი სამუშაოების შესყიდვის შესახებ:

დასაპროექტებელი და დასამონტაჟებელია ელექტრომომარაგებისა და განათების სისტემა არსებული მიწისქვეშა პირობების გათვალისწინებით. მოწყობილობები და მასალები უნდა აკმაყოფილებდეს IP 55 იზოლაციის ნორმებს.

გამოყენებული მართვის კარადები და თაროები უნდა იყოს დამზადებული უჟანგავი ლითონის მასალისაგან.

დაინტერესებულმა პირებმა (როგორც იურიდიულმა, ასევე ფიზიკურმა) უნდა მოგვმართონ უმოკლეს ვადაში და უზრუნველყონ ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები:

1. **შესრულების ვადები:**
- დასაწყისი - 16 ნოემბერი 2006 წ.
- დამთავრება - 16 თებერვალი 2006 წ.

2. **შესრულების ადგილი:**
წალენჯიხის რაიონი, ენგურჰესი;

3. **დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ კვალიფიკაციის დამადასტურებელი წერილი და განზომილების ერთეულის ღირებულება.**

5. **შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების ფორმაა უნაღდო.**

6. **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:**
■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
■ ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების შესახებ;
■ ცნობა, რომ საწარმოს წინააღმდეგ არ მიმდინარეობს გაკოტრება და სანაცია;
■ ცნობა ხელმძღვანელის ნასამართლეობის შესახებ

7. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტისათვის გადაცემა მოხდება 2006 წლის 13 ნოემბერს, ხოლო სატენდერო წინადადებებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 14 ნოემბერი, 15.00 სთ. დოკუმენტაციაწარდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N50, მე-3 სართული.

8. სატენდერო წინადადებები განიხილება 2006 წლის 14 ნოემბერს, 17.00 სთ-ზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N50, მე-3 სართული.

9. **სატენდერო მოსაკრებელი შეადგენს 200 ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:**

*სს ბანკი ''რესპუბლიკის'' ცენტრალური ფილიალი*
*ს/კ 220101757*
*ა/ა 13605011140*

10. **დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ს.ს."საქჰიდროენერგომშენი"-ს ოფისში მისამართზე:**
**ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 50; ტელ: 25-09-59; 895 58 12 21**

**საკონტაქტო პირი: მერაბ დავითაია;**

# განცხადება ცემენტის შეყიდვის შესახებ

სააქციო საზოგადოება ''საქჰიდროენერგომშენი'' აცხადებს ტენდერს ცემენტის შესყიდვის შესახებ.

დაინტერესებულმა პირებმა (როგორც იურიდიულმა, ასევე ფიზიკურმა) უნდა მოგვმართონ უმოკლეს ვადაში და უზრუნველყონ ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები:

1.მისაწოდებელი პროდუქტი:

ცემენტი, წვრილმარცვლოვანი, M400 მარკა (შეფუთული და შეუფუთავი) - 3500 ტონა;

1. **მიწოდების ვადები:**
- დასაწყისი - 16 ნოემბერი 2006 წ.
- დამთავრება - 31 დეკემბერი 2006 წ.

2. **მიწოდების ადგილი:**
წალენჯიხის რაიონი, ენგურჰესის თაღოვანი კაშხალი.
დასახ. ფოცხო-ეწერი;

3. **პროდუქციის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად.**

4. **დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ პროდუქტის შესაბამისობისა და წარმოშობის სერთიფიკატი და განზომილების ერთეულის ღირებულება.**

5. **მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურების ფორმაა უნაღდო.**

6. **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს:**
■ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
■ ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების შესახებ;
■ ცნობა, რომ საწარმოს წინააღმდეგ არ მიმდინარეობს გაკოტრება და სანაცია;
■ ცნობა ხელმძღვანელის ნასამართლეობის შესახებ

7. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტისათვის გადაცემა მოხდება 2006 წლის 13 ნოემბერს, ხოლო სატენდერო წინადადებებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წარდგენის ბოლო ვადაა 2006 წლის 14 ნოემბერი, 14.00 სთ. დოკუმენტაციაწარდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N50, მე-3 სართული.

8. სატენდერო წინადადებები განიხილება 2006 წლის 14 ნოემბერს, 16.00 სთ-ზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N50, მე-3 სართული.

9. **სატენდერო მოსაკრებელი შეადგენს 200 ლარს, რომელიც გადახდილი უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:**

*სს ბანკი ''რესპუბლიკის'' ცენტრალური ფილიალი*
*ს/კ 220101757*
*ა/ა 13605011140*

10. **დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება ს.ს."საქჰიდროენერგომშენი"-ს ოფისში მისამართზე:**
**ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 50; ტელ: 25-09-59;**

**საკონტაქტო პირები: მერაბ დავითაია;**
**ზაურ სამადაშვილი;**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა აცხადებს საერთაშორისო ღია ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**ლოტი I** - მყარი საწვავი (შეშა) - 730 კბ.მ

**ლოტი II** - თხევადი საწვავი (ნავთი) - 4415 ლიტრა

რაიონის ტერიტორიაზე არსებულ 33 სკოლამდელი დაწესებულების 185 ჯგუფზე მყარი საწვავლისა (შეშა) და თხევადი საწვავის (ნავთი) სავარაუდო რაოდენობა და მიწოდების პერიოდულობა განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტით, ხოლო კონკრეტული რაოდენობა - შემსყიდველის მიერ დაზუსტდება მიმწოდებელზე ყოველთვიურად გადაცემული ტექნიკური დავალების საფუძველზე.

2. მიწოდების სავარაუდო ვადაა 2006 წლის 22 ნოემბრიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ კონვერტში) და განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ ქართულ (უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობის შემთხვევაში ინგლისურ) ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 14 ნოემბრის 12 საათიდან 15 ნოემბრის 16-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა

უცხო ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს თან უნდა ახლდეს მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას*:

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;

ბ) ცნობას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან).

**4.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) აN200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დანიშნულება-ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 25 ოქტომბრის 12 საათიდან 2006 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა

7. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 3% -ის ოდენობით.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნინო კიკვაძე საკონტაქტო ტელეფონი: 65-25-13, ნინო წიკლაური საკონტაქტო ტელეფონი: 65-25-38 მისამართზე: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი N1, გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობა

* არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

**სატენდერო კომისია**